

უცხოეთი

ფალუქას სენდრი -
ამბოხებულთა უმთავრესი
ფორპოსტი



ბალდადის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ
ბაქუბაში პოლიციის განყოფილებას თავს
დაესხნენ აჯანყებულები, რასაც მსხვერპლად
15 ადამიანის სიცოცხლე შეენირა.

A5

საზოგადოება

„საფარი“ ოქახური
ძალადობის წინააღმდეგ




ოჯახური ძალადობა, როგორც ასეთი, ქართულ
სივრცეში მხოლოდ ქალზე მამაკაცის ძალადობად
ალიქმება, ისიც – გაჭირვებით. ქვეყანაში, სადაც
ქალისადმი პატივისცემა მამაკაცის ერთ-ერთ
მთავარ თვისებად ითვლება, ასეთ რამეს დღესაც
ძნელად იჯერებენ;

A6

სამართალი

რეფორმის სახელით
განხორციელებული
უკანონობა



A7

აინფო		
	10/11	11/11
თბილისი	15 	17 
ქუთაისი	22 	23 
ბათუმი	23 	26 
სოხუმი	21 	22 
ფოთი	23 	26 
თელავი	14 	16 
ზუგდიდი	23 	24 
გორი	13 	16 
ახმეტა	14 	16 
ქიანურა	18 	19 
ბაბრა	19 	21 
სამტრედია	22 	24 

უცხოური ვალუტის ოფიციალური კარსი ლართან მიმართებაში	
აშშ დოლარი	1.8100
ევრო	2.3391
გირვანქა სტერლ.	3.3597
რუბლი	0.0632

ნაპირზე გამოსული ქაღალდის ამბავი



ბაი პალატილის ფოტო

ალბათ
აუცილებელია,
საქართველოში
იყოს ევროპის
მოედანი.
დაახლოებით
გმირთა
მოედანთან...
პირადად მე
გმირთა მოედანს
გულში ევროპის
მოედანს ვუძახი.

ბაი პალატილის

აქ ყველაფერი ისე თბილია, როგორც ბებუის სახლში - საკუთარი ხელით მოხატული გრიგოლ
ორბელიანის პორტრეტით დამშვენებული ფაფურის ბუხარით, ფერებზე და ძველი ყაიდის
დაკრავილი სადენებით. წყალიც ისე ჩამოდის წვიმის დროს, როგორც ნებისმიერ ძველ
სახლში. ოღონდ, ერთი - "არ დაიდარდო" აქ არ გამოგივა. უნდა იდარდო, სხვა რა შეგიძლია,
როცა ხედავ, როგორ ცვლის ამ ყველაფერს ჩვენი დროის პროდუქტი ადამიანი. ხის
ფანჯრები მეტალოთანამედროვეთი იცვლება, ფარღალა კედლები - ყრუ ბეტონით და ხის
ძველი სკამები - სინთეტიკური, გამძლე დანადგარ-სავარძლებით. რა ვიცი, ვითომ
გარდაუვალია ჩაყლაპვა?!
ეს რეზო გაბრიადის "არ დაიდარდო". იქ მას ამერიკაზე სასაუბროდ ვესტუმრეთ. საქმე ის
არის, რომ ნიუ-იორკში, ბროდვეიზე, დაიდგა "აკრძალული შობა, ანუ ექიმი და პაციენტი".

- სოლოლაკიდან ვიდრე
მშრალ ხიდანვე სულ გრიგოლ
ორბელიანის მამული ყოფილა.
ისე გამოდის, რომ მის მამულ-
ში ვიმყოფებით. მაღლიერები-
სა და სირცხვილის გრძნობით
გავაყვით ეს. მნიშვნელოვანი
ადამიანი იყო და პოეტიც მშვე-
ნიერი, - ამბობს მარიონეტების
თეატრში, კაფეში ბუხარს მიე-
რდნობილი რეზო გაბრიადი.

ბაბრძალა
B1-B3 ბაბრძალა

ნარსულის აგრძელება საზოგადოებრივი ტელევიზიის "ეკრანზე"

გიორგი ასანიშვილი

პოლიტიკოსები ახლო წარსულს
ვერ (არ) ივიწყებენ და
ერთმანეთს ძველ ცოდვებს არ
(ვერ) პატიობენ. გუშინ გიგა
ბოკერიაშვილმა რამდენჯერმე
შეახსენა "მემარჯვენე
ოპოზიციის" წევრებს, რომ სულ
ცოტა ხნის წინათ შევარდნაძის
გუნდთან "წარმატებით"
თანამშრომლობდნენ და
ამდენად, მათი მხრიდან საუბარი
"დღევანდელი ხელისუფლების
ავტორიტარიზმის" შესახებ,
უსინდისობა და ფარისევლობაა.
"ყოფილ ხელისუფლებასთან
თანამშრომლობის" თემის
წამოტივტივება "მრეწველები-
ახლების" წარმომადგენლებს,
ცხადია, არ სიაშოვნებთ და გიგა
ბოკერიას "გულწრფელად"
პასუხობენ, რომ
"ხელისუფლებაში მისი გუნდის
მოსვლის მომხრენი არასოდეს
ყოფილან".

ბაბრძალა A2 ბაბრძალა

რას გეგმავს ქრამლი აფხაზეთში?

ხაზბა ინსტრუქტაჟს
მოსკოვში გადის

ნინო გომარტელი

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ
რესპუბლიკაში არსებული
პოლიტიკური კრიზისიდან
გამოსავალი ჯერ კიდევ არ ჩანს.
"აფხაზეთის ხელისუფლება
ცდილობს, 3 ოქტომბრის
არჩევნები ჩაშლილად
გამოცხადდეს, გაიმართოს
ხელახალი არჩევნები და ახალი
კანდიდატები წარადგინოს - ჩემი
ახალი კონკურენტები. მაგრამ ეს
მცდელობა უშედეგო იქნება. მე
3 ოქტომბერს გავემარჯვე, რაც
უმაღლესმა სასამართლომაც
დაადასტურა," - აცხადებს
ოპოზიციონერი სერგეი პაგაშვილი.

უკვე ორი დღეა, რაც მოსკოვ-
ში იმყოფება პრეზიდენტ პუტინ-
ის მიერ პრემიერის პოსტზე დანი-
შნული ნოდარ ხაშბა და ინსტრუ-
ქციებს იღებს. "პრემიერ-მინის-
ტრი რუსეთის დედაქალაქში გა-
ფრინდა, სადაც შეხვედრები გა-
მართა თანამდებობის პირებთ-
ან. განხილულ იყო რესპუბლი-
კაში შექმნილი მდგომარეობა,"

ბაბრძალა A2 ბაბრძალა

ინფორმაცია ხელმოწერის
კამპანია გაზეთ
"24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და
თქვენ გაქნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაკე ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელმეცრულება გაფორმდება
უშუალოდ რედაქციასთან, ხელმო-
წერი მიიღებს შემდეგ შეღავა-
თებს:

მ-თვიან ხელმოწერაზე 10 პრო-
ცენტი ფასდაკლება, ანუ 78
ლარის ნაცვლად, 70.20 ლარი;
ერთწლიან ხელმოწერაზე 20
პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156
ლარის ნაცვლად, 124.80 ლარი.



"ფინანსური ანისტი", სატაქრობი და პარლამენტართა ისტატიკური აღზრდა

გიორგი ასანიშვილი

ეგრეთ წოდებულ "ფინანსურ ანისტიას" თითქმის ყველა პარლამენტარი მისვალმება, მაგრამ როდესაც კანონპროექტის ცალკეულ ასპექტებზე მიდგება საქმე, მოსაზრებები რადიკალურად იყოფა. მაგალითად, დეპუტატებისთვის დღემდე აუხსენელი რჩება, თუ რატომ არ უნდა გავრცელდეს ფინანსური ანისტია იმ მენარმეებზე, ვისაც შემოსავლები დეკლარირებული ჰქონდა, მაგრამ გადასახადების გადახდას ვერ ახერხებდა და ყველაფერი ეპატიოს იმას, ვინც შემოსავლები "ოსტატურად" დაიმაღა.

ერთადერთი არსებითი ცვლილება, რომლის კანონპროექტში შეტანაზეც მთავრობა თანხმდება, ის არის, რომ ანისტიარ არ შეგუოს საჯარო პირებს, ანუ იმ სახელმწიფო მოხელეებს, ვისაც ლომის წლი მიუძღვის დანაშაულებრივი ბიზნეს-გარიშვოს ჩამოყალიბებაში.

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ხელისუფლებას ერთი წლის წინანდელი დანაპირებიც გაუხსენეს, რომლის მიხედვითაც, "ნაციონალური მოძრაობა" ნაძარცვ და მოპარულ ქონებას ისევ ხაზს დაუზრუნუნდა. ლანჩხუთის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ბიძიმა გუჯაბიძეს არც ის დავინგებია, რომ, თავის დროზე, საუბარი იყო, აგრეთვე, შვეიცარიის ბანკებში კუშქულრიგებული არაკანონიერი გზით ნაშთები თანხების შესაძლო დაბრუნებაზე...

კანონპროექტის განხილვა გუშინ რამდენიმე საათი გაგრძელდა, მაგრამ, პრაქტიკულად, უშედეგოდ დასრულდა - მიღადე მხარეები თაჲვანი პოზიციებზე დარჩნენ. ამიტომ, კონსულტაციები დღეს უკვე კომიტეტებში გაგრძელდება და მთავრობის მიერ შემუშავებული დეკუმენტი მხოლოდ ამის შემდეგ დადგება კენჭისყრაზე.

■ ■ ■

მთავრობის საქმიანობა, როგორც წესი, საპარლამენტო უმრავლესობის კრიტიკის მიღმა რჩება. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელში შემავალ ცალკეულ უწყებებსაც ბოლო დღეებში დეპუტატები განსაკუთრებული მონღომებით უტყვენ: "24 საათი" გუშინ წერდა, რომ ბოლრის სხდომაზე უკმაყოფილება გამოითქვა უკრაინასა და საფრანგეთში საქართველოს საელჩოების მისამართით, რადგან ქართველმა დიპლომატებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს ამ ქვეყნებში სტუმრად მყოფ თანამემამულე პარლამენტარებს.

პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე კი კრიტიკის ობიექტი საბერძნეთში არსებული საქართველოს დიპლომატიური მისია გახდა. ამ კრიტიკის საფუძელად იქცა დეპუტატ ელენე თევდორაძის

განცხადება იმის შესახებ, რომ საბერძნეთში დაბატმბრებული 6 ქართველი მეზღვაურის (ერთი მათგანი ციხეში გარდაიცვალა) მიმართ ჩვენი საელჩოსა და საკონსულოს წარმომადგენლებმა ოდნავი ყურადღებაც არ გამოიჩინეს.

თევდორაძის განცხადება უმაღ აიტაცა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა, რომელმაც მოუწოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, ქართველი მეზღვაურების მდგომარეობით დაინტერესდეს.

თუ აქვე იმასაც გავისვენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს პარლამენტში მწვავე საკომიტეტო მოსმენა "მოუწყვეს" (გაერო-ში საქართველოსთვის ხმის დათმობის ჩამორთმევის საკითხზე), უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის დიპლომატიურ უწყებასა და მის პირველ პირზე საპარლამენტო ზრუნულა მომავალშიც გაგრძელდება.

■ ■ ■

გუშინ საქართველოს პარლამენტმა, 148 ხმით ერთის (გოჩა ფიფია) წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას ერაყში ქართველ სამშვიდობო კონტინგენტის 850 ჯარისკაცამდე გაზრდის შესახებ. თავისთავად, ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: აღნიშნული გადაწყვეტილება პოსტფაქტუმ იქნა მიღებული, ანუ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამშვიდობო ბატალიონი ერაყში გაემგზავრა.

გუშინვე პარლამენტმა ცნო შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული ჯუმბერ პატიაშვილის, გიორგი ასანიძის, თემურ ჭეიშვილისა და თემურ ცერცვაძის სადემუტატო უფლება-მოსილება.

ამ ფორმალურ პროცედურასთან დაკავშირებით, რესპუბლიკელმა დავით ბერძენიშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა: "გოჩის გარდა, სადაც ჯუმბერ პატიაშვილმა დამსახურებულად გაიმარჯვა, ამომრჩეველთა აქტივობა ყველგან ძალიან დაბალი იყო. ამიტომ, არ შეიძლება, დანარჩენი სამი მაჟორიტარი ხალხის მიერ არჩეულად ჩაითვალოს და აღნიშნულიდან გამომდინარე, მათი სადემუტატო უფლებამოსილების ცნობას მხარს ვერ დავუჭერთ."

■ ■ ■

დეპუტატი ელდარ შენგელაია კოლეგების ესთეტიკურ აღზრდაზე ზრუნავს. იგი მოუწოდებს პარლამენტარებს, ოპერისა და ბალეტის თეატრში წავიდნენ და წინო ანაბაშოლის საბალეტო წარმოდგენას დაესწრონ, რაც მათ "უდიდეს საიმოვნებას მიაწიწებს". ცნობილ კინორეჟისორს მთლიანად ეთანხმება პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ზურჯანაძე, რომელიც, თავის მხრივ, შენიშნავს, რომ წინო ანანიაშვილის დასმა ძალიან მაღალი დონის სპექტაკლი ადგას.

წარსულის არრდილება საზოგადოებრივი ტელევიზიის "ეკრანზე"



ძველი და ახალი პარლამენტარის სიტყვიერი პაექრობა საზოგადოებრივი ტელევიზიის განკითხვად იქცა.

პირველი გვარდიიდან

საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის ზემოთ აღწერილი შეტაკების მიზეზი გახდა "მუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის გარშემო გუშინდელ პლენარულ სხდომაზე გაჩაღებული დებატები, რომლის დროსაც "მრწველები-ახლების" წარმომადგენლებმა საზოგადოებრივ ტელევიზიის შექმნის წინააღმდეგ გაოლაშქრეს და სახელმწიფო ტელევიზიის პრივატიზება მოითხოვეს.

"საზოგადოებრივი ტელევიზია ამაართლებს დასავლეთში, მაგრამ ვერ გაამართლებს ჩვენთან, რადგან საქართველოში ავტორიტარული რეჟიმიია გამაფებული და არც ერთი სახელისუფლებო შტო დამოუკიდებელი არ არის," - დღევანდელი ხელისუფლების მიერ დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემაში ეჭვი შეიტანა "მემარჯვენე" კოკა გუნცაძემ.

ნეტავ, ეს არ ეთქვა! მაშინ ხომ ტყემაღაძე-გამყრელიძის საპარლმენტო გუნდს თავიდან აიცილიყვამის სადემუტატო უფლება-მოიწებს?"

"როდესაც ეს ხალხი შევარდაქესთან თანამშრომლობდა, მაშინ ასეთ მაღალ მატერიებზე არ საუბრობდა." დემოკრატიული ღირებულებების კომანგინ

ბოდბელებმა ძველი ვალი გაიხსენას



ბოდბელები სასამართლოში აპირებენ სარჩელის შეტანას.

სიღნაღლი გლეხები ახალი მთავრობისგან იმ დავალიანების გასტუმრებას მოითხოვენ, რომელიც მათ შემწახველ სალორეებში 1992 წელს "გაყენიან". შეგახსენებთ, რომ სახელმწიფომ გლეხის ვალი ზურგზე, ტრადიციულად, ყურძნის მოსავალის დაბნავენის გამო წამოიკიდა. ამ ყველაფერში ქვემო ბოდბის მოსახლეობა ბრალს ეკონომიკის მაშინდელ მინისტრს, ვანო ჩხარტიშვილს სდებს და ახალი მთავრობისგან მის გასამართლებას მოითხოვენ: "თუ ჩინოფიკებმა სახელმწიფოს პირველ იანვრამდე უნდა დაუბრუნონ მოთარული მდიონრები, ჩვენ, უბრალო გლეხებმა რაღა დავაშავეთ," - კითხულობენ ბოდბელები.

ზვიად რუაძე

როდესაც ქვეყნის ეკონომიკამ განვითარება ეროვნული ვალუტით - კუპონით დაიწყო, განსაკუთრებული ზარალი მაშინ იმ ქიზიულეებმა მიიღეს, რომლებმაც რუდუნებში მოყვანილი ყურძენი, ღვინის ქარხნებს იმ დროსაც ვაი-ვაგლობით, ხეენა-მუდარით მიაღებინეს. საწარმოებზე დახმარება მაშინაც სახელმწიფომ იკისრა. მაშინდელი მთავრობა ღვინის ქარხნის მფლობელებს შელავითიანი კრედიტის გამოყოფას დაჰპირდა, მაგრამ ეროვნული ვალუტის შემოღებამ, ქარხნებსაც და გლეხებსაც პრობლემები გაუჩინა. როგორც ბოდბელები ამბობენ, სწორედ მაშინდელმა ქვეყნის მთავარმა ეკონომისტმა ვანო ჩხარტიშვილმა მოატყუა გლეხობა.

სამოქ წელს მიტანებულმა თთარ ბენაშვილმა 1992 წელს მაღაროს ღვინის ქარხანას 25 ტონა ყურძენი ჩააბარა, რაც ბოლოს სანანებელი

ორიოდე წლის წინათ აქტიურად მონაწილეობდნენ ძველი ხელი-სუფლების მიერ ერთ-ერთი ტელეკომპანიის დაზურვის მცდელობაში. ახლა რომ გახდნენ რადიკალები, ფარისევლობაა და მეტი არაფერი," - საკმაოდ წყნარად ნაიკითხა "საბრალდებო დასკვნა" იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, რომლის ბრალდებებსაც "მემარჯვენე ოპოზიციამ", უბრალოდ, წაუყრდა.

"მემარჯვენეებისგან" განსხვავებით, რესპუბლიკელების ოპოზიციური ჯგუფი საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნას მისახლმება. "სხვა თუ არაფერი, იგი დღევანდელ სახელმწიფო ტელევიზიაზე უკეთესი ნამდვილად იქნება," - მიიჩნევს დავით ბერძენიშვილი.

"მუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის პირველი მოსმენი მიიღება გუშინ უპრობლემოდ მოხერხდებოდა, რომ არა ერთი გარემოება: ვერ გამოინახა საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსების ფორმა. კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტის მიხედვით, ის ბიუჯეტში შესული საშემოსავლო გადასახადებიდან (მისი 1,5 პროცენტით) უნდა დაფინასებულიყო. მაგრამ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის თანახმად, საშემოსავლო გა-

დასახადები მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა დარჩეს. იმის შიშით, რომ საზოგადოებრივი ტელევიზია ადგილობრივ ბიუჯეტებს მძიმე ტვირთად დააწვება, მთავრობა კანონპროექტის ამ მუხლის წინააღმდეგ წავიდა.

ასეთ ვითარებაში კანონპროექტის ინიციატორები აღმასრულებელ ხელისუფლებას ალტერნატივას სთავაზობენ: საზოგადოებრივი ტელევიზიის ბიუჯეტის დაფინანსების გაანგარიშება მოხდეს მთლიანი საშემოსავლო გადასახადის N პროცენტის ფარგლებში, ოღონდ, ეს თანხა ცენტრალური ბიუჯეტიდან იქნეს გადახდილი.

ამ შეთავაზებას ფინანსთა სამინისტრო მოუწმადებელი ხვდება. გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მინისტრის მოადგილემ ლექსო ალექსიშვილმა აღიარა, რომ "ამ ეტაპზე მთავრობას საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოზიცია არა აქვს". იგი გარკვეულ დროს ითხოვს და აცხადებს, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსების ფორმა შესაძლებელია, კანონპროექტის მეორე მოსმენის დროსაც დადგინდეს.

მანამდე კი "მუწყებლობის შესახებ" კანონპროექტს პირველი მოსმენით უნდა ეყაროს კენჩი, რაც, საგარაულოდ, ზუთმაბათის ან პარასკევს მოხდება.

მოკლად

ამერიკელი დახმარება სასაზღვრო რეგიონებში

ორმაბათს "საზღვრის დაცვის და კანონგამტკიცების" პროგრამის ხელმძღვანელის თანაშემწე ჩეისონი, სარფეში იმ ოთხ ამერიკელ ექსპერტთან ერთად ჩავიდა, ვინც საზღვრის დაცვის მხრივ ქართველ მესაზღვრეებსა და მებაჟეებს პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობები უნდა ჩაუტარონ. ამერიკელები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ ქართველი მსმენელები, როგორც წესი, გულმოდგინებით გამოიჩნევიან.

"1998 წლიდან დაწყებული ამ პროგრამის ფარგლებში უწყებამ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, კერძოდ, თავიდან შეიქმნა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სანაპირო დაცვის სამსახური. დაიწყო სასაზღვრო ინფრასტრუქტურის და ავიაციის, ამასთან ერთად, სასაზღვრო სამსახურისა და ოპერტიული მართვისა და კონტროლის სისტემა "იორი"-ს ჩამოყალიბების პროცესი," - განაცხადა ბადრი ბიძაძემ. სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ ამერიკელების მიერ ჩატარებული ტრენინგების შემდეგ, ქართველი მესაზღვრეების მომუშაოებით დონე საგრძნობლად მაღალდება.

საქართველოში იმყოფება ამერიკელ მმშებელთა ჯგუფიც, რომელსაც სამშენებლო სამუშაოების ჩატარება ევალება. მათ წითელ ხიდზე ახალი საკონტროლო გამშვები პუნქტი ააშენეს. ამჟამად, ისინი საკონტროლო გამშვები პუნქტების მშენებლობას სადახლოში, ლავიღებსა და ყაზბეგში გეგმავენ. გუშინ ამერიკელი მშენებლები ერთგვარი "სადაზვერეო" მისიით სვანეთში ჩავიდნენ. ისინი "ან-28" ტიპის თვითმფრინავისთვის აპირებენ ასაფრენი ბილიკის დაგებას.

24 საათი

საარჩევნო სუბიექტების ფინანსები ვებ-გვერდზე

"შერატონ მეტეხი-პალასში" საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2004 წლის 28 მარტის საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიისთვის მიღებული შემოსირულებებისა და განთვლ ხარჯების შემცველი მონაცემთა ბაზის ოფიციალური პრეზენტაცია მოაწყო.

ცესკო-მ ინტერნეტში განათავსა 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილი საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიში. მასმედის, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება აქვთ მიიღონ დანერგებითი ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიისთვის მიღებული შემოსირულებებისა და განთვლი ხარჯების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზა კი განთავსებულია ცესკო-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.cec.gov.ge .

"საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების საჯაროობა ხელს უწყობს ამომრჩევლის მიერ შეგნებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას. ცესკო-ს დიდი სურვილი აქვს, რომ მომავალშიც განაგრძოს საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების განთავსება ინტერნეტში და მჭიდროდ ითანამშრომლოს მასმედისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებიც ამომრჩევენ და ანალიზებენ აღნიშნულ ინფორმაციას", - განაცხადა პრესკონფერენციაზე ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ნონიკაშვილმა. მონაცემთა ბაზა ცესკო-ს კომპუტერული უზრუნველყოფის სამსახურის უდიდესი ძალისხმევის შედეგად შეიქმნა. აშშ-ის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს ("USAID") ფინანსური მხარდაჭერით, პროექტი ცესკო-მ და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა ერთობლივად განახორციელეს.

ინტერ-პრესი

"კომანდოს" კურსი კიდე 43-მა მეზრძოლმა გაიარა წარმატებით

საქართველოს შეიარაღებული ძალების კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის ბაზაზე გუშინ "კომანდოს" კურსდამთავრებულითა გამოშვების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. კურსდამთავრებულებს დიპლომები საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპაძემ, სპეცდანიშნულების ბრიგადის მეთაურმა ზაზა ჩხაიძემ და თურქეთის სამხედრო ატამებმა გადასცეს. როგორც თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, კომანდოს" კურსის მე-6 გამოშვებამი მომზადება 250-მა სამხედრო მოსამსახურემ დაიწყო, თუმცა ურთოდესი წვრთნების ბოლომდე გავალა მხოლოდ 43-მა შეძლო. მისივე თქმით, მებრძოლთა მომზადებამ უდიდესი წვლილი თურქეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა შეიტანეს. "კომანდოს" კურსის მე-6 გამოშვებაში ირიცხება ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით თევზაძის შვილი, ქეთი თევზაძე. იგი პირველი ქალია კოჯრის სკოლის სტარტში, რომელმაც "კომანდოს" კურსების დამთავრება შეძლო. ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს 2 ნოემბრის არჩევნებში მოპოვებული გამარჯვება მოულოცა. საქართველოსა და ამერიკის პრეზიდენტების სატელეფონო საუბარი გუშინ 16.00 საათზე შედგა. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ჯორჯ ბუშმა საქართველოს პრეზიდენტს მხარდაჭერა აღუთქვა. ინტერ-პრესი

გამომცემელი რუსთავე 2 პრინტი. მისპაპირ რამდამტმირი მამუკა ფაჩუაშვილი. პაბატა ევმაპიძე (მმართველი რედაქტორი), გახტან ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეგავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). ღმბამტამპირ: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატორი - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქვეივან სადღელოლია, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მუდილია - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო წარჩემაშვილი, საგაგერო - ვალერი ჯინჭარაძე. ფშტშო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი), ღმშპნმნ: გიორგი მძალაძე, ავთო მარგაშვიძე კომპიუტერული ტმნტრირ: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მათა ვიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი მალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაბატა ქირიძე, სტმშო: ნანა ფახარიძე, ნინო სვიმინი, თამარ კვაჭანტრიაძე, ხაიუნა გოგაშვილი, ძიძია მნელაძე, ლია თოფურია, რამქლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ბორჯომი 26 ქვეყანაში

ბორჯომის ხეობის ისტორია პირდაპირ კავშირშია მინერალურ წყლებთან. შესაძლოა, ლამაზი ბუნებისა და უნიკალური სამკურნალო კლიმატის გამო, ბორჯომი წყაროების გარემუც არაჩვეულებრივი საკურორტო ადგილი ყოფილიყო, მაგრამ სწორედ ბორჯომის მინერალური წყლის წყალობით გახდა იგი მთელს მსოფლიოში ცნობილი. ლეგენდის მიხედვით, სახელწოდება ორი სიტყვისგან წარმოიშვა: "ბორჯ" - ციხის გალავანი, და "ომი" - ომი, რაც იმ პერიოდში ომიანობის სიხშირემ განაპირობა. სოფელი ბორჯომი კი, ამისათვის საკმაოდ ხელსაყრელ ალავს - ხეობის შუაგულში - მდებარეობდა. მთების გალავანით გარშემორტყმული ქართველები თავს გაცილებით უსაფრთხოდ კრძობდნენ. მტერს კი, ამავე მთებზე აგებული კოშკებით ზეერავდნენ.

არქეოლოგები თვლიან, რომ ბორჯომის ხეობაში მინერალური წყლით ქართველები გაცილებით ადრე სარგებლობდნენ და ამის დასტურია მეოცე საუკუნის დასაწყისში ნაპოვნი შვიდი ქვის აბაზანა, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. ექსპონატები გვამცნობენ, რომ წყალს სწორედ სამკურნალო აბაზანებისთვის იყენებდნენ და არა სასმელად. შემდეგ წყაროები დიდი ხნით მივიწყეს, ის ადგილები კი სადაც ისინი მდებარეობდა - მიატოვეს.






რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ბორჯომის წყაროებს მეორე სიცოცხლე სამხედროებმა მისცეს. 1829 წელს ბორჯომში ხერსონის გრენადერთა პოლკი განათავსეს. ერთხელ ჯარისკაცებმა ტყეში, მდინარე ბორჯომის მარჯვენა სანაპიროზე წყარო იპოვეს, რომელიც ორმოს ჰგავდა და მძაფრი სუნის მქონე თბილი წყლით იყო სავსე. პოლკოვნიკი დაინტერესდა, ბრძანა გაესუფთავებინათ წყარო და წყალი ბოთლებით პოლკში ეზიდათ. კუჩის ტკივილით შეწუხებულმა პოლკოვნიკმა, მიწის თბილი წყლის ზემოქმედება პირველმა გამოსცადა საკუთარ თავზე. ცდა იმდენად დადებითად დასრულდა, რომ პაციენტმა უმაღლეს ბრძანება გასცა, წყარო ქვებით შემოეფარლათ და შორიახლოს მისთვის პატარა სახლი და აბაზანა აეშენებინათ. მანვე გაუწია წყალს პირველი კომპეტენტური რეკომენდაცია ნაცნობობაში, როგორც ჯანმრთელობისათვის აუცილებელ გასაუმჯობესებელ საშუალებას.

ამ დროიდან დაიწყო ბორჯომის პოპულარიზაცია და XIX საუკუნის შუა წლებისთვის ის უკვე ცნობილი იყო არა მარტო საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, არამედ უფრო შორსაც - აღმოსავლეთ ევროპაში. საქმე უფრო წინ წავიდა.

1850 წელს ბორჯომში მინერალური წყლების პირველი პარკი გაშენდა, ხოლო 1854 წელს დაიწყო პირველი, ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობა. 1896 წელს გაიხსნა მიწის პირველი ქარხანა. 1897 წელს ბორჯომში პირველ ელექტროსადგურს აშენებენ, რომლის სიმძლავრე 3000 ცხენის ძალის ტოლია და ელექტროენერგიით ამარაგებს ბორჯომის ხეობას და სამ მიმდებარე რაიონს. 1904 წელს მოხერხდა ბორჯომის წარმოების ნაწილობრივი მექანიზაცია. იმავე წლით თარიღდება საგაზეთო განცხადება: "ბორჯომის" მინერალური წყლების ვაგონებით" გაყიდვის შესახებ. ანუ, წყლის ჩამოსხმა სრული დატვირთვით მიმდინარეობს და თუ 1854 წელს ბორჯომიდან გატანილ იქნა მხოლოდ 1350 ბოთლი, 1905 წელს, წარმოების აწყობის შემდეგ ამ ციფრმა 320 ათასს მიაღწია, ხოლო 1913 წელს 9 მილიონს გადააჭარბა. 1921 წლისათვის ბორჯომი ცნობილი კურორტი იყო და ხელისუფლების გადაწყვეტილებით სოფელი ბორჯომი ქალაქად გადაკეთდა. XX საუკუნის ოთხმოციან წლებში "ბორჯომის" გაყიდვამ 400 მილიონ ბოთლს მიაღწია და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შეუცვლელი და ყველაზე პოპულარული მინერალური წყალი გახდა. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, საქართველოს შიდა ეკონომიკური პრობლემების გამო, წარმოება ძალიან შემცირდა.

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, დაინგრა ერთიანი ეკონომიკური სისტემაც და საქართველოსთვის, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სა-



	2000	2001	2002	2003
ბორჯომის №1 ქარხანი	407,048	685,045	999,617	788,111
ბორჯომის №2 ქარხანი	621,337	679,786	766,765	886,373
GG&MW	686,039	956,876	1,213,714	1,415,969
სულ გადისახადები ღარებში	1,714,424	2,321,707	2,980,096	3,090,453



ხელმწიფოსათვის აუცილებელი გახდა ახალი, საბაზრო ეკონომიკური და ბიზნეს პირინციპების ათვისება. "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია", (GG&MW Co. N.V.). 1995 წლიდან დაიწყო ბორჯომის მინერალური წყლის წარმოება ორ საბჭოური დროის ჩამოსხმელ ქარხანაში.

1997 წელს კომპანიამ გაიმარჯვა ტენდერში და მოიპოვა ბორჯომის წყლის ჩამოსხმის ექსკლუზიურ უფლება.

1997 წლის მაისში მოდერნიზირებულ იქნა N1 და N2 ჩამოსასხმელი ქარხნები. კომპანიის საკუთრებაში გადავიდა და განახლდა ხამურის მიწის ქარხანა, რომელიც ბორჯომიდან 30 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

დღეისათვის, კომპანიის მიერ დამონტაჟებული ჩამოსასხმელი ხაზები, გაყვანილობები და ხარისხის მკონტროლებელი სისტემები სრულად პასუხობს მსოფლიო სტანდარტებს. მრავალრიცხოვანი შემონგებების შედეგად დადგინდა, რომ ბორჯომის წყალი არის უმაღლესი ხარისხის პროდუქცია, რომელიც აკმაყოფილებს ყველა ევროპული სანიტარული სტანდარტების მოთხოვნებს.

"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა. მასში დასაქმებულია 2000-ზე მეტი კვალიფიციური



კადრი სხვადასხვა ქვეყნიებიდან. დარსების დღიდან კომპანიის ინვესტირებული აქვს 27 მილიონ დოლარზე მეტი. კომპანია 26 უცხოურ ბაზარზე გადის. მუშაობის დაწყების დღიდან, წარმოება დაახლოებით 500%-ით გაიზარდა. 2001 წელს კომპანიამ 77 მილიონი პირობითი ბოთლი (0,5 ლ.) გაყიდა, 2002 წელს - მარვენებული 56%-ით გაიზარდა და 120 მილიონი შეადგინა. ხოლო 2003 წელს არსებული მაჩვენებლებით, ბორჯომის გაყიდვამ 132 მილიონ ბოთლს მიაღწია. 2004 წელს გაყიდვები 154 მილიონს შეადგენს. ბორჯომის ყველაზე დდი მომხმარებელი რუსეთია, რომელიც ექსპორტის 70 პროცენტს მოიხმარს. მას მოჰყვება უკრაინა, აზერბაიჯანი, აშშ, ყაზახეთი და ა.შ. 2004 წლის სექტემბრის ბოლოს ბორჯომის ბაზრებს კიდევ ერთი ქვეყანა შეემატა, ბორჯომის პირველი პარტნიარი გაიგზავნა კორეაში. ყველა ქვეყანაში კომპანია ექსკლუზიური დისტრიბუციის პირობით შედის, თუმცა აღსანიშნავია რუსეთის მაგალითი, სადაც კომპანია საკუთარ ოფისს ფლობს, ჩვეულებრივი გადამხდელია და სიტყვა ადგილობრივ ბაზარზე დიდი ხნის წინათ წართოქვა.

შესაბამისად იზრდება საბიუჯეტო შენატანებიც. თუ 2001 წელს კომპანიამ 2,4 მილიონი ლარი გადაიხადა ბიუჯეტში, 2002 წელს შენატანებმა 2.9 მილიონი ლარი შეადგინა. ხოლო 2003 წელს, ბიუჯეტში სულ 3 მილიონი ლარი შევიდა. კომპანიის მუშაობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივი ბიუჯეტის შეესებაც, მიმდინარე წლის 9 თვის მაჩვენებლებით მარტო ადგილობრივ ბიუჯეტში უკვე 2 მილიონი ლარი შევიდა. კომპანიის ზრდასთან ერთად, საბიუჯეტო შენატანები გაყიდვების პროპორციულად გაიზარდება. უკვე დაიფარა "ბორჯომის" N1 და №2 ქარხნების ბიუჯეტისადმი 2 მილიონ ლარიანი დავალიანება, რომელიც ქარხნებს ჯერ კიდევ იმ დროიდან მოჰყვებოდა, სანამ "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" მფლობელობაში გადავიდოდა.

ბუნებრივია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ძირეული ეკონომიკური პრინციპების შეცვლის პირობებში, კომპანია და ბორჯომის წყალი ვერ გახდებოდა პოპულარული, თუ არა მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდები და შეიძლება ითქვას, რომ "მინისა და მინერალური წყლების კომპანია" ერთ-ერთი პირველია, ვინც საქართველო მსოფლიო ბიზნესის მართვის სპეციფიკას აზიარა.

შემთხვევითი არაა, რომ საერთაშორისო და ადგილობრივი პრიზებისა და ჯილდოების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. 2002 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია ლიდერად აირჩიეს ქველმოქმედების თვალსაზრისითაც. მისი დაფინანსებით აღდგა ქართული კულტურისა და სპორტის, ასევე მრავალი საზოგადოებრივი ღირსეული ტრადიცია. დაფუძნდა საერთაშორისო დონის ფესტივალი, რომელმაც მსოფლიო ხელოვნათა დიდი ყურადღება მიიქცია.

დარსების დღიდან კომპანია მომხმარებელს სთავაზობს წყლის რამდენიმე სახეობას: "ბორჯომი კლასიკური", "ბორჯომი მსუბუქი", "ბორჯომის წყაროები" და "ბაკურიანი".

უკვე ცნობილი და სახელგანთქმული "ბორჯომი კლასიკურის" შემდეგ, 1998 წლიდან GG&MW უმჯებს ახალ პროდუქტს - "ბორჯომის წყაროებს" - დაბალმინერალიზირებულ წყალს, რომელიც ჩამოედინება ბორჯომის ხეობაში არსებული წყაროებიდან. 2001 ასორტიმენტს შეემატა - "ბორჯომი მსუბუქი", ნატურალური მინერალური წყალი, მინერალიზაციის საშუალო დონით. 2004 წელს კი პირველად ჩამოასხეს დაბალმინერალიზებული სასმელი წყალი "ბაკურიანი".

"საქართველოს ნაციონალურ ავიახაზავს" "აერბასები" შემოჰყავს

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზავები" ავიაპარკს აახლებს და, საქართველოს ავიაციის ისტორიაში პირველად, ფრენებს თა-ნამებდროვე საჰაერო ხომალდებით Airbus-320 და Airbus-319-ით განახორციელებს. ამის შესახებ ავიაკომპანის პრეზიდენტმა გიორგი კოდვამ გუშინ პრეზენტაციაზე განაცხადა.

Airbus-320-ით დეკემბრიდან შემდეგი ავიარიესები განხორციელდება: თბილისი-მოსკოვი-თბილისი (კვირაში სამჯერ), თბილისი-დუბაი-თბილისი (კვირაში ორჯერ), თბილისი-სი-პეტერბურგი-თბილისი (კვირაში ერთხელ), ქუთაისი-მოსკოვი-ქუთაისი (კვირაში ორჯერ), ბათუმი-მოსკოვი-ბათუმი (კვირაში ერთხელ).

რაც შეეხება კომპანიის უახლოეს გეგმებს, კოდვას განცხადებით, მომავალი წლის გაზაფხულიდან ახალი თვითმფრინავებით დაგეგმილია საერთაშორისო რეისების განხორციელება ციურისის, მილანის, ლონდონ-

ის და ვარშავის მიმართულებებით.

"ჩვენ ველოდებით საშაერო ადამინისტრაციის გადაწყვეტილებას განრიგის დამტკიცების თაობაზე, რის შემდეგაც ხომალდის ლიზინგი შემიტანავს ხელშეკრულებას მოვანერი ხელს," – განაცხადა კოდვამ. Airbus-320-ის გამოყენებისთვის, ავიაკომპანია 5 წლის განმავლობაში ყოველთვიურად ნახევარ მილიონ დოლარს გადაიხდის.

"ნაციონალური ავიახაზავები" მომავალი წლის გაზაფხულზე ლიზინგის წესით საფრანგეთიდან კიდევ ერთ საჰაერო ხომალდს Airbus-319-ს შემოიყვანს და გამოისყიდის. თვითმფრინავის ღირებულებას, 40 მილიონ დოლარს, კომპანია 10 წლის განმავლობაში გადაიხდის. "ქართული ავიაკომპანიების ისტორიაში, ასეთი უახლესი ტიპის საჰაერო ხომალდების შემოყვანა პირველად ხდება," – განაგრძობს რეისების განხორციელება ციურისის, მილანის, ლონდონ-

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი, აფხაზურმა მხარემ ქართველ ენერგეტიკოსებს "ენგურჰსესზე" ელექტროენერგიის გამოშუშავებას 5 მილიონი კილოვატსაათით შემცირება მოსთხოვა. აფხაზეთის თვითღიარებული ხელისუფლების წარმომადგენლები ენგურჰესის წყალსაცავში არსებული ჰიდრორესურსის დაუზოგავი გამოყენების ფაქტმა შეაშოშოა. ჰესის წყალსაცავში წყლის დონე, გასული წლის შესაბამის პერიოდიან მედარებით, 12 მეტრით ნაკლებია. მცირეა წყლის შემოდინება, რაც დეკემბრის ბოლოსათვის ენგურჰესის წყალსაცავის დაცლის საფრთხეს ქმნის. ამჟამად ჰესი თვიურად 7 მილიონ კილოვატსაათზე მეტ დენს გამოიმუშავებს. მისი მართვის ფარი გალის რაიონში მდებარეობს, აგრეგატებს კი ქართული მხარე აკონტოლებს. **ინტერ-პრესი**

სიღწალი, სიღწალის რაიონის სოფელ ქვემო პოდბეს მოსახლეობამ დღეს გამაფრთხილებელი აქცია მოაწყო. ისინი ხელისუფლებისგან, როგორც ყოფილი მთავრობის სამართალმემკვიდრისგან, 1992 წელს ჩაბარებული ყურძნის თანხას ითხოვენ. 157 ოჯახის მიერ ჩაბარებული ყურძნის საერთო ღირებულება 400 ათას ლარს შეადგენს. მოსახლეობა გასული წლების მიწის საიჯარო გადასახადის დაგვიანებაზე საურავის დარიცხვასაც აპროტესტებს და აცხადებს, რომ თუ შემნახველ საღაროში მათ მიერ შეტანილ ანაბრებზე და ჩაბარებული ყურძნის დღემდე მოუღებელ თანხებზე მათ სასარგებლოდ არ ხდება საურავის დაბატება, სახელმწიფო არც გლეხისგან უნდა ითხოვდეს საურავის გადახდას. **ინტერ-პრესი**

თბილისი, საქართველოს სამთავრობო დღეეგაცია ოთხდღიანი სამუშაო ვიზიტით დიდ ბრიტანეთში გაემგზავრება. 11 ნოემბერი, ლონდონში, "ვერობის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის" (EBRD) და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, საერთაშორისო კონფერენცია "ინვესტიციები საქართველოში" გაიმართება. მისი მიზანია საქართველოში კაპიტალის დაზარდებით და ზიზნეს-პროექტების განხორციელებით ინვესტრთა დაინტერესება. **ინტერ-პრესი**

თბილისი, გაერო-ს განვითარების პროგრამა საქართველოში კონტროლის პაალავის დახმარების პროექტის განხორციელებას იწყებს. პალატის თავმჯდომარემ ზურაბ სოსელიამ და გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა ლარს კლარკმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს "სახელმწიფო კონტროლის სისტემის მქმდითუნარიანობის გაძლიერების" პროექტის განხორციელების შესახებ. ორდღიანი პროექტი 750 ათასი ამერიკული დოლარი ეწირება, 10 პროცენტი კი თანადაფინანსებისთვის ქართულმა მხარემ უნდა გამოყოს. **ინტერ-პრესი**

საქართველოს სოფლის მეურნეოვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადება

რთველთან დაკავშირებული სიძნელების პირველი ეტაპი რამდენიმე კვირის წინ დროულად დასრულდა. ღვინის ქარხნები მოსახლეობისგან ყურძნის ჩაბარებაზე დათანხმდნენ. მთავრობამ პირობა მისცა მევენახეებს, რომ ჩაბარებული ყურძნის სანაცვლოდ თანხებს ერთი თვის ვადაში მიიღებდნენ.

თეთრი ყურძნის შესასყიდად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდია - 1 005 626 ლარი საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 7 ქარხანას გაუწვანდა.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით შევაშიძემ მოლაპარაკებები გამართა სახალხო ბანკის ხელმძღვანელობასთან, რის შედეგადაც ბანკმა, დაპირებისამებრ, დამატებით **მილიონ ლარამდე საკრედიტო რესურსი გამოყო, რომელიც ქვემო ქედის, მუკუჯანისა და საგარეჯოს ღვინის ქარხნებმა მიიღეს.**

დღეს უკვე პრეტენზიები ჩნდება ჩაბარებული შავი ყურძნის საფასურის გადახდაზეც, რაც ეკონომიკური გათვლებით აბსურდულია. გლეხებს არასდროს ჰქონიათ პრობლემა შავი ყურძნის რეალიზაციისა თუ საფასურის მიღების.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო დადავა ფერმერების გვერდით მაშინ, როცა კერძო სტრუქტურების ეკონომიკურ გარიგებებში მონაწილეობა კანონით არ ევალებათ. მან გაითავალისწინა ფერმერების დღევანდელი მდგომარეობა, მაგრამ ზოგიერთი ჯგუფი დღეს უკვე ამ თემას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს, რასაც გაუმართლებლად მივიჩნევთ. გამოსვლებით მსგავსი პრობლემა არ ყუდება. კერძო მეწარმეც, ბანკიც ისეთივე კერძო სუბიექტია, როგორიც ფერმერული მეურნეობა. მათზე ნებისმიერი ზემოქმედება გაუმართლებელია.

თავისი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობის ფარგლებში, სოფლის მეურნევის სამინისტრო კვლავაც გააგრძელებს ფერმერების თანადგომას.

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდება:

10 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე: გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

10 ნოემბერს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე: ვაზისუბნის დასახლების, ვაზისუბნის II, IIა მიკრორაიონების, III მიკრორაიონის I კვარტლის, ვარკეთილის მასივის IV მიკრორაიონის III კვარტლის მაცხოვრებლებს.

10 ნოემბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე: ჩიქოვანის, ახალშენის ქუჩების მაცხოვრებლებს.

11 ნოემბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე: გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), გამსახურდიას აღმართის, ენგურის ქუჩის მაცხოვრებლებს.

11 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე: თემქის IV მიკრორაიონის, გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), ცოდნისკარის, შატალის, საჩხერის, ტყეშულის, ირემაშვილის, ზევანჭყარის, ურეკის ქუჩების მაცხოვრებლებს.

11 ნოემბერს, 10.00-დან 12.00-სთ-მდე: სანზონის, გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), ერწოს, გუდამაყრის, ტიბაულის, მუხომანის, თიანეთის, დავით გარეჯელის, ჩარგლის, ხორნაბუჯის, ხევისუბნის ქუჩების მაცხოვრებლებს.

რეგიონების ენერგოდისტრიბუცია ამერიკული მენაჰმენტის ხელში რჩება

გუშინ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება გაახმოვანა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, კომპანიის მართვის ხელშეკრულება ამერიკულ "პი-ეი კონსალტინგს" კიდევ ორი წლით გაუხანგრძლივდება. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს რეგიონების ელექტრომომარაგებისა და ენერგოსისტემაში აღრიცხვიანობის მოწესრიგების საქვანძო საკითხები უახლოესი ორი წლის მანძილზე კვლავ ამერიკული კომპანიის ყურადღების ცენტრში დარჩება. ამასთან, "პი-ეი კონსალტინგი" ენერგოკომპანიას პრივატიზაციისთვის მოამზადებს.

ოს მთავრობას თანხების გადამბეზნა, შესაძლოა, ვერ მოეხერხებინა. არადა, "პი-ეი კონსალტინგთან" გაფორმებულ ძველ, 18-თვიან კონტრაქტს ვადა ნოემბრის დასაწყისში გაუვიდა. როგორც დინ უაითმა გუშინ გამოთულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამ ორწლიან პერიოდში "პი-ეი კონსალტინგი" კომპანიაში რიგი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას გეგმავს. ამ მიზნით, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მენეჯერებმა გერმანიის განვითარების ბანკს (KfW) 30 მილიონი დოლარის ოდენობის სესხი უკვე სთხოვეს. "ჩვენ გავისტუმრეთ იმპორტირებული ელექტროენერგიის დავალიანება, დეფიციტური ძველი მმართველის მიერ აღებული საბანკო სესხები, დავინვეთ დენის საფასურის გადახდა საბითუმო ბაზარში. მიუხედავად ამისა, პრობლემები ბევრია. მაგალითად, რეგიონებში 8 საათიანი და დიდ ქალაქებში 19-21

ტაქ-ბიუროები ლიკვიდირებულია

ამიერიდან ყველამ თავისი უძრავ-მოძრავი ქონების დასარეგისტრირებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა მიმართოს და არა ტექ-ბიუროს. ეს უკანასკნელი უწყება ლიკვიდირებულია და მისი ფუნქცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაეკისრა.

დინადა ჩარაა

მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის, ნასყიდობისა და ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაცემას და გაფორმების პროცედურას ამიერიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს. თუმცა გაუქმებული ტექბიუროების უფლებამოსილების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოზე დაკისრების შემდეგ, ეს უკანასკნელი მოძრავი ქონების გირავნობის რეგისტრაციასაც მოახდენს. ამით, სააგენტოს თავმჯდომარის დავით ეგიაშვილის გა-

ლმა, დავით ეგიაშვილმა "24 საათას" საუბრისას აღნიშნა, რომ ზესტაფონის, ხარაგაულის, თეთრიწყაროს, წალკის და რუსთავის რაიონული ტექნიკური ბიუროების მესვეურნი სააგენტოსთვის მასალების გადაცემას აჭიანურებენ და შესაბამისად, იქაურებს, ჯერჯერობით, სააგენტო ვერ მოემსახურება. "ურჩი" რაიონების მკვიდრი სასურველ დოკუმენტაციას ვეღარც ადგილობრივ ბიუროებში მიიღებენ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბრძანების შესუსრულებლობის გამო, თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აცხადებს, რომ ამიერიდან მოქალაქეებისთვის ბნისი, მიწის ნაკეთის ყიდვა-გაყიდვის, ნასყიდობისა და ჩუქების დამადასტურებელი შესა-

ბამის დოკუმენტაციის გაფორმების პროცედურა გამარტივდება და გაიადგმება. ახალი დადგენილებით, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ფასი შვიდ ლარამდეა შემცირებული, ამონაწერის გაცემის ვადა ერთი დღით, ხოლო პირველადი დოკუმენტაციის გაცემის ვადა 10 დღითაა განსაზღვრული. ამ დროისათვის სააგენტოში მოძრავ ქონებაზე 3000 პირის უფლებათა რეგისტრაციის ცნობაა გაცემული - ძირითადად აგირავენ ავტომობილებს.

სააგენტოს მესვეურნი იმედოვნებენ, რომ მომავალი წლიდან მათ ხელთ არსებული ინფორმაციის შესყიდვით კომერციული ბანკები დაინტერესდებიან, რომლებიც კლიენტთა ქონების ქირავნობის და დაჟადღების შესახებ დოკუმენტურ მასალას მოიიოვებენ.

რკინიგზის სადგურებს არამონტაჟენ

თბილისში განახლებული რკინიგზის ცენტრალური სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორია შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრეშვილმა დაათვალიერა. ცენტრალურ სადგურში და

მის სალიანდაგო პარკში აღდგენა-განმენდვითი სამუშაოები ერთი თვის მანძილზე მიმდინარეობდა. წესრიგშია მოყვანილი ცენტრალური სადგურის ტერიტორია, საიდანაც რამდენიმე ასეული ვაგონი ნავაგ-ნარჩენი გაიტანეს.

განახლდა სადგურის სალიანდაგო მაგისტრალი. სადგურის ტერიტორია რკინიგზის ფილებით შემოღობა. აღდგენა-შეკეთებითი სამუშაოები თბილისის სავაგონო დეგოს სალიანდაგო პარკშიც ჩატარდა, რომლის სრულ-

ად ამოქმედება ცენტრალურ სადგურს განტვირთავს. "ანალოგური სამუშაოები რკინიგზის ცენტრალურ სადგურზე სისტემატურ სახეს მიიღებს, რასაც პირადად გაეკონტროლებ," – განაცხადა ონოფრეშვილმა. **ინტერ-პრესი**

მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე ინვეეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველის** თანამდებობის დასაკავებლად. **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

- იმუშავებს კონტრაქტორის *ხარისხის კონტროლის ინსპექტორის* საქმიანობის თანამიმდევრულად და მეთვალყურეობას გაუწევს მილსადენის თხრილის გაყვანის, მილის ჩადების, გრუნტით დაფარვის, ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელის ჩადების და შესრულებული სამუშაოს საბოლოო შემოწმების სამუშაოებს.
- უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორმა თავის საქმიანობაში დაიცვას მისივე შედგენილი მშენებლობის მეთოდოლოგია და "სამუშაოების წარმოების ნებართვით" დადგენილი პროცედურები;
- სათანადო გულმოდგინებით მოეპყრობა კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხებს და მყარად დაიცავს კომპანიის HSE წესებს თავის სამუშაო ადგილზე.
- გააკონტროლებს, რომ მშენებელი კონტრაქტორის მხრიდან სამუშაო შესრულდეს მილსადენის კომპანიის მიერ დამტკიცებული დოკუმენტაციის მოთხოვნების დაცვით;
- მოეთხოვება მიმართულების მენეჯმენტის წინაშე ყოველდღიური ზუსტი ანგარიშების წარდგენა ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

მოთხოვნები:	
■ ფართო მასშტაბის მიწის სამუშაოებზე, განსაკუთრებით დიდ სირღმეებზე გათხრის სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება, ან საგზაო მშენებლობის და ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მეთოდოლოგიის გამოყენების გამოცდილება, ან დროებითი დამხმარე ნაგებობების და მოშორებულ ადგილებამდე კომუნიკაციების მიყვანის სამუშაო გამოცდილება; ■ ინგლისური და ქართული ენების თავისუფლად ფლობა; ■ MS Office-ის მყარი ცოდნა; ■ საჭიროებისამებრ სხვა სფეროს ზედამხედველების ჩანაცვლების შესაძლებლობა; ■ მილსადენის სამშენებლო დერეფნის მომზადების, გრუნტის ზედა ფენის მოხსნის და დასაწყობების და შემდგომში მიწის საფარის აღდგენის ოპერაციებთან დაკავშირებულ სამუშაოებზე ზედამხედველობის გასაწევად საჭირო კვალიფიკაცია; ■ მრავალ-დისციპლინური და მრავალეროვანი სამშენებლო ბრიგადის შემადგენლობაში მუშაობის უნარი; ■ კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხების და სამუშაო ადგილზე კომპანიის HSE წესების მყარად დაცვის უნარი; ■ კომპიუტაციის დადებითი უნარი.	
განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია	
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვანოდით თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2004 წლის 12 ნოემბერი, პარასკევი .	
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.	
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.	
კადრების განყოფილება	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
	BP-საქართველო
	საქართველო, თბილისი
	საბურთალოს ქუჩა N 38

ფალუჯას ცენტრი - ამბოხებულთა უმთავრესი ფორპოსტი

ხათუნა ბაჩიავი

სი-ენ-ენ-ის მიერ გავრცელებულ ცნობების თანახმად, აშშ-სა და ერაყის სამხედრო ძალებს ფალუჯა-ში, ორდლიანი ფართომასშტაბიანი ოპერაციისას, მოსალოდნელთან შედარებით, ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდა. ოპერაცია მას შემდეგ დაიწყო, რაც ერაყის დროებითი ხელი-სუფლების წარმომადგენელმა აიად ალკაიმი მასზე ფორმალური თანხმობა განაცხადა. მის მიერვე გამოცხადებულია 24 საათიანი კომუნდანტის საათი ფალუჯასა და მეზობელ რამადოში, რომელიც ასევე აჯანყებულთა ფორპოსტად ითვლება.

ქალაქის ცენტრის დასაკავებლად მიმდინარე ბატალიები ძირითადად აჯანყებულთა მხრიდან 25 კაციანი ჯგუფების სპორადული წინააღმდეგობით შემოფარგლუვდა. საჯარისო ნაწილები ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლებს. ერაყში აშშ-ს ძალების მეთაურის გენერალ ჯორჯ კეისის თქმით, ოპერაციაში 15 000 ამერიკელი და ერაყელი ჯარისკაცი მონაწილეობს. აღნიშნულ კონტინგენტს წინააღმდეგობას დაახლოებით 3 000 აჯანყებული უწევს. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულები თითქმის ყველა ქუჩაზე იბრწიან, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკელებმა უკვე შეძლეს მნიშვნელოვან მიიტეტამდე – ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მექთანად – მიღწევა. ამასთან, აშშ-ს სამხედრო დანაყოფების მიერ უკვე დაკავებულ შენობა-ნაგებობებში აღმოჩენილ იქნა სარაკეტო ნაღმტყორცნები, ჭურვები და 100 ფუტბი ტროტილი.

მომიტინგეებმა ყარაჩი-ჩარჩახაითი პრაზიდენტის ქაზინაში უმტყორცოდ აიღეს

გუშინ ჩერკესკში იქ მიმდინარე მიტინგის მონაწილეები მოსკოვის დროით 12 საათზე ყარაჩი-ჩერქეზეთის მთავრობის სახლში შეიკრნენ და პრეზიდენტ მუსტაფა ბატდიევთან შეხვედრა მოითხოვეს. თუმცა, მონაწილეთა თქმით, “თავად ბატდიევმა მომიტინგეებთან შეხვედრაზე კვალავ უარი განაცხადა და შენობა უკანა გასასვლელთან დატოვა”.

მიტინგის მიზეზი ყარაჩაელების რაიონში მიტოვებულ მასტაბში შეიდი მენარმის დამახინჯებული სხეულის ფრამენტების პოვნა გახდა, რომლებიც პრეზიდენტ ბატდიევის სიძის, ალი კაიტოვის აგარაკზე 11 ოქტომბერს მოკლეს.

როგორც რესპუბლიკის შსს იუწყება, აქციის მონაწილეებმა შენობის პირველი საართლი დაიკავეს და პრეზიდენტის კაზინეტში შეიჭრნენ. მილიციის მონაცემებით, როდესაც მომიტინგეებმა გაარკვიეს, რომ პრეზიდენტი იქ არ იმყოფებოდა, კაზინეტების დარბევა დაიწყეს. სააგენტო “იტარ-ტასის” ცნობით, მთავრობის სახლში 300-400 დამიანი შეიჭრა. მათ რესპუბლიკის მეთაურის კაზინეტიდან აევიდა და კომპიუტერული ტექნიკა გადმოყარეს სასახლეში დაახლოებით 2 ათასი ადამიანი იმყოფებოდა, რომლებიც მთავრობის წევრთა კაზინეტებს არბევენ.

მტურების მონაწილეები ირმწუნებიან, რომ “დოკუმენტები და არქივები ხელუხლებელი დარჩა”. მათი



ხალდადის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ბაქებაში პოლიციის განყოფილება თავს დაესხნენ აჯანყებულები. რასაც მსხვერპლად 15 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ლამის ბრძოლებისას ქალაქი იბომბებოდა ყველა მხრიდან, ზორციენლდებოდა როგორც საჰაერო, ისე სახმელეთო თავდასხმა. ერაყელი პოლიტიკოსის აღნან პაჩაჩის განცხადებით, “ბევრისთვის ეს, შესაძლოა, მძიმე დანაკარგებით აღსავსე ხანგრძლივი ომის დასტური იყოს და შესაძლოა, ამ ოპერაციამ ისინი, არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, აიძულოს, შეცვალონ თავიანთი პოზიცია, რადგან ამ ომის

გაგრძელების შემთხვევაში ქვეყანაში ისედაც არსებული არასტაბილური გარემო კიდევ უფრო დამძიმდება”. ფალუჯის მცხოვრებთა კომიტეტის ხელმძღვანელის ხალედ ჯუ-მაილის თქმით, კომუნიკაციების ბლოკირებით ამერიკელმა და ერაყელმა სამხედროებმა ქალაქისთვის მედიკამენტების, წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდება შეწყვიტეს. რაც შეეხება ქალაქის მოსახლეობას, ზოგიერთი წყაროს თანახმად, ათეუ-

ლი ათასობით მშვიდობიანი მოსახლე ჯერ კიდევ უნდა იყოს დარჩენილი ფალუჯაში.

ჯერჯერობით, დაუზუსტებელია მსხვერპლთა რიცხვი. აშშ-ს ძალების ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, სახმელეთო იერიშამდე საარტილერიო და საჰაერო შეტევის შედეგად დაღუპული იყო დაახლოებით 90 ბოევიკი. ამერიკელების მხრიდან ასევე განხორციელდა სარაკეტო თავდასხმა ერთ-ერთ შენობა-ნაგებობაზეც, სადაც ამერიკელთა ვარაუდით, ბოევიკები იყვნენ გამაგრებული. ფალუჯის საჰაერო სიერციდან ამერიკული ვერტმფრენის ჩამოგდების შესახებ გავრცელებულ ინფორმაცას კი აშშ-ს სამხედრო ძალების წარმომადგენლები უარყოფენ.

აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის განცხადებით, “ეს მძიმე საშუაობა და მისი დასრულება დროს მოითხოვს”, მაგრამ მისი თქმით, ქალაქში გამაგრებულ მეამბოხეებს, იგივე მკვლელებს, ტერორისტებს და სადამ პუსეინის ჩამოგდებული რეჟიმის წარჩენებს პასუხის გაცემა სჭირდება.

ფალუჯის მტურმამდე გაერო-ს წარმომადგენელმა ფრედ ეკპარდმა განაცხადა, როგორც გენერალური მდივანი კოფი ანანი მიიჩნევს, ხანდახან აუცილებელია ძალის გამოყენება, თუმცა “ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტში იგი, შესაძლოა, დესტაბილიზაციის მიზეზიც გახდეს”.

იორდანელი ექსტრემისტი აბუ მუსაბ აზ-ზარყავი კი ფალუჯის მკიდრით წინააღმდეგობის განცემა მოუწოდებს, რადგან გამარჯვება – ეს მხოლოდ და მხოლოდ “დღეების საკითხია”.

აეთო - ქრამლის შანტაჟის ოზიქტი

ვლადიმირ სოჟოჩი „რულ სტრიტ ჰორნალ“.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში წლის ბოლოს შემაჯამებელ კონფერენციაზე მისაღები საკითხებისა და დოკუმენტების ინტენსიური განხილვა მიმდინარეობს. რუსეთი, რომელიც საბოუჯეტო საკითხების გამო ეუთოს თავზე დამოკლეს მახვილივით კიდა, სხვა ქვეყნებში ეუთოს პროგრამების დაფინანსებასა და საქმიანობაზე ვეტოს დადებით იმუქრება, თუ ეს ორგანიზაცია მოსკოვის წინადადების თანახმად რეფორმირებას არ დაიწყებს. ვაშნეტკონი და ბრიუსელი პოლიტიკური გადანეჭილეთის მიღების ზღვარზე დგანან – ნავიდნენ დათმობაზე რუსეთთან, რათა “შეინარჩუნონ კონსენსუსი” ეუთოში და “წარმატებით” ჩაატარონ კონფერენცია.

რუსეთს, რომლის განკარგულებაში ხუთი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაც არის, სურს შეცვალოს ეუთოს პიიორიტეტები და რესურსები, შეასუსტოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებები და გააფართოვოს სამხედრო-პოლიტიკური და უსაფრთხოების სტრუქტურები. საბოლოო მიზანი ადვილად შესაძწწევია - უსაფრთხოების სფეროში ნატო-ს როლსა და დასავლური ინიციატივების შექცერება ევროპასა და მთლიანად ევრაზიის კონტინეტზე.

ტრადიციულად, ეუთო-ს პროდემოკრატიული მოღვაწეობა მცირედ არის დამოკიდებული რუსეთის თანხმობაზე (რუსეთის ტერიტორიაზე საქმიანობის გამოკლებები) მაშინ, როცა უსაფრთხოების სფეროში ორგანიზაციის საქმიანობა მთლიანად რუსეთის თანხმობაზეა დამოკიდებული. მეტიც, ზოგიერთი საკითხი მხოლოდ რუსეთის მიერ განისაზღვრება. სწორედ ამიტომ სურს რუსეთის პროდემოკრატიული საქმიანობის შეკვეცა და უსაფრთხოების სფეროში მოღვაწეობის გაფართოება. ასეთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად კი მზადაა ვეტოს უფლებაც გამოიყენოს.

ეუთო-ს გაცილებით გაუადვილებდებოდა ამ მანტაფისთვის წინ აღდგომა, მის შესახებ ლიად რომ საუბრობდეს და არ ცდლობდეს პრობლემის დამალვას. ეუთო-სთვის კიდევ უფრო მტკივნეულია იმის მოლოდინი, რომ იგი, შესაძლოა, უშაქნის გახდეს, მოხდეს მისი როლისა და მომუშავეთა რიცხვის შემცირება. ეს მოში წლიდან წლიამდე აიძულებდა ორგანიზაციას კრემლისა და მისი პროტექციების მიმართ დათმობებზე ნასულყოფი ისეთ საკითხებში, როგორიცაა სამოქალაქო უფლებები ბელორუსში, სიტუაცია მოლდოვაში, საქართველოზე ზეწოლა, ჩვეულებრივ შეირალებზე კონტროლი და უსაფრთხოების რესურსების სფეროში სხვა საკითხები.

ეს კურსი ალოგიკურია და მისი შეცვლა სასებით შესაძლებელია. პოსტსაბჭოთა სიერცეში დემოკრატიისა და ევროატლანტიკური უსაფრთხოების დაცვა ნათელ დადასტურება იყო იმისა, რომ ეუთოს გაღვენება ავტორიტეტი ჯერ კიდევ გააჩნია. ამ ფასულობების მსხვერპლად გალება ავტოკრატებთან “კონსენსუსის” სანაცვლოდ, მხოლოდ ამ გავლენის შექნსტების დემონსტრირება იქნება, რისი თავიდან აცილებაც ასე რთვად სურს ეუთო-ს.

წლის ბოლოს დაგეგმილ კონფერენციაზე ეუთო-მ ბელორუსის დიქტატორის ალექსანდრ ლუკაშენკოს მიერ მოწყობილი ცინიკური საარჩევნო ფარსი აჟარაზრჩენიდან უნდა გააერთიანოს. იგი ასევე კრემლის პოლიტიკური ემისრების მიერ ორგანიზებულ კამპანიასაც უნდა შეხუბოს, რომლებიც მოსკოვისთვის მისაღები პრეზიდენტის ასარჩევად ღიად მიმართავენ “კატეგშნიკურ” მეთოდებსა და მილიონობით რუსულ “ნავთობ-დოლარს” უკრანიაში “ქაჩევენ”. მართალია, ეუთო-მ ზრდილობიანად გააკრიტიკა ორივე სახალწლო, მაგრამ ამ კრიტიკას მართოდენ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.

ბოლო დროს მოსკოვმა ლოიალურ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს რუსების მეთაურობით სადამკვირვებლო მისიების შექმნა დაავალა, ომელთა მთავარი დანიშნულება ეუთო-ს მიერ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გაკეთებული შეფასებების ქვეყნებ დაყენება იქნებოდა. რუსეთის ეს პოლიტიკა მზარასობრეავდა ახალი სულაც არ არის, თუმცა, იგი ბოლო ორი თვის მანძილზე პოპერაქტიური და აგრესიული გახდა. მაგალითად, დამკვირვებლთა დელე-

ნეალო. კატმანდუს ცენტრში 9 ნოემბერს განხორციელებული ტერაქტის შედეგად 40 ადამიანი დაშავდა. პოლიციის მონაცემებით, მშენებარე საგარეო ცენტრის შენობაში ძლიერი ასაფეთქებელი მოწყობილობის შეტანა სამშა ტერორისტმა შეძლო. შენობის მათ მიერ დატოვებისთანავე აფეთქების მზა გაისმა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ნებაში მოქმედ არც ერთ ექსპერტისთვის დაუჯუფებებს არ აუღია საკუთარ თავზე. ხელისუფლების ვარაუდით, ტერაქტის უკან ბოევიკი-მაოისტები დგანან. **იტარ-ტასი**

ტაივანი. იაპონიის შემდეგ ძლიერი მისიძევა ტაივანზეც დაფიქსირდა. ტაივანის სეისმოლოგირი სამსახურის მიერ გავრცელებული ცნობით, მისიძმფრის სიმძლავრე რიხტერის შკალით 6.7 ზღას აღწერდა. მისიძმფრის ეპიცენტრი წმნარ ოკეანეში ქალაქ ზუალანიდან 96 კმ-ში დაფიქსირდა. ზუალანი ზღვის დონიდან 10 კმ-ის სიღრმეზეა გაჯნეწული. ნაჟლები მაგნიტუდის მისიძქვემა ბიძებში ჩინების კუმწეულის მრავალ დასახლებულ პუნქტში იგრმწობოდა, რამაც ტაიბეის მოსახლეობა გაჯრანადა დააფრთხო. თუმცა, მსხვერმლსა და მატერიალური ზარალის შესახებ ინფორმაცია ორ გავრცელებულა. აღსანიშნავია ასევე, რომ ცუნამის საშიშროება არ არსებობს. **იტარ-ტასი**

კოტ დ'ივუარი. მასშტაბური დაბორისპირებების შემდეგ კოტ დ'ივუარის სამხრეთში დაბახბლობის მკვეთრი შეწვდლება მოხდა. ფრანგული ტანკები უკვე აკონტროლებენ აბიჯანის ორ უმთავრეს ხიდს, რომლებიც ქალაქის სამხრეთისა და ჩრდილოეთის ეკარტლებს აკავშირებს. თავდასხმისა და გაძარცვის შშითი გაერო-ს მისიის შენობას თავი სარარგვეთისა და სხვა დასავლური ქვეყნების დაახლოებით 800 მოქალაქემ შეუფარა. თუმცა, საფრწვეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, უცხოელების ევაკუაციის აუცილებლობა ჯერ მაინც არ დგას დღის წესრიგში. **24 საათი**

გაეროს განცხადებით, 24 საათის განმავლობაში რესპუბლიკის პრეზიდენტი მუშტაფა ბატდიევისა და ყარაჩი-ჩერქეზეთის მთავრობის მთლიანი შემადგენლობის გადადგომა წარმოადგენდა. შენობაში შეჭრილი შეიდი მოკლული მეწარმის ნათესაებისა და ახლობლების თქმით, ისინი შენობას მანამ არ დატოვებნ, ვიდრე პრეზიდენტი ბატდიევი გადადგომის თაობაზე განცხადებას არ გააკეთებს.

“თუ 24 საათის განმავლობაში ყარაჩი-ჩერქეზეთის პრეზიდენტი მუშტაფა ბატდიევი და ძალიან უწყებების ხელმძღვანელები თანამდებობებს არ დატოვებნ, ჩვენ უფადო შიმშილობას გამოვაცხადებთ,” - განუცხადეს მომიტინგეებმა სააგენტო “ინტერფაქს”.

იმავდროულად აქციის მონაწილეებმა, მათი “მოთხოვნების დასაკანონებლად”, ყარაჩი-ჩერქეზეთის სახალხო კრების სასწრაფოდ შეკრება მოითხოვეს. სააგენტო “იტარ-ტასის” ცნობით, რესპუბლიკის პარლამენტის საგანგებო სხდომა უახლოეს დროში გაიმართება.

მომიტინგეები ასევე მოითხოვენ პარე “მწვანე კონძეული” კემპინგის მომლას, სადაც 11 ოქტომბრის ღამეს 7 ახალგაზრდა ბიწნესმენი მოკლეს. აღნიშნულ ადგლობა დასულუბლთა ნათესაეები და ახლობლები მკვლელობის მსხვერპლთა მემორიალის აგებას გეგმავენ, რომლებიც ამ დღეებში “ყარაჩი-ჩერქეზეთის კრიმინალური თავგასულობისაგან გათავისუფლების სიმბოლოდ იქნენ”.

24 საათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

ქ.ბათუმში, ზუბალაშვილის ქ.137-ში მდებარე ქალაქ ბათუმის მერიის ბალანსზე	
რიცხული არასაცხოვრებელი ფართის (ყოფილი რკინიგზის სადგურის შენობა) და მასზე მიმავრებული მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით.	
აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და ოურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობის წილი შეადგენს 25)-ზე ნაკლებს.	
ინფორმაცია ობიექტის შესახებ:	
ობიექტის ოურიდიული მისამართია . ქ.ბათუმში, ზუბალაშვილის ქ137 დაკავებული მიწის ფართობი - 2151,58 კვმ, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი - 2454,39 კვმ, მათ შორის - 135 კვმ სარდაფი.	
გამყიდველი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.	
აუქციონში მონაწილეობის პირობები ქ.ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N37-ში მდებარე ქალაქ ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი ფართის -ყოფილი რკინიგზის სადგურის შენობამ და მასზე მიმავრებული მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი განისაზღვრის 512592 (ხუთასათორმეტი ათას ხუთასოთხმოცდათორმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტით თანხა ეროვნულ ვალუტაში. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ზეს ოდენობა - 60000 (სამოცი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტით თანხით ლარებში, საჯარო ბიჯის ოდენობა განისაზღვრის 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარებში, აუქციონში მონაწილის პილეთის ფასი დადგინდეს ფიზიკურ პირთათვის 10 ლარის, ხოლო ოურიდიულ პირთათვის 50 ლარის ოდენობით.	
“შიდველი” გაღდებულია, დამტკიცებული სააუქციონო ოქმის მიღებდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი.	

ინფორმაცია განცხადების მიღების და აუქციონის ჩატარების შესახებ:
აუქციონში მონაწილეობის შესრუელთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ კვირის გარდა 2504 წლის 10 ნოემბრიდან 2004 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით 10-დან-16 საათამდე.

მისამართზე სულხან-საბა ორბელიანის ქ17 მორე საართული ოთახი 19 აუქციონი ჩატარდება 2004 წლის 10 დეკემბერს 12 საათზე. მისამართი ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ16 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

დამატებით ცნობებისათვის მიმართეთ: ქ.ბათუმი, სულხან-საბა ქ17, ოთახი N9. ტელ: 7-26-40.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

დაასახელავენ თუ არა მიხეილ ქარდიანს თსუ-ს რექტორობის კანდიდატად?

8 ნოემბერს მთაწმინდაზე უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ნაწილმა ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე უჩვენულოდ აღიწნა. მათ ილიას საფლავზე ფიცე დადეს, რომ უნივერსიტეტის დასაცავად იბრძოლებდნენ. ეს სტუდენტები, რომელთა უმეტესობა ჟურნალისტიკის ფაკულტეტიდანაა, ადრეც აქტიურობდნენ. დამი ცაგურია ცნობილი იყო, როგორც როინ მეტრეველის მხარდამჭერი, სიგუა კი ძველი ლეიბორისტია. ამ სტუდენტებმა 8 ნოემბერს განაცხადეს, რომ მათ თავისი კანდიდატურა ეყოლებათ რექტორის არჩევნებზე. ისინი საზოგადოებას შეპირდნენ, რომ უნივერსიტეტში, სარაჯმენილის სახელობის აუდიტორიაში გამოცხადებული იქნებოდა მათი რჩეულის სახელი და გვარი, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა – სტუდენტებმა კანდიდატის სახელი და გვარი არ გამოაცხადეს. საერაუდოა, რომ სარაჯმენილის აუდიტორიაში მათი ამბიციები ვერ დაიტია. დაგეგმილია, რომ 10 ნოემბერს - ანუ დღეს, ცამეტ საათზე უნივერსიტის სააქტო დარბაზში გაცალეებით მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე გამოცხადდება სტუდენტების რჩეული კანდიდატის სახელი და გვარი. თუ ვინ იქნება იგი, ყველას ძალიან აინტერესებს.

თამარ ჭაჭანიძე

თსუ-ს რექტორობის სახელისუფლო კანდიდატურა - რუსუდან ლორთქიფანიძე სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის თანამდებობაზე I ოქტომბერს დაინიშნა. 11 ოქტომბერს უნივერსიტეტში გაიმართულ დიდ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე კი გამოცხადდა, რომ არჩევნები ორი თვის შემდეგ, ანუ 13 დეკემბერს დაინიშნება. უნივერსიტეტის წესდების თანახმად, რექტორობის კანდიდატის წარდგინების მასალები 13 ნოემბრამდე მიიღება. რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წლის ასაკამდე მეცნიერების დოქტორი, პროფესორი. რექტორობის კანდიდატის წარდგინების უფლება აქვთ ფაკულტეტების, ინსტიტუტების და ფილიალების საბჭოებს, აგრეთვე, სტუდენტთა თვითმმართველობას. ყოველ მათგანს შეუძლია, წამოაყენოს რექტორობის თითო კანდიდატი. კანდიდატი წარმოდგენილად ითვლება, თუ მას მხარს უჭერს კენჭისყრაში მონაწილეთა ორი მესამედი მანის.

რექტორობის კანდიდატის წარდგენა მოთვრდება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე. რექტორობის კანდიდატი ვალდებულია, წარდგინების შემდეგ უნივერსიტეტის გაზეთში გამოაქვეყნოს თავისი მოქმედების პროგრამა. ის კანდიდატი, რომელიც პროგრამას არ გამოაქვეყნებს, კენჭისყრის ბიულეტენში არ შევა. დასახელებულ კანდიდატს უფლება აქვს, მოხსნას თავისი კანდიდატურა არჩევნებამდე ნებისმიერ დროს. რექტორი აირჩევა დიდი საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით, სრული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობით - ექვსი წლის ვადით. უნივერსიტეტის დიდი საბჭოს მიერ არჩეულ რექტორს, საქართველოს განათლების მინისტრის წარდგენით, ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

დღეისთვის რექტორობის სამი კანდიდატის გვარია ცნობილი. ესენი არიან: თსუ-ს საერთაშორისო ბიზნე-

რობიაქიძენი



ორიოდე წლის წინ გარემონტებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობა გუშინ თანამშრომლებს კედლის წარწერებით დახვდათ: "რეფორმატორებო, წადით!" "ძირს დეფორმატორი!". მეგზოვნი, - ბავშვები დაინახეთ. "განათლების გადარჩენის ეროვნულმა ცენტრმა", რომელიც სამინისტროს შენობის წინ არის დაბანაკებულ-გამაგრებული, ვერაფერი ხაზნაბა. ეს არის განათლება უნდა გადაგაგრძნოთო, - რომ დაუჩენებიათ? შენობა ხომ ნებისმიერი მინისტრის დროს იქნება საჭირო?!

საქართველოს უსტიციის სამინისტრო აცხადებს:

მსურველთათვის საბუთების მიღებას საჯარო რესტრის ეროვნულ სააგენტოს და მის ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე საკვალიფიკაციო გამოცდამი მონაწილეობის მისაღებად.

საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ტესტური და გასაუბრების ფორმით:
- საკვალიფიკაციო გამოცდას ტესტური ფორმით აბარებენ ეროვნული სააგენტოს კადასტრის, რეგისტრაციის ოურიდიული სამსახურებისა და ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატები. - საკვალიფიკაციო გამოცდას გასაუბრების ფორმით აბარებენ: 1 პუქტით გათვალისწინებული პირები, ვინც ტესტურ გამოცდაში გამსვლელი ქულა მიიღო და ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ვაკანტურ ადგილებზე დასანიშნი პირები.
მოთხოვნები საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილე პირთათვის:
საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.
საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:
- განცხადება კომისიის თავჯდომარის სახელზე; - ავტობიოგრაფია; - განათლების დამადასტურებელი მოწმობა და მოწმობის ასლი; - ამონაწერი შრომის წიგნაკიდან; 2 ფოტოსურათი (3/4); - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

საბუთები მიიღება 2004 წლის 15-დან 28 ნოემბრამდე. სამუშაო დღეებში 14:00-დან 18:30-მდე; შაბათ-კვირას 11:00-დან 17:00-მდე.
საბუთები მიიღება შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის N30 საქართველოს უსტიციის სამინისტრო. ☎ 75 82 94
(მოქალაქეთა მისაღები, გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან).

გამოცდა ჩატარდება საკვალიფიკაციო გამოცდის გამოცხადებიდან სამი კვირის შემდეგ.

ნანა ყაველაშვილი

“ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს პრობლემები, მაგრამ არ ვართ მეორეხარისხოვანი ადამიანები. ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი ის, რაც - თქვენ,” - ამ სიტყვებით გახსნა საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტმა ამირან ზატატუნაშვილმა გუშინ, 9 ნოემბერს ყრუთა კავშირის ახალგაზრდა წევრები მთერ გამართული შემოქმედებითი საღამო.

სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დარბაზში შეკრებილ სტუმრებს ყრუთა კავშირის ახალგაზრდა წევრებმა საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობები და მრავალფეროვანი რეპერტუარი წარუდგინეს. ცეკვები – “ქართული”, “სამაია”, “მთიულური”... არანაირი დამახლუბა, ღიმღით გასხივისნებული სახეები, არც ერთი ზედმეტი მოძრაობა. ფიზიკური ნაღის მიუხედავად, ისინი მღერიან, ცეკვავენ, უკრავენ, სპექტაკლებს დგამენ; უხარი-ან, მაყურებელს რომ მოსწონს მათი ხელოვნება და, აღფრთოვანებული, ტამს რომ უკრავს.

გუშინ საღამოს დამსწრეთა უმეტესობამ, ვინც პირველად გაეცნო

„საფარი“ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ

ნანა ბასილაშვილი

ოჯახური ძალადობა, როგორც ასეთი, ქართულ სივრცეში მხოლოდ ქალზე მამაკაცის ძალადობად აღიქმება, ისიც – გავრცეებით. ქვეყანაში, სადაც ქალისდმი პატივისცემა მამაკაცის ერთ-ერთ მთავარ თვისებად ითვლება, ასეთ რამეს დღესაც ძნელად იჯერებენ; დღესაც – იმიტომ, რომ ჩვენს სინამდვილეში არსებობენ ოჯახები, სადაც ძალადობენ არა მარტო ქალებზე – ცოლებზე, დედებზე, დებზე, არამედ - შვილებზეც. არიან თუ არა ეს უკანასკნელი ძალადობის უშუალო მსხვერპლი, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს – სხვის მიმართ განხორციელებული ძალადობის ყურება მათში ადამიანთა გრძნობას, პიროვნებას ანგრევს, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. ამიტომ, უნდა გახდეს ოჯახური ძალადობის მსხვერპლებზე ზრუნვა პატიო ზრუნვის საგანი. იმან, რომ საქართველოს ასეთი მსხვერპლი სხვებზე ნაკლები ჰყავს, ამ პრობლემაზე თვალი არ უნდა დაგვახუჭონოს; სხვაგვარად ავრცხიის დაძლევა ჩვენს საზოგადოებას გაუჭირდება.

ოჯახური ძალადობა არის განმეორებადი და ხშირი ციკლი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური შეურაცხყოფისა, რომელსაც ოჯახის ერთი წევრი ახორციელებს მეორეზე კონტროლისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად – ასეთია ოფიციალური განმარტება. მეცნიერებმა, ადვოკატებმა და პრაქტიკოსებმა ცდეს, რომ ადამიანის უფლებების სამართალი განიცრობას ისეთ პირადულ ზფეროზე, როგორიც არის ოჯახური ძალადობა. ალბათ, არავრთხელ მოვიხსენიოა, შევხედ-რივართ, გვიანახავს ან წავგიკითხავს სხვადასხვა შემზარავი ფაქტი და შემიხვევა “ოჯახური ძალადობის ანთოლოგიიდან”: ძალადობა ბავშვზე, მოხუცზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, მამაკაცზეც. ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, რომელნიც გამოსავალს უკვე ვეღარ ხედავენ, საკუთარი



ირაი ლაზოიშვი ფოტო

ყრუთა კავშირის ახალგაზრდა წევრების შემოქმედებას, “სასიამოვნო აღმოჩენა” გააკეთა: შეზღუდული შესაძლებლობები ბარიერი სულაც არ არის. შეუძლებელი არაფერია - მთავარია მონდომება და რწმენა იმისა, რომ გამოვივა.

“ეს ადამიანები საზოგადოებისათვის უცნობები არიან. ასევე,

თველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტის თანაშემწე მაია მეტონიძე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის ხელმძღვანელის კობა ნადირაძის თქმით, სმენადაქვეითებულთათვის კულტურულ-შემოქმედებითი პროგრამები საზღვარგარეთ უწყვეტად მოქმედებს. **“ასეთი პროგრამა ჩვენთანაც იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, კარგა ხანია, აღარ მოქმედებს. არადა, მსგავსი პროგრამები მათ ისევე სჭირდებათ, როგორც ყანგაბდი”**, - ამბობს კობა ნადირაძე.

საღამოს თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შემოქმედ ახალგაზრდებს საჩუქრები გადასცეს და მომავალი თანამშრომლობის გეგმები გააცნეს. სამსახურმა ყრუ ინვალიდთათვის თარჯიმან-დაქტილოლოგების უზრუნველყოფის პროგრამა შეიმუშავა, რომელიც 2005 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. პროგრამის განხორციელებისათვის რვა ათასი ლარია განსაზღვრული.

ლიტაციის გავლა.

დაარსებიდან დღემდე “საფარი” ოჯახური ძალადობის პრობლემასა და ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოებაზე ორი ძირითადი მიმართულებით - ძალადობის პრევენციისა და ფსიქოსოციალური რეაბილტაციის გზით მუშაობს. პრევენციულ ღონისძიებათა წესსაში შედის საზოგადოებრივი ცნობიერების ღონის ამაღლება, ძალადობის შედეგების და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ მისი ინფორმირება და პროფესიონალთა სწავლება.

“საფარის” 2004-2005 წლის პროექტს, ისევე, როგორც გასული წლების კომპანია “ფილმი მორის ინთერნეტშენალის”, ევროპის ფონდისა და წელს უკვე USAID–ის ფინანსური ხელშეწყობით ახორციელებს. წლევეანდელი პროექტის ერთ-ერთი სიახლე ისიც გახლავთ, რომ მისი არეალი გაიზარდა და უკვე ინსავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსაც მოიცავს. ეს პროექტი ათ თვეს გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში “საფარი” გამართავს სპეციალურ ტრენინგებს ექიმების, ფსიქოლოგების, მასწავლებლებისა და მედიის წარმომადგენელთათვის არა მარტო თბილისში, არამედ ქუთაისსა და თელავშიც. კავშირის პროექტი ითვალისწინებს, აგრეთვე, მცირე კვლევას, რათა უკეთ დაიგეგმოს ოჯახში ძალადობის პრობლემების გადაჭრის გზები.

ფსიქოლოგიურ, სოციალურ და სამედიცინო რეაბილტაციურ ღონისძიებებთან ერთად “საფარი” ითვალისწინებს ინდივიდუალურ, წყვილებთან, ოჯახურ და ზოგ შემთხვევაში, ჯგუფურ სესიებს. აღსანიშნავია, რომ სატელეფონო და კაპინტური კონსულტაციები ხორციელდება როგორც მსხვერპლთან, ასევე - ე.წ. აგრესორთან.

აღზრდის სტილი, მაგალითი, სკოლის კონტექსტი, ადამიანის უფლებები, კანონი, არაძალადობრივი კულტურის ხელშეწყობა - ეს ის ექვსი კომპონენტია, რომელიც “საფარის” დირექტორმა ნინო მახაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჩამოთვალა და, მისი განმარტებით, ფენომენის - “ოჯახი - ძალადობის გარეშე” - საფუძველთა საფუძველია.

საქართველოს უსტიციის სამინისტრო

5. უზრუნველყოს შეკვეთილი წიგნების მიწოდება კონკურსში მონაწილეობა შეუძლია წიგნით ვაჭრობის ნებისმიერ ორგანიზაციას (სამეწარმეო იურიდიულ პირს), რომელსაც აქვს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება.
კონკურსის ბიუჯეტი: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 90 000 ლარს.
პროექტის ჩაბარების ვადები: პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 18 ნოემბერი
ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი
ინფორმაციისათვის დარეკეთ: ტელ. 99 03 06



გაერთიანების მემორანდუმი აფხაზეთისთვის

“ღია საზოგადოება-საქართველოს” ცენტრალურ ოფისში გაერთიანების მემორანდუმს ხელი მოაწერეს აფხაზეთის კონფლიქტზე მომუშავე ათმა არსამთავრობო ორგანიზაციამ, ესენია: “აფხაზეთის ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია”, “ექს-კომბატანტთა კლუბი”, “კავკასიური სახლი”, “კავშირი - მშვიდობიანი კავკასია”, “კავშირი ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები”, “კულტურულ ჰუმანიტარული ფონდი - “სოხუმი”, კოალიცია “ახალგაზრდობა მშვიდობიანი აფხაზეთისთვის”, “საზოგადოებრივი პროგრამების ფონდი”, “საზოგადოებრივი განვითარების ასოციაცია - 21-ე საუკუნე”, ქართველ და აფხაზ შემოქმედ ქალთა კავშირი - “მიტკეცება”.

ლელა მარბიანი

ახლად შექმნილი კოალიციის ძირითადი ამოცანაა შერიგებისთვის სამშვიდობო რესურსების მოძიება და მოზილიზება. მისი ძირითადი პრინციპებია: ზნეობრიობა, ურთიერთ-პატივისცემა, არა ძალადობა, თანასწორუფლებიანობა და ურთიერთის ინტერესების გათვალისწინება. კოალიციამ შემავალი ორგანიზაციები ცალ-ცალკე მუშაობდნენ კონფლიქტის აღმოფხვრაზე. მათ წლების მანძილზე საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ. ბევრი საინტერესო პროექტიც განახორციელეს. ჟღონდათ შეხვედრები აფხაზეთან, ყოფილ მებრძოლებთან, ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების აფხაზ წევრებთან,

ახალგაზრდებთან. ამჯერად კი მათ გადაწყვიტეს გაერთიანება, რადგან ცალ-ცალკე საქმის კეთებას საერთო მიზნისკენ ერთობლივი სწრაფვა ამჯობინეს.

“გვირგვინ ჩვენი ორგანიზაციების ძალისხმევა გაეერთიანოთ და მივემართოთ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისაკენ. ამ ეტაპზე გავერთიანდით ის არასამთავრობო ორგანიზაციები, ვისაც გვყავს აფხაზეთში პარტნიორები, ვისაც იცნობს საზოგადოება. მიხარული ვიქნებით, თუ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც შემოუერთდებიან ჩვენს კოალიციას.”- აღნიშნა ჩვენთან საუბარში კოალიციის შექმნის ერთ-ერთმა ინიციატორმა, “აფხაზეთის ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციის” ხელმძღვა-



ლელა მარბიანი, ჟღონ

ხელმწიფის ცერემონია.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გათანაბრების მოუხვარებლობის კონსენსუსი

გიორგი ანაბაძე

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის, ბ-ნ ნოდარ ნათაძის ვრცელ წერილში, რომელსაც “აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარანტირებული აღდგენის (კურსივი ჩემია. – გა.) კონცეფცია” ეწოდება (გაზეთი “24 საათი”, N 251, 22.10.04), ჩამოთვლილია ის ნაბიჯები, რომლებიც ავტორის აზრით: “საქმარისა, რათა შედგეს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს (ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენა გასურველად იმისა, ჰყავს თუ არა საქართველოს მსოფლიოს წამყვან ძალთა შორის “მეგობრები”, ანუ საქართველოს დიპლომატიური, ეკონომიკური, პოლიტიკური ან რაიმე სხვა სახის დახმარებისათვის განწყობილი ქვეყნები”.

ნ. ნათაძის კონცეფციის ამოსავალი დებულებაა იმის მტკიცება, რომ “ქართველი ხალხი აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორიის ერთადერთი ავტონომიური ხალხია, . . . რომელსაც ეს ტერიტორია უცხოელთა ტყვეობის მდგომარეობიდან გადაიყვანა განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში”. რაც შეეხება აფხაზეთს (ბ-ნი ნოდარი მათ მოიხსენიებს ასე: აფსუა (“აფხაზი”) ხალხი), მათ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ადილეური მოდგმის ეთნოსად მიიჩნევს, რომელიც კავკასიონის ქედის სამხრეთით დამკვიდრდა ძირითადად XVII-XVIII სს-ში.

აქედან გამომდინარე, ნ. ნათაძე აკეთებს დასკვნას, რომ “აფხაზეთი არ არის აფსუების (“აფხაზების”) ქვეყანა. იგი ჯერ ქართველების, შემდეგ კი აფსუების (“აფხაზების”) ქვეყანაა”.

ეს მოსაზრება ქართულ საზოგადოებაში უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია, არსებობს. მისი აზრითაა პავლე ინგოროყვა. აღნიშნული კონცეფცია თავიდანვე არ გაიზიარა ქართულმა ისტორიკოსებმა. ინგოროყვას პირობით თეზის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოქვეყნდა კრიტიკული რეცენზიები, რომელთა ავტორებმა იყვნენ ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები (ბ.გერძენიძე, ელი, ქლომთაიძე, ზ.ანაბაძე, ხ.ბაღვაძე და სხვ.), მაგრამ 1989 წლიდან, როდესაც მკვეთრად გამწვავდა ქართულ-

აფხაზური ურთიერთობები, ქართული მხარის ზოგიერთმა მამინდელმა არაფრომალმა ლიდერმა და იდეოლოგმა მომგებიანად ჩათვალა ამ ნახევრად მიჯნელებული კონცეფციის გამოყენება აფხაზური სეცესიონიზმის საპირისპიროდ. იმავე პერიოდში გაჩნდა ტენდენცია, რომ აფხაზეთისათვის, რომლებიც, პრაქტიკულად, მხოლოდ ამ ეთნონიმიით მოიხსენიებიან ქართულ წერილობით წყაროებში დაწყებული ახ.წ. I ს-ის ამბების თხრობიდან (ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ., 1955. გვ. 43), ეწოდებიანთ “აფსუა” – თვითონ სახელწოდების მიხედვით. ამ “შმაკობის” მიზანი იყო დაემკვიდრებინათ აზრი, თითქოს ის ხალხი, რომლის წარმოადგენლებიც საკუთარ ენაზე თავის თავს უწოდებენ “აფსუსა” – არ არიან აფხაზები. არადა ეს ისეთივე სისულელეა (მასაბეტი, უხუმი გამოთქმისათვის), როგორც ვინმე რუსს რომ ეთქვას, რომ ქართველებზე: **Какие же они грузины, если сами себя картвелиами называют?**!

ზაზგასმით შიშძლება ითქვას, რომ აფხაზთა არააფხაზობის თეზისი არ იზიარებს, პრაქტიკულად, არც ერთი უცხოელი (მათთვის საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა თანამედროვე პრობლემებზე საუბრისას, თუ რომელი ტომები ცხოვრობდნენ ქვეყანაში “ხელულებელი ტყვეები” დროს). რაც შეეხება აფხაზთა რეაქციას, იგი მკვეთრად ნეგატიურია, მიუხედავად კონკრეტულ პირთა პოლიტიკური შეხედულებებისა, და ხელს უწყობს იმ აზრის განტკიცებას, თითქოს ქართველებს მათი ისტორიისა და სამშობლოს მითვისება სურთ.

ასე, რომ ამ მცდარმა დებულებამ (“აფსუა” არ არის “აფხაზი”) 1989 წლის შემდეგ მხოლოდ ქართულთა ერთი ნაწილის ცნობიერებაში დაიმკვიდრა ადგილი. ბოლო დროს იგი სკოლის სახელმძღვანელოებშიც გაჩნდა. გამოდის, რომ ჩვენი პატარა ეშმაკობით ჩვენე ვიტყუებით თავს. თუ რამდენად პრობლემატულია ასეთი პოლიტიკა, უკანასკნელი 15 წლის გამოცდილებამ გვიჩვენა.

ვისაც ეჭვი ეპარება ჩემი სიტყვების სიმართლემ და სურს, თავად დაადგინოს ჭეშმარიტება “აფსუების” შესახებ, ვურჩევ, შეეცადოს ისტორიულ წყაროებში მოიძიოს თუნდაც ერთი არაკვეყნობი განცხადება კავკასიიდან “აფსუთა” გადმოსახლების შესახებ. იგი

ასეთ ცნობას ვერ იპოვებს. მოძებნოს მხარის ზოგიერთმა მამინდელმა არაფრომალმა ლიდერმა და იდეოლოგმა მომგებიანად ჩათვალა ამ ნახევრად მიჯნელებული კონცეფციის გამოყენება აფხაზური სეცესიონიზმის საპირისპიროდ. იმავე პერიოდში გაჩნდა ტენდენცია, რომ აფხაზეთისათვის, რომლებიც, პრაქტიკულად, მხოლოდ ამ ეთნონიმიით მოიხსენიებიან ქართულ წერილობით წყაროებში დაწყებული ახ.წ. I ს-ის ამბების თხრობიდან (ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ., 1955. გვ. 43), ეწოდებიანთ “აფსუა” – თვითონ სახელწოდების მიხედვით. ამ “შმაკობის” მიზანი იყო დაემკვიდრებინათ აზრი, თითქოს ის ხალხი, რომლის წარმოადგენლებიც საკუთარ ენაზე თავის თავს უწოდებენ “აფსუსა” – არ არიან აფხაზები. არადა ეს ისეთივე სისულელეა (მასაბეტი, უხუმი გამოთქმისათვის), როგორც ვინმე რუსს რომ ეთქვას, რომ ქართველებზე: **Какие же они грузины, если сами себя картвелиами называют?**!

ასევე უსაფუძვლოა ბ-ნ ნოდარ ნათაძის განცხადება, თითქოს აფხაზეთის ტერიტორიის ნახევარზე მეტ ფართობზე “არასოდეს არც ერთ აფსუსა” (“აფხაზს”) არ უცხოვრობა”. ასეთ კონკრეტულ ტერიტორიებზე იგი ასახელებს გალის რაიონსა და დალის ხეობას.

ბატონმა ნოდარმა უნდა იცოდეს, რომ 1810 წლისათვის, როდესაც რუსები შევიდნენ აფხაზეთში, იგი უპირატესად ეთნიკური აფხაზებით იყო დასახლებული – მდ. ხოსტადან ღალთქამდე. მხოლოდ აფხაზეთის უკიდურეს სამხრეთი ნაწილში – სამურზაყანოში (ძირითადად თანამედროვე გალის რ-ნი) – ღალთქამდე ენეკრომადე ეთნიკურად შერეული აფხაზურ-ქართული (მეგრული) მოსახლეობა იყო. XIX-XX სს-ის განმავლობაში სამურზაყანოს აფხაზობა ძირითადად გაქარვლელა, მაგრამ ჯერ კიდევ 1926 წლის აღწერით გალის მაზრაში დაახლოებით 13 000 აფხაზია.

ადგილობრივი (Г.П. Лежва. **Изменение классово-национальной структуры населения Абхазии. Сухуми, 1989. С. 16**). სწორედ ასეთ სამურზაყანოელს წარმოადგენენ “მივარის მოტყეების” გმირები – თარამ ეშვარი, კაც ზეამაია და სხვ.

რაც შეეხება კოდონის ზემოწელში მდებარე დაღს, იგი მოლიანად აფხაზეთში იყო დასახლებული. მათი ოსმალებში განდევნა მეფის რუსეთმა XIX ს-ის 60-იან წლებში მოახერხა. ჯერ კიდევ

XIX ს-ის ბოლოს დალი სრულიად იყო დაცლილი მოსახლეობისაგან. აფხაზეთის შესანიშნავი მცოდნე პეტრე ჭართია 1897 წელს წერდა: “დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც დალი გაქცილი იყო აფხაზეთთან... დაღლების მიერ დარგული ხეხილი ახლაც ბლომად იხსამს ნაყოფს ტყის ნადირთა საკვებათ. დალი, ძველათ იქაურ მცხოვრებთა ვაჟკაციოთი განთქმული ქვეყანა, დღესაც გავერანგებულია ისე, რომ შიგ არავინ ცხოვრობს. ვინც საქართველოს სხვადასხვა მთიან ადგილებიდან, როგორც მღალა რაჭა-ლეჩხუმიდან, მაღლობ გურიიდან გადმოსახლებასა და სხვაგან შედის ქვეანს აპირებს, ამ წებელსა და დაღს უნდა მიაციოს განსაკუთრებული ყურადღება, რადგან ეს მხარი ჯერ არავის დაუჭერია და ცარიელია” (კვალი, 1897 წ.).

დალის ხელახალი დასახლება ხდება ზემო სვანეთიდან XX ს-ის დასაწყისში. ამის შემდეგ მიიღო ამ მხარეში ახალი სახელწოდება – აფხაზეთის სვანეთი.

ამრიგად, ნ. ნათაძის კონცეფციის ამოსავალი წერტილი – აფხაზთა ნაკუთრული ისტორიული უფლებები აფხაზეთის ტერიტორიაზე – დამყარებულია ყალბ პოსტულატებზე, ანუ სიცარიელებზე, და აქედან გამომდინარე მასზე რაიმე არსებობის ამტკიცება – შეუძლებელია.

გადავხედოთ აგრეთვე “კონცეფციის” ზოგიერთ სხვა დებულებას. ქართულ-აფხაზური (ნ. ნათაძის აზრით – ქართულ-რუსული) პრობლემის გადაჭრა, სახალხო ფრონტის ლიდერს, როგორც ჩანს, მშვიდობიანი გზით ურჩევნია, მაგრამ იგი არც “ძალის გამოყენებას” გამოირცხავს, რისთვისაც აუცილებელ პიროველ ნაბიჯებს შორის ვარაუდობს “შეიარაღებული ძალების განხრეცილ ზრდას” და “აფხაზეთის გადარჩენისათვის პარტიზანული მოძრაობის რეაბილიტაციას”.

ამრიგად, ნათაძის მიხედვით აფხაზეთის პრობლემის მოგვარება უნდა მიმდინარეობდეს ძალისმიერი უშუალო ფონზე. ამასთან, სახალხო ფრონტის ლიდერი მოითხოვს ადრე დადებული ხელშეკრულებების დენონსაციას.

დაუშვათ, ასეთ სიტუაციაში მთორ მხარეზე მზადყოფნა განაცხადო დაილგის დაწყებაზე. ვისთან უნდა წარიმართოს მოლაპარაკება?

ნ. ნათაძის მიხედვით, “არძინბას ჯგუფთან მოლაპარაკება უაზროა, ვი-

ნაიდან მის პოზიციას სავსებით განსაზღვრავს უცხო (რუსული) ნება”.

ბ-მა ნოდარმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ “არძინბას ჯგუფი”, ფაქტობრივად, ნასულის ხელისუფლების სათავედან (“კონცეფცია”) გამოქვეყნდა 2004 წლის 22 ოქტომბერს). ამიტომ, საკვარაუდოა, რომ არძინბას ჯგუფის ქვეშ იგულისხმება ოფიციალური აფხაზური ხელისუფლება, რომელიც საქართველოსთან ნებისმიერი დაპირისპირების შემთხვევაში, ცხადია, აფხაზური მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერით ისარგებლებს.

ამიტომ აფხაზურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე უარის თქმა, ფაქტობრივად, ნიშნავს უარს აფხაზურ მხარესთან დიალოგზე.

აქედან გამომდინარე ეჭვის ქვეშ დგება კონცეფციაში შემოთავაზებული “შეძლებისდაგვარად ვრცელი კონსულტაციის” გამოწვევა აფხაზ “მოსახლეობასთან”, ისევე როგორც აფხაზეთზე ქართული იურისდიქციის აღდგენა “მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფსუა (“აფხაზი”) ხალხის წარმომადგენლებს შორის”. საერთოდ უცნაურია ოფიციალური და სახალხო დიპლომატიის ასეთი შერწყმა – ერთი მხრიდან ცენტრალური ხელისუფლება, მეორე მხრიდან კი ხალხი. ეს მე მაგონებს ელცინის უაზრო შეხედვას რაიმე დენიმე ე.წ. უხუცესთან იმ დროს, როდესაც ჩქნური წინააღმდეგობის ძალები გერონოს იერიშისათვის ეშვადებოდნენ.

როგორც ჩანს ბ-ნ ნოდარსაც არა აქვს “კონსულტაციების” დიდი იმედი და ამიტომ იგი, როგორც აღენიშნე, იურისდიქციის აღდგენის ალტერნატიულ საშუალებად ძალის გამოყენებას მიიჩნევს.

ნ. ნათაძის მიხედვით, ქართული იურისდიქციის აღდგენის შემდეგ აფხაზეთის შინაგან მოწყობას უნდა ჰქონდეს “ერთგვარი ფედერალურობის სახე”, მაგრამ კონცეფციაში ისეთი მექანიზმებია გათვალისწინებული “ცენტრის” ინტერესების დასაცავად, რომ აფხაზეთის ავტონომია მინიმუმამდე დასული. ფაქტობრივად, შეზღუდული თვითმმართველობით სარგებლობენ მხოლოდ გუდაუშობი და ოჩამჩირის რაიონები.

ბ-ნი ნოდარის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბევრი სხვა ქართველი პოლიტიკოსისაგან განსხვავებით არ

ნელმა შერმაინ შარია.

ყოფილმა მეომარმა “ექს-კომბატანტთა კლუბის” წევრმა დავით დიდბერიძემ მოკლედ და ლაკონურად აგვისხნა, რომ “საქმის კეთება ერთად ადვილია, მარტო-მწელი”.

სამაგიეროდ ენაწელიანი მოსაუბრე აღმოჩნდა აშუამად ქუთაისში მცხოვრები, ყოფილი სოხუმელი ქალბატონი დალი სილაგაძე, რომელიც “კულტურულ ჰუმანიტარული ფონდის “სოხუმის” წარმომადგენელია. დევნილი ქალბატონისგან შევიტყუეთ, რომ მათი ორგანიზაცია 1997 წელს დაარსდა ქუთაისში და წლების განმავლობაში ბევრი პროექტი განახორციელა. მათი დახმარებითა და ხარჯით დევნილები ტელეფონით უკავშირდებიან აფხაზეთში დარჩენილ ნათესავებს.

“გარკვეული წინააღმდეგობები ჯერ არის, რა თქმა უნდა, საკმაოდ რ სჭირდება ურთიერთობების აღდგენას, მაგრამ ჩვენ გვაქვს იმის რწმენა, რომ ქალს, როგორც დედას, სიცოცხლის საწყისს, შეუძლია, დიდი როლი შეასრულოს კონფლიქტის მოგვარების საქმეში.” – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა დალი.

თვლის, რომ საჭიროა რუსეთის ვასიამოვნო, რათა მან აფხაზეთი “დავიბრუნოს”. მაგრამ სახალხო ფრონტის ლიდერი ზომაზე მეტად არის განწყობილი ჩრდილო მეზობელთან კონფრონტაციისაკენ. იგი წერს: “რუსეთთან მოლაპარაკება მისაღებად მხოლოდ როგორც მოწინააღმდეგეთაგან”. რუსეთის იგულისხმება ოფიციალური აფხაზური პოლიტიკის განვითარება, ნათაძის აზრით, შესაძლებელია მისი “არაქებული ბაზების ბლოკირების გამოყენებით” და “აგრეთვე საქართველოზე რუსეთის სატრანზიტო ტვირთების ბლოკირების გამოყენებით”.

(არ დაგვაინწყდეს, რომ ყოველივე ეს, ნათაძის მტკიცებით გარანტირებულია შედეგადიანი იქნება, განუჩრეველად იმისა, “ჰყავს თუ არა საქართველოს მსოფლიოს წამყვან ძალთა შორის “მეგობრები”, ანუ საქართველოს დიპლომატიური, ეკონომიკური, პოლიტიკური ან რაიმე სხვა სახის დახმარებისათვის განწყობილი ქვეყნები”.)

კონცეფციის მიხედვით აფხაზეთის შინაგანი მოწყობა ძირითადად მისი ქართული და აფხაზური მოსახლეობის ურთიერთშეთანხმებითა და ინტერესთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს, მაგრამ ისე, რომ აფხაზეთმა არ მიიღოს “სახელმწიფოს ტერიტორიული ხელყოფის ან მისი მართვის მექანიზმთა ეფექტიანობის ხელყოფის უფლება”. რაც შეეხება სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს, რომელთა ხედვრითი წონა ომისწინა აფხაზეთში 40 პროცენტს აღწევდა, მათ შესახებ დოკუმენტში ბევრი არაფერია ნათქვამი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ნ. ნათაძე არკვევს: “რომელ ენაზე გავასამაროთ ლოთი აფსუური (“აფხაზური”) ენის სრულებით არმკედნე გაგრეული სოფხი, რომელმაც დაწაბული ჩაიღინა გუდაუშობი”.

ალარ შევედგები კონცეფციის დანარჩენი პუნქტების განხილვას, რადგან იგი ფიქტორ ზემოაღნიშნულიც საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ: წარმოდგენილი დოკუმენტი უკიდურესად ცალმხრივია, ითვალისწინებს მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ინტერესებს (ისე, როგორც ესმის ეს ინტერესები კონცეფციის ავტორს). მის საფუძველზე არა თუ შეუძლებელია თანხმობის მიღწევა ქართველთა და აფხაზებს შორის, არამედ იგი ვერ გახდება თუნდაც სერიოზული მსჯელობის საგანი ორმხრივი კონსულტაციების დროს.

“თავდაპირველად იბერიულ-კავკასიურ ყველა ენას ცალ-ცალკე და კომპლექსურად მხოლოდ საქართველოში იკვლევდნენ - კავკასიურ ენათა კათედრაზე და ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილებაში. რაც უფრო ღრმად ვიხედებით წარსულში, მით მეტია საერთო კავკასიურ ენათა შორის!” - აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ კავკასიურ ენათა კათედრის დაარსების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციაზე.

ლელა მარბიანი

1933-34 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა მსოფლიოში პირველი კავკასიურ ენათა კათედრა. მისი ჩამოყალიბების ინიციატორი იყო იმხანად ახალგაზრდა ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა. კავკასიურ ენათა კათედრა დაარსებისას სამი წევრისგან შედგებოდა. ვარლამ თოფურია სოხუმლობდა ლაკური ენის კურსს, სიმონ ჯანაშია - აფხაზურს, ხოლო არნოლდ ჩიქობავა - ხუნძურს. იმავე სასწავლო წელს კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილება, რომელიც მიზნად ისახავდა ენათმეცნიერების მომზადებას კავკასიურ ენათა მასალაზე.

კავკასიურ ენათა კათედრის დაარსება მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ქართული ენის, არამედ ქართულ ყოველსა, მითი კავკასიურ ენათა ახალ-იზს, მით უმეტეს რომ იბერიულ-კავკასიურ ენათაგან მხოლოდ ქართული ძველი დამწერლობის მქონე ენა. კათედრის და შემდგომ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილების წევრების მიერ მეცნიერულად იქნა შესწავლილი 32 კავკასიური ენა.

კავკასიურ ენათა კათედრა, მისი დამაარსებლის თაოსნობით, იყო ჩრდილოეთ კავკასიელ და ქართველ ენათმეცნიერთა მეგობრობის კერა. აქ წლების განმავლობაში ქართველი სტუდენტების გვერდით სწავლობდნენ აფხაზი, ადიღები, ყაბარდოელი, ხუნძი, ლაკი, ჩეჩენი სტუდენტები.

კათედრაზე მისი კავკასიური ენები ისწავლებოდა არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც. ერთ-ერთი დაღესტური ენას-დარგულს კითხულობდა წარმოშობით დარგულელი, პროფესორი აღესქანდერ მა-პომეტოვი (სამწუხაროდ, იგი ცოტა ხანის წინ გარდაიცვალა).

ნახური ენების შედარებითი გრამატიკის კურსს კითხულობს წოვა-თუში პროფესორი კოტე ჭრელაშვილი. ადიღურის პრაქტიკულ კურსს - უფროსი მასწავლებელი ადიღელი თამარ უჯუხუ. ჩანჩურს - წოვა-თუში დოცენტი ზელა შავხელიშვილი. აფხაზური ენის პრაქტიკულ კურსს ცოტა ხანში, ასპირანტურის დამთავრებისთანავე, ნაიკითხავს კათედრის ასპირანტი ლელა აგიძა.

კავკასიურ ენათა განყოფილებაზე არსებობს ქართული და რუსული სექტორები. არსებობს სამოცდაათი წლის მანძილზე კავკასიურ ენათა განყოფილებაზე უმაღლესი განათლება მიიღო ასზე მეტმა ჩრდილოეთკავკასიელმა სტუდენტმა, რომლებიც მიუხედავად ბოლო ათწლეულის მანძილზე განვითარებული პოლიტიკური ცვლილებებისა, სამუდამოდ დარჩნენ საქართველოსა და თავისი აღმზრდე-

ლი პედაგოგების ჭეშმარიტ მეგობრებად. მათ შორის არიან ადიღელები და ყაბარდოელები, ლაკები, ლეკები და ხუნძები, აფხაზები და აბაზეთები. მათ შორის არიან აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები, მეცნიერ თანამშრომლები.

თავის დროზე კავკასიურ ენათა კათედრაზე ასპირანტურის კურსი გაიარეს აფხაზური ენის სპეციალისტმა აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ, უფროსი ენის სპეციალისტმა პროფესორმა ევგენი ჯეიკაიანშიშვილმა, ადიღური ენის სპეციალისტმა პროფესორმა ზენიან კერაშევაძე, პირველმა აფხაზმა პროფესორმა ქალმა ლიდა ჭკადუაშა და სხვა მრავალმა.

ამჟამად იბერიულ-კავკასიური ენები შეისწავლება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მოსკოვსა და პეტერბურგში, დაღესტანში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ადიღესსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში, აზერბაიჯანში. კავკასიურ ენათა კვლევაში თავისი წვლილი შეიტანეს არა მხოლოდ ქართველმა და ჩრდილო-კავკასიელმა, არამედ გერმანელმა, რუსმა, ფრანგმა, პოლანდიელმა მეცნიერებმა.

უნივერსიტეტში გამართულ საიუბილეო საღამოზე კავკასიურ ენათა კათედრის ძველი თაობის კურსდამთავრებულები, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებდნენ კავკასიური სკოლის დამაარსებელს, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას. მოგონებებში აღნიშნავდნენ, თუ როგორ მას სპინძლობდა ბატონი არნოლდი გაჭი-რეულ სტუდენტებს, როგორ გამოატანდა, ხოლმე, მათ წიგნებს “დასამუშავებლად” და როგორ აღმოაჩენდნენ, ხოლმე, ისინი რიგში ერთი თვის სტიპენდიის, რომელიც კათედრის სტუდენტებისთვის დიდი საქმე იყო.

“ახლა, როდესაც ჩვენ “კავკასიურ სახლს” ვაშენებთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს უნიკალური მეცნიერი და პიროვნება, ბატონი არნოლდ ჩიქობავა, რომელმაც “დაიპყრო” კავკასია ომებისა და შეტაკებების დროს,” – ითქვა საღამოზე.

შეხვედრის დასასრულს თამარ უჯუხუშემ ნაიკითხა ქალაქ მაიკოპიდან

გამოგზავნილი რამდენიმე მისასალმებლო წერილი, რომლებშიც კათედრის აღზრდილები - ადიღეს უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე პროფესორი ალექსანდრე აბრეგოვი და კავკასიოლოგთა ევროპული ორგანიზაციის წევრი, აკადემიკოსი ნუზ გიმევი სიყვარულით იგონებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრას და თავის აღმზრდილებს.

“დეა აყვავდეს საქართველო, დაე კარგად იყოს ლამაზი, ჭკვანი ქართველი ერი, დაე სამშულო იყოს კავშირი ქართველ და ადიღელ ერებს შორის, მიუხე

"რა გადაწყვეტილებაზეა საუბრობთ?"
ქოლოსკოვი დასვლას არ აპირებს



ზრძოლას დასასრული არ უნახს



გადაყლაპეთ ერთმანეთი... უკვდავება აი, აჰ არის!



ნაპირზეა გამოსული ქაღალის ამბავი

A1 გვარდიან

ჩემთვის დავვიანებულ ქალაქში

2002 წელს, ნიუ-იორკში, "ლინკ-ოლნ-ცენტრო", ბოლო სპექტაკლზე მოვიდა მიხეილ ბარიშნიკოვი ერთ საერთო მეგობართან ერთად. "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა" ძალიან მოეწონა, მოენონა რევისურაც, მხატვრობაც. ამის შემდეგ გასტროლები გვექონდა პარიზში, ბარიშნიკოვიც პარიზში გახლდათ. იქაც ორი კვირა ვილაპარაკეთ, რამე გავაკეთოთო. მე მოთხრობა "ექიმი და ავადმყოფი" შევთავაზე. მიმა გრძნობს და დასაბუთებულადაც გრძნობს თავის თავში დრამატულ მსახიობს. ფილმებშიც თამაშობს. ძალიან ნიჭიერი, სცენისთვის დაბადებული კაცია. მიმა ფონდის პრეზიდენტიც არის. ეს მეტად სერიოზული ფონდია დიდი თანხებით... აი, ასე წელა, წელა დაიწყო ეს ამბავი. მივატოვე ჩემი გეგმები და ამაში გადამწყვეტი როლი იმან ითამაშა, რომ პროექტში "ლინკოლნ-ცენტრი" იყო ჩართული - 2002 წელს ჩვენი მასპინძლები იყვნენ, დაუვიწყარი მთაბეჭდილება დარჩა. ჩავვარდი ფიქრებში და განცდებ-

რალა დროს ჩემი სწავლაა, მაგრამ თვითონ სწავლის პროცესია სასიამოვნო. დიდად მაღლობელი ვარ ამისთვის. ლუის პერესი ანგელოზს თამაშობს. ჯონ დე ვრიზი, იენა ვოდსი, პილარ ვაიზერსპუნი... არასდროს მინახავს ამდენის შემძლე მსახიობები. და, რა თქმა უნდა, თავად მიმა ბარიშნიკოვი - ის დაბადებით მასახიობია, ის ბალეტის ლეგენდაა.

როგორ უნდა მოძებნო კოსმოსში ნემსი

- შევიცარიასა და საფრანგეთში ჩვეულებრივ დრამატულ თეატრებში ვმუშაობდი. ვიცი 50-მდე ფრანგული სიტყვა, რომელსაც თავზედურად ვიყენებ - თანაც, ულამაზესი ფრანგული ენის სიტყვებს... მაგრამ, ამას ჩავდე-არ მხოლოდ მეგობრებში, რომლებიც სულგრძელობას იჩენენ, მპატიობენ და უხერხულობას არ მაგრძნობინებენ. ამერიკული თეატრი სულ სხვანაირად დახვეწილი და სრულყოფილია. იმდენად, რომ თავისი სრულყოფილებით შეგამინებს. როგორც, ვთქვით, თვითმფრინავის ფრთის სრულყოფა, ან ლეკალის ხაზი - ვერაფერს ვერც დააკლებ და ვერც მიუმატებ. იქ დრო უაღრესად მკვირვია და შინაარსით დატენილი.

ში. ალბათ იმიტომ, რომ ჩემს ასაკში ექსპერიმენტებს ერიდებიან. ვინც ნამყოფია ნიუ-იორკში, შეამჩნევდა, რა ენერგიას ითხოვს ეს ქალაქი. რა ტემპია იქ, რა ხმები, რა ხდება. კუთხეში ერთ ადგილზე დგომაც კოლოსალურ ენერგიას ითხოვს. ეს არის ახალგაზრდა, უდიდესი და ულამაზესი ქალაქი, სადაც ახალგაზრდამ მიღწევებზე უნდა იფიქროს. ჩემთვის, ალბათ, უკვე გვიანია ამ ქალაქში მუშაობა. რა თქმა უნდა, სხვა რამის დადგმაც შეიძლება, მაგრამ... მე მაინც შობის ამბავი ვარჩევ. მეცხრამეტე საუკუნის შობის თემაზე შექმნილი ცნობილი ნაწარმოებები აქვს. გავიხსენოთ, თუნდაც, ჩარლზ დიკენსი, "უქრისტიანესი მწერალი", - ეს სიტყვები დოსტოევსკის ეკუთვნის - რომელმაც ძალიან ლამაზი შობის მოთხრობები დაწერა. ლიტერატურაში ამის მთელი კულტურა არსებობს, თუმცა, საქართველოში რაღაც არ მახსენდება... - გოგია უშიველს თუ არ ჩავთვლით... - ნამდვილად. თუ სწორად მახსოვს, იქ შობა ფონია... ალბათ, მოთხრობები შობაზე უფრო მეტი უნდა იყოს. ჩემი მოთხრობის მოქმედება შობის ღამით ქუთაისში ხდება. - ნიუ იორკში მსახიობები თქვენ შეარჩიეთ. განსაკუთრებული რა ხდება? თქვენ ხომ საქართველოშიც ატარებთ ამ პროცესს? - ძალიან რთული იყო არჩევა. ამერიკაში უდიდესი მსახიობების აურაცხელი რაოდენობაა. ლეგიონები! ისინი იმდენად ფლობენ ყველაფერს, რომ მათ შორის არჩევა, მართლაც, თავსატეხია. განათების მხატვარ-დირიჟერი ჯენიფერ ტიმფტონია. იგი ამ დარგში ვარსკვლავია და მქონდა ბედნიერება, ამაში დავინფუნებოდა. შეიძლება ბევრს აქვს დახვეწილი გემოვნება, მაგრამ ქალბატონი ჯენიფერ ტიმფტონი რაღაც ჯადოს აკეთებს. შეხედრისთანავე ეუთხარი, რომ მსურს, მისგან ვისწავლო...

- სისტემა, რომელიც აწყობილია და ვერაფერს შეშაბებთ - ხელს არ გიშლიდათ სრულიად განსხვავებულ მუშაობას მიჩვეულს? - რა თქმა უნდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ენას არ ვფლობ. არასდროს დამავინწყდება ის გაგება, რომელიც მსახიობ ლუის პერისგან შემხვდა. მესმარებოდა თვითონ მიმა, ჯონი, პილარი, მერი სიუ... ასე რაღაც ნაირად მივედით პრემიერამდე. მეტად მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრათ - დაბნეულობისა და დაძაბულობის დროს ერთადერთი, რაც მამხნევებდა, ქართული მუსიკა იყო. გაისმა თუ არა, მაშინვე გასაგები გახდა, საით მიდის სპექტაკლი. ამჯერად სპექტაკლი მილიანად დაგამყარე ვანიკო მაჭავარიანზე, იგივე საყვარელიძეზე, თენგიზ კახიძეზე, ოთარ ჩუბინიშვილზე და ეკა მამალაძეზე, რომელსაც უდავოდ, ვფიქრობ, დედის სასიხარულოდ, მისმა პატარა გოგონამ აჯობა. გაისმა კომპოზიტორ ჩუბინიშვილის ლამაზი მუსიკა, ქართული კლასიკა, ბევრი ქუჩური სიმღერაც. უკრავდა მარინა იაშვილი, ნანა დიმიტრიადი, მოკლედ, ჩვენი ვარსკვლავები... მხატვრობა ჩემი იყო. ეს ყველაფერი კი დროს ითხოვდა. რთული გრაფიკი იყო, 4 კაცის ფუნქცია უნდა შეასრული, თან კოსმოსში ნემსი უნდა მოძებნო და იმ ნემსში ძაფი გაუყარო... ამ სირთულეებში მეხმარებოდა ჩემი მეუღლე და აქედან ნაყვანილი ქართული ხელოვანი ვოვა მელცერი, რომელთან ერთადაც 25 წელია, ვმუშაობ. - როგორია პრემიერა ამერიკაში? - ახალს ვერაფერს გეტყვით. როგორც ყველგან - ნერვიულობა, დაძაბულობა, აურზაური და სხვა. ნერვიული, დაძაბული მდგომარეობაა, მაგრამ ამ ამერიკელები აქაც ჭკვიანები არიან - ისე ფრთხილად და გაზომილად უახლოვდებიან პრემიერას, რომ უცბად

დაგები ფაქტის წინაშე... რეპეტიციები ტაიმ სვერთან, 42-ე ქუჩაზე მიმდინარეობდა, სადაც ძალიან რთულია, წარმოიდგინო 50 წლის წინანდელი ქუთაისი, მისი დაღუეული, გაცრეცილი ტრეტუარები, გადართლილი ხეები, მიტოვებული კასრი, ჭრაქი, პურის რიგი. ძნელია, წარმოიდგინო საბჭოური წარსული მაშინ, როცა ფანჯარაში ხედავ რიჩარდ გირის 30 მეტრიან სარეკლამო პლაკატს... სამიში ავანტიურა - ეს იყო ჩემი ასაკისა და ჯანმრთელობის კაცისთვის მეტად სამიში ავანტიურა და დაუფიქრებელი ნაბიჯი. ასე დამთავრდა ეს ამბავი... ჯერ-ჯერობით, სპექტაკლები მიდის. - ამ სპექტაკლით ჩვენს ქვეყანაზე რა შთაბეჭდილება შეექმნათ? - ჩამოსვლა კი უნდა, მაგრამ რამდენად შესაძლებელია, ამას ვერ გეტყვით. აქ სხვა ფაქტორები მუშაობს. - პრესა, თეატრის კრიტიკოსები როგორ გექცოდნენ? - ბევრი მაყურებელი ჩვენთან ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამდა. კარგი სიტყვები ითქვა. ამერიკული პრესა, თან კოსმოსში ნემსი უნდა მოძებნო და იმ ნემსში ძაფი გაუყარო... ამ სირთულეებში მეხმარებოდა ჩემი მეუღლე და აქედან ნაყვანილი ქართული ხელოვანი ვოვა მელცერი, რომელთან ერთადაც 25 წელია, ვმუშაობ. - როგორია პრემიერა ამერიკაში? - ახალს ვერაფერს გეტყვით. როგორც ყველგან - ნერვიულობა, დაძაბულობა, აურზაური და სხვა. ნერვიული, დაძაბული მდგომარეობაა, მაგრამ ამ ამერიკელები აქაც ჭკვიანები არიან - ისე ფრთხილად და გაზომილად უახლოვდებიან პრემიერას, რომ უცბად

იმიტომ, რომ ბავშვობიდან თავისუფლებასა და დემოკრატიაში არიან გაზრდილი. ეს არის ერთადერთი ახსნა... ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ - ჩვენში აუცილებლად შეიქმნება თანამედროვე თეატრალური სისტემა. პირადად ჩემთვის ფრანგული სისტემა უფრო გასაგებია, უფრო ახლოსაა, მაგრამ ხომ გეუბნებით, ერთი სპექტაკლით რაიმე სერიოზული დასკვნების გაკეთება რთულია. ჩემს ნათქვამს თავდავ არ ვენდობი, რასაც თქვენც გირჩევთ. - რა დავიძირებით... - რა უცნობი შტრიხი შეიტანეს ამერიკელებმა ქართულ დადგმაში? - მისცეს ის ყველაფერი, რასაც ჩვენ ამერიკელობას ვუწოდებთ და რაც ყველა ქვეყანაში ესმით. ე.ი. უფრო მეტისთვის გახადეს მისაწვდომი. ამერიკაში მაყურებელთა მაღალი დონეა. ინგლისში - თითქმის მიუღწევლი დონე. ძალიან ღალი და ჭკვიანი მაყურებელი ჰყავს რუსეთს, დიდი ინტელექტის - ჩემთვის საყვარელი და უაღრესად ახლობელი. ფრანგები ოდნავადაც არ გააბტივებენ უგემოვნობას,

სხვანაირი თვალი აქვს ფრანგ მაყურებელს და სხვანაირი სმენა. რაც უფრო სამხრეთით მოდიხარ, უფრო ესტაგესიებიან ჩვენს მაყურებელს, რომელსაც თავად უნდა დადგას ის ყველაფერი, რაც სცენაზე ხდება და თან ისე უნდა, რომ მოუთმენლობისგან ფეხებს აბაკუნებს და კარებს აბრახულებს, ჩქაროვს, ნერვიულობს. ალბათ, ცხარე საჭმლის ბრალია, საამო და რთული საჭმლების - თორიამი სუსტი ვარ - ან ბილეთის სიიფის (ამერიკულ პრემიერაზე გაბრაობის სპექტაკლის ბილეთი 250 დოლარი ღირდა... - რედ.). - პოლიტიკაში, ჟურნალისტიკაში, ფეხბურთში - ყველა დარგში ახია. - ალბათ. ძალიან რთული თავშეკლება. - ახალს რას აპირებთ? - ჯერ გავფრე ამ ნაპირზე. - შეგიძლიათ თქვათ, რომ ამერიკაში ყველაფერია შექმნილი იმისთვის, რათა ტალანტმა თავის მიზანს მიაღწიოს? - ამხელა დასკვნების საშუალება არ მაქვს. ამ ქვეყნის მიღწევებს ხომ

ამჟამად ვხედავთ? განსაკუთრებით ტექნოლოგიაში. ცხოვრების ხარისხი ძალიან მაღალია. შეყვარებული ვიყავი და დავრჩი პარიზსა და ნიუ-იორკზე. - ნაპირზე რომ შერბოდი, ქუთაისს ხედავდი? - ეკონომისტი არ ვარ, მაგრამ ვიცი ის, რაც ვიცი. იჩაგრება ქალაქი - წარმოგიდგენიათ, ქუთაისში და მის ირგვლივ რვა მდინარე ჩამოდის და პირის დასაბანი წყალი არ არის? ამ დროს კი ქუთაისის კულტურის დღეებს ვანჯობთ პარიზში, ეს კი ძალიან ძვირია. ხომ შეიძლება, ეს მილიონი წყალს მოახმარო, ნასოსი იყიდო, ქვესადგური შეაკეთო, რომ ხალხმა დაიბანოს... პარიზი კი მერე, ნასოსის შემდეგ, ქუთაისში ოდითგან სახელმწიფოებრიობა და კანონმორჩილებაა. - ძალიან დიდ ოკეანეში შევდივართ, ხომ არ დაიჩაგრება ჩვენი კულტურა? - სუსტი დაიჩაგრება - გონაწილს კი ალტაცებით მოეუწმინე იაპონიაში.

ბაბრძალა B2 გვარდიან

2

ამერიკელი პრესა

 New York Times
ბარიშნიკოვი - სტალინზე ირონიული მოგონებების მატარებელი

ბრუს ვახარი

მინეაპოლისი, 19 მაისი - სასტუმრ-ოს არეულ-დარეულ ნომერში ვართ. ბარიშნიკოვი ადგა, გადაატრიალა წა-რმოსახული გასაღები და თითქოს, მი-სი შიშვანი ძრავა უჩრქოვად ჩაირ-თოო, როგორც ძველმა, დაფანგულმა მანქანამ, უცნაური ცახცახი და თუხ-თუხი დაიწყო. ერთი ფეხით დაანვა ჩა-რთვის უხილავ პედალს, მოღუსული მკლავით გადაატრიალა სიჩქარეების კოლოფის სახელური. არც პედალი ჩა-ნდა სადმე, არც სახელური და ეს ყვე-ლაფერი ცოტა უცნაური სანახავი იყო. მერე ბარიშნიკოს გაეღმა და ჯექსო-ნივით უკან-უკან წამოირიალდა.

ბარიშნიკოვი ტყუილმოხრლოდ როდი ისულულებდა თავს; ის ჩემთან ილთების დემონსტრირებას ახდენ-და. ბოლო პერიოდი, მოცეკვავე "ავ-ტომობილურ" რეჟიმშია ჩართული და მუდამ მზად არის, "თუხთუხი" ატეხოს თავისი ახალი სპექტაკლისთვის "აკრ-ძალული შობა, ანუ ექიმი და პაციენ-ტი." დადგმა ქართველ დრამატურგს, რეჟისორს, დიზაინერსა და მეთოჯინ-ეს, რეზო გაბრიაძეს ეკუთვნის.

ძალიან ნაყოფიერ სცენარისტსა და რეჟისორს, რეზო გაბრიაძეს ჩვენ-თან ორი შესანიშნავი თეატრალური დადგმით იცნობენ - "სტალინგრადის ბრძოლითა" და "ჩემი გაზაფხულის შემოდგომით", რომლებშიც მარიონე-ტები მონაწილეობენ. თუმცა, ამჯერ-ად გაბრიაძე უფრო დიდ სივრცეში მუშაობს. მისი პერსონაჟები ადამიან-ნები არიან, ადამიანის ზომის მსახიო-ბები. დასი სრულყოფილია, 56 წლის ბარიშნიკოვი კი - ახალგაზრდული. ის, პატარა ბიჭვით, შესანიშნავად აკონ-ტროლებს სხეულის თითოეულ მოძ-რაობას. მისი მგირი, ჩიტო კეთილი და საყვარელი შეურაცხადია, რომელსაც ჰვონია, რომ მანქანაა. თუმცა, შეიძ-ლებს, ეს პერსონაჟი მარიონეტიც გე-გონოს, რომელიც სულის ერთი ჩაბე-რვითაა გაცოცხლებული.

"რეზოს ნაწარმოებში სტატიკური საგანი და ადამიანური სული რაღაც უცნაურად ერწყმის ერთმანეთს," - განმარტავს ბარიშნიკოვი.

წარმოდგენა, რომლის პრემიერაც გათრის თეატრში გაიმართა, ჯვრაც დახვეწილსა და განთვარების პროცეს-შია. სპექტაკლს საჩვენებლად ათზე მეტ ქალაქში წაიღებენ, მათ შორის იქ-ნება ჩარლსტონი (საშხრეთ კაროლინ-ის შტატი) - სპოლტოს ფესტივალის და ნიუ იორკი - ლინკოლნ-ცენტრის ფესტივალი.

გაბრიაძის დანარჩენი ქმნილებებ-ის მსგავსად, "აკრძალული შობა" გე-მოვნიებიანად დახვეწილი და მუზუიკ იგავია, რომელიც საქართველოში გა-ტარებული ბავშვობის მოგონებებზე დაყრდნობით დაიწერა. ეს არის ქვეყა-ნა, სადაც გაიზარდა სტალინი.

მოქმედება 1952 წელს ხდება. სპექ-ტაკლში თხრობა ეპიზოდური და ელიპ-ტიკურია. ნაწილობრივ ის სასიყვარუ-ლო ისტორია გახლავთ, ნაწილობრივ - საშობაო, ნაწილობრივ - ისტორიულ გაკვეთილი, ან სულაც - მემუარი, რომე-ლიც გაბრიაძის ხელწერისთვის დამხა-სიათებელი თხრობის ნაზი, მელანქო-ლიური და უცნაური მანერით იქმნება.

სპექტაკლი განკუთვნილია ამერი-კული პუბლიკისთვის, დაწერულია ქა-რთულად და ნათარგმნია ჯერ რუსუ-ლად, შემდეგ - ინგლისურად. ბარიშ-ნიკოვის გარდა დასის წევრები ამერი-კელები არიან. თუმცა, ენა აქ თხრობ-ის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია (ცეკვასთან [ქორეოგრაფია პერსს ეკ-უთვნის], მუსიკასთან [ძირითადად გა-მოყვანებული ქართული ხალხური მე-ლოდიები], ულამაშეს და შთამბეჭდავ განათებასთან [ჯენიფერ ტიპტონი], მიმასთან [ჩარლი ჩაპლინის გავლენა აშკარაა] და გაბრიაძის მიერ შექმნილ სცენისა და კოსტუმების დიზაინთან ერთად - მინიმალისტური ფოკუ-არ-ტული მჭკრემეტყველებით.

წარმოდგენა უსტიყო, 20-წუთიანი პროლოგით იწყება. მეზღვაური ჩიტო შინ ბრუნდება, საყვარელი ქალი კი სხვაზე გათხოვილი ხდება. გაუბედუ-რებული შეყვარებული ზღვაში იხრჩ-ობს თავს, მაგრამ მას ანგელოზი (პერე-სი) იხსნის - რომელსაც ზურგზე ფრთე-ბი აქვს დამაგრებული. ნაპირზე გამო-რიყული ჩიტო გადაგდებული, უსარგებ-ლო სახელურს აიოივს, ფეხს გაკრავს და სახელური ათუხთუხებული ძრავის ხმას გამოსცემს. ასე იბადება აეტმოზ-ბოლის ფანტაზია, რომელსაც ჩიტო ისე "მიეკედლება" და ჩაებღოუჭება, როგ-ორც გადარჩენის ერთადერთ გზას.

შემდეგ მოქმედება უკვე რამდენი-მე წლის თავზე, შობის ღამეს გრძელ-დება. შობა გახლავთ დღესასწაული, რომელსაც სტალინის საბჭოურ რეა-ლობაში მხოლოდ გასაიდუმლოებულ ვითარებაში აღნიშნავდნენ. დღესას-წაულის ღამე ერთგვარ თავგადასავ-ლად იქცევა:ჩიტოს სოფლის ექიმი პა-ტარა, ავადმყოფი გოგონას გასასინჯ-ად განაპირა სახლში მიჰყავს (ოლონდ, ჩიტოს ჰვონია, რომ მანქანის მოვალე-ობას თვითონ ასრულებს). გზის ბლო-ს კი უეჭვო ცხადი ხდება, რომ მათ რე-ალობაში სიყვარული და რწმენა ისე შეერწყა ერთმანეთს, რომ სოციალიზ-

მსა და სევდას იოლად გააქარვებს.

"სულის სიმშვიდე და იმის გაგება, რომ არსებობს სული და არსებობს დღესასწაულები სულისთვის," - ასე უპასუხა გაბრიაძემ კითხვას იმის შე-სახებ, თუ რას ისწავლიდა მაყურებე-ლი სპექტაკლიდან. "შეიძლება, მიზე-ზი ასაკი იყოს, მაგრამ უფრო მორა-ლისტი გავხდი. გთხოვთ, მომიტევოთ და დამიჯეროთ, რომ არ მინდა, ვინმეს რაზე ვასწავლო. ეგეტები არ მომწონს და მგონია, რომ აუცილებელი არც არის. სამაგიეროდ, მომწონს, როცა რაღაცეები თავისუფლად, ყოველგა-რი აკრძალვის გარეშე არსებობს. გა-რდა ამისა, ერთი ცხოვრებისეული სა-იდუმლოც ამოვხსენი - შეუძლებელია, ადამიანს სულიერი ცხოვრება აუკრ-ძალო. ეს ყოვლად გამორიცხულია."

გაბრიაძე, რომელიც რუსულად, თარჯიმნის დახმარებით საუბრობდა, ჩამრგვალებული, კეთილი ბაბუის მსგავსი, მწუხარე სახის კაცია. ის, ალ-ბათ, ხშირად ფიქრობს წარმავალიობა-ზე და სულ პატარა სიკეთეც კი განუ-ზომელ ბედნიერებას ანიჭებს.

ელენე ჯაფარიძე 35 წელია, მისი ცოლია და მასთანვე მუშაობას - მეუ-ღლის დადგმებისთვის მუსიკას არჩ-ევს. ჩვენს შეხვედრის დროს ელენე განუწყვეტილვ ფუსფუსებდა, ხან ყველი მოჰქონდა, ხან შოკოლადი, ხი-ლი და პური და თან იმაზეც ზრუნავ-და, რომ არც ყავა გამოგველოდა. იხი-ნი თბილისში, საქართველოს დედაქა-ლაქში ცხოვრობენ. რეზო გაბრიაძე იქ 48-ადგილიან საკუთარ თეატრს ფლობს.

"ყველაფერი, რასაც ვწერ, ქუთა-ისს ეხება," - ამბობს ის და გულისხმ-ობს ქალაქს, სადაც ბავშვობა გაატა-რა. "ალბათ, ახლა დე უფრო მეტი პე-რსონაჟი მყავს, ვიდრე ქუთაისს - მა-ც ცხოვრებელი."

"ქალაქი სოციალიზმის ეპოქაში ყოველთვის დიდი ზნეობის ქვეშ იყო. ქუთაისის პატარა ფსიქიატრიული საა-დმყოფო უკონდა, სადაც არასდროს არ ჰყოფნიდათ ადგილი პაციენტების-თვის და ისინიც ქალაქში თავისუფლ-ად დახეტიალობდნენ. როგორც ახლა ვუკვირდები, იმ დროში ყველას შურ-და ჭურჭელში თავისუფლად მოსივრნე ავადმყოფების იმიტომ, რომ მათ შეე-ძლიოთ, გაუკონტროლებლად, შეუ-შულდავად ეთქვათ ის, რასაც მოისუ-რევებდნენ - ამის უფლება კი დანარჩე-ნებს წართმეული ჰქონდათ. ამიტომ-აც ჩემს ქვეყანაში ასეთ ადამიანებთან ურთიერთობების განსაკუთრებული ტრადიცია არსებობს."

ჩიტოს პერსონაჟი გაბრიაძემ რეა-ლურად არსებულ ადამიანზე დაყრ-დნობით შექმნა. თურმე, ადრე მართლა იყო ერთი ქუთაისელი კაცი, რომელსაც ჩიტოსავით გონა, რომ მანქანა იყო.

"მართლა მასსოვს ეს კაცი, მთელ ქალაქს ახსოვს, - ჰყვება გაბრიაძე, - თანაც ყოველდღიურ ცხოვრებაში, სუფრასთან, საუბარში ჩართული... ის შესანიშნავი მისაუბრე იყო, თუმცა ჩვენი დიალოგები ასეთი კომპლექსუ-რი და სიღრმისეული არ ყოფილა. რო-ცა ბავანზე მატარებელი ჩამოდგებო-და, ეს კაცი გაეროდა ტაქსის მძლო-ლებში და მგზავრებს ეკებებოდა. "ტაქსი ხომ არ გენბავს?" - ყველას ეკითხებოდა. თუ ვინმე გამოთქვამდა სურვილს, ჩამოართმევდა ჩემოდნებს, გაიკგება სტუმრის მისამართს და გა-უყვებოდა ფეხით გზას. მერე უცებ ჩა-რთავდა "ძრავას" და მიეღი ძალით გაიქცეოდა. თუმცა, ჩემოდნებს არ კა-რგავდა - მისამართი ხომ იცოდა და მგზავრებს ჩანთებიანად სახლთან ელოდებოდა ხოლმე. ყველას ძალიან გვიყვარდა. ძალიან კეთილი იყო."

გაბრიაძის თქმით, თოჯინებისგან განსხვავებით, მსახიობებთან მუშაო-ბა უფრო რთული იყო, მაგრამ არა იმ-იტომ, რომ ბარიშნიკოს ენ სხვებს სა-კუთარი გარის გატანა სურდათ. "მე რბილი ვარ, მიმა კი ძალიან ჯოუტია."

თავად ბარიშნიკოვი კი გვიყვება, რომ მანქანის როლის შექმნა გაბრია-ძე მას მარტოს მიანდო და მოცეკვავემ-აც დაეკლება თავი რამდენიმე დღეში გაართვა. მაგრამ იმისთვის, რომ გმირ-ის განწყობა ბოლომდე გაეთავისებინა და მხოლოდ ცარიელი მოძრაობები არ გამოსვლიდა, ბარიშნიკოვმა ფსიქიატ-რული დაავადებების შესახებ რაღაც საკითხები გამოიკვლია კიდევ.

"ბოლო რამდენიმე საუკუნეა, გან-საკუთრებით კი, ინდუსტრიული რევო-ლუციის შემდეგ, ადამიანებს ხშირად ემართებათ ეს დაავადება, რაღაც ფსი-კოზის მსგავსი, როცა ჰვონიათ, რომ მანქანები არიან, მატარებლები, თვით-მფრინავები, - ამბობს ბარიშნიკოვი და შემდეგ სრული სერიოზულობით დასძ-ენს, - ჩემი ახლო მეგობრის სიდედრს ეგონა, რომ ვერტმფრენი იყო."

გაბრიაძე-ბარიშნიკოვის თანამშ-რომლობა ორი წლის წინ დაიწყო, მაგ-რამ იდვის დაბადების ადგილად ორი-ვე სხვადასხვა ქალაქს ასახელებს, გა-ბრიაძე - პარიზს, ბარიშნიკოვი კი - ნიუ იორკს, და ამბობს, ეს სახლის უკ-ანა ეზოში მოწყობილი ბარბექიუს დროს გადაეწყვიტეთო. მაშინ მან გაბ-რიაძეს რაღაც მცირე ზომის სპექტაკ-ლის გაკეთება შესთავაზა. ჩანაფიქრ-ის მიხედვით ავტორებს უნდა გაეერ-თიანებინათ თოჯინები და ცეკვა, ანუ მოცეკვავეთა სხეულის ენა და მარიო-ნეტები. გაბრიაძე იდვით აღდგროთვა-ნდა, მაგრამ როცა ორიოდე თვის თავ-ზე ბარიშნიკოს კვლავ შეხედა, მიუ-გო: "არა, კე ყველაფერი კარგია, მაგ-რამ მე სხვა რაზე მოვიფიქრე."

ბარიშნიკოვი ჰყვება, რომ ის არ იყო დარწმუნებული, გაბრიაძემ მისი შემოქმედების შესახებ იცოდა თუ

არა. გაბრიაძემ კი სიცილით მიუგო: "დედამიწაზე ყველა იცნობს ბარიშნი-კოს."

ეგ კი, მაგრამ სმენოდა კი მას რამე ბარიშნიკოვის შესრულებული როლის შესახებ სერიალში "სექსი დიდ ქალაქ-ში"? ბარიშნიკოვი ამბობს, რომ "სექსი დიდ ქალაქში" გაბრიაძის "კერძი" აღ-არ არის. "თუმცა, შეიძლებადა, ყო-ფილიყო ოცნებებ წლის წინ," - დასძ-ენს თავად გაბრიაძე ოდნავ სევდიანი ლიმილით.

 New York Times
ილუზიებით მოტყუებული ჩაპლინის პერსონაჟი

ნილ ბენჯონინგარი

...გაბრიაძე საერთაშორისო მასშ-ტაბით ცნობილი რეჟისორი და მეთო-ჯინეა. როგორც თავად აღნიშნავს სპექტაკლის პროგრამაში, ბარიშნი-კოვის პერსონაჟი რეალური ცხოვრე-ბიდან არის აღებული. გაბრიაძეს ის საქართველოში გატარებული ბავშვო-ბიდან ახსოვს. ამ ადამიანს, მართლაც, სჯეროდა, რომ მანქანა იყო.

პერსონაჟს ჩიტო ჰქვია. ჩიტო ბა-რიშნიკოვისთვის შანსია, სრულყოფი-ლად გამოავლინოს მიმის ელასტიკუ-რობა და ტალანტი. უკვე მანქანად გა-რდაქმნილი მსახიობი ნამდვილი ავ-ტოსავით დასრიალებს სცენაზე. ბრუ-ნავს, მიქრის - ძალღებში მისდევენ. ეს სცენა ოდნავ ხელოვნურია, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ სანახავი.

...მისი დადგმა შეგნებულად იმოე-რებს მუნჯი კინოს ტრადიციას, რად-აც უცნაურ განცდას რომ აღძრავს მა-ყურებელში. მუსიკაც სპექტაკლში ისე ფლერს თითქოს ისიც მუნჯი კინოს დარბაზიდან გამოდიოდეს და ლაპა-რასაც პერსონაჟები მხოლოდ 20 წუ-თის შემდეგ იწყებენ. მეტიც, სპექტაკ-ლის დაწყებისას სცენაზე განმარტებ-ით დაფხასაც გადაფორმებ, ასე რომ გვაგონებს ძველისძველი კინოსურა-თების გამხსნელ კადრებს - მუნჯი კი-ნემატოგრაფის ეპოქაში ზომ ყოველი სურათი ეკრანზე გამოჩენილი წერი-ლობითი ახსნით იწყებოდა.

...სპექტაკლი, რომლის ნახვაც ხვალიდან მაბათის ჩათვლით ჯონ ჯე-ის თეატრში შეიძლება, საბოლოო ჯამში, გრძნობათა ნამდვილ სიმძაფ-რეს მხოლოდ ბარიშნიკოვის სახალი-სო მანქანის წყალობით აღწევს, მაგრ-ამ სასურველ შედეგამდე ახლოს მა-ინც მიდის. აშკარაა დროის გათვლას-თან, მოქმედების სისხარტესთან და-კავშირებული პრობლემები - რამდენ-ჯერმე გეჩვენება, რომ მოქმედება თი-თქმის იყინება, წყდება, ზოგჯერ კი ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თი-თქოს გაბრიაძესთვის ფლერადობა (საუნდო) უფრო მნიშვნელოვანია, ვი-დრე თვითონ ამბავი. რთულია, ყურა-დლება არ მიაქციო იმ გარემოებასაც, რომ სპექტაკლი არასეზონურია - მო-ქმედება ხომ შობის ღამეს - ილუზიებ-ის, ფანტაზიებისა და იმედის მოზღვა-ვების დროს ხდება. ამ ტკბილ ამბავს-აც ყველაზე კარგად ის მაყურებელი მიიღებს, რომელიც დარბაზში შესე-ვლისას უკვე ზღაპრების განწყობაზეა დამდგარი.

 New York Times
"აკრძალული შობა ნამდ-ვილი საჩუქარია"

...ეს გახლავთ შთამბეჭდავი აბსუ-რდისტული ფანტაზია, რომელიც ავ-ტორმა ფიგურალური (თოჯინების) თეატრის მანტიაში შეუფუთა. გათრის თეატრის "მსოფლიო სცენის სერიო-სთვის" დადგმულ პიქის პრემიერა 11 მაისს გაიმართა, ნაციონალური და ინტერნაციონალური ტურნეს დაწყე-ბამდე რამდენიმე ხნით ადრე.

...რეჟისორსა და სცენარისტ გაბ-რიაძეს თეატრსა და კინოში მოღვაწე-ობით მთელ მსოფლიოში იცნობენ, ამ-ერიკაში კი მის სახელს მარიონეტების სპექტაკლს "სტალინგრადის ბრძოლ-ას" უეცემიერებენ. "აკრძალულ შობა-ს" ის მოცეკვავე-მსახიობების და თოჯინების კომბინაციას გეთავაზ-ობს. სიყვარულისა და სიგიჟის მისე-ულ ისტორიას სპექტაკლში სხვა უსი-ცოცხლო ნივთებიც გადმოგვცემენ. გაბრიაძის თეატრალურ სამყაროში ხომ ყველაფერი ხდება - სამი გამომშ-რალი ხის კუნძი გივანტური ტავასავა-ით რომ ტრიალებს, ოკეანის ტალღე-ბი; მზე და მთვარე ცაზე მეთევზის ბაღის საშუალებით მოძრაობენ; რა-ფიას პალმების პანანია ტყე თოვლ-ით დაფარულ ქალაქს წარმოადგენს; გაბრაზებული ძაღლი, რომელიც ჩი-ტოსა და ექიმს ყვფა-ყეფით უტყევს, სინამდვილეში თუხუქის დაფაა, რა-მელზეც მყევარე და მხტომარე ძაღ-ლის ექსპრესიონისტული ნახატია გა-მოსახული; ჯერ სადა ხართ, გაბრიაძ-ის თეატრლურ სამყაროში სხვა რა-ღაცეებიც ხდება: ჩიტო ელექტროვა-ნილობის ბოძებს ეცეკვება; ექიმი თავის თვითადაცვლილ მუუღლესთან ერთად ასრულებს ტანგოს... მანქანის ფრაჯრის სახელური, თუ მას სახელო-ზე დაიმარგებთ და კარგად გადასწ-ვეთ, წარმოსახული მანქანის ძრავას აათუხთუხებს...

თუმცა, "აკრძალული შობა" თქვენ-გან დიდ მოთმინებას მოითხოვს, რადე-ან სპექტაკლი წელა იხსნება; ერთ სი-ტყვასაც კი არაფინ ამბობს ასწუთიანი წარმოდგენის პირველ ნახევარ საათში. გაბრიაძე კი სიცილით მიუგო: "დედამიწაზე ყველა იცნობს ბარიშნი-კოს." ეგ კი, მაგრამ სმენოდა კი მას რამე ბარიშნიკოვის შესახებ სერიალში "სექსი დიდ ქალაქ-ში"? ბარიშნიკოვი ამბობს, რომ "სექსი დიდ ქალაქში" გაბრიაძის "კერძი" აღ-არ არის. "თუმცა, შეიძლებადა, ყო-ფილიყო ოცნებებ წლის წინ," - დასძ-ენს თავად გაბრიაძე ოდნავ სევდიანი ლიმილით.

 Chicago Sun-Times
“შობას” სირქარეს ბარიშნიკოვის ძლიერი ძრავა ჰმატებს

ჰაიდი ვაისი

გაბრიაძე, რომელიც 1936 წელს საქართველოში დაიბადა, 1981 წლიდ-ან თბილისში 48-ადგილიან თეატრსა და კაფეს უძღვება (1992-94 წლებში საქართველოს სამოქალაქო ომის დროს ის ქვეყნიდან ნასული იყო). მას ყველაზე მეტად იცნობენ შესანიშნავი დადგმით "სტალინგრადის ბრძოლა", რომელშიც მოქმედება, ძირითადად, მარიონეტების თეატრის განზომილე-ბაში ხდება, მაგრამ რამდენიმე მსახიო-ბის ხელი მაინც ჩანს. გაბრიაძის ახ-ალ სპექტაკლში კი განზომილება გა-დიდებულია, პროპორციებს მსახიო-ბები განსაზღვრავენ, თუმცა, სივრცე მათ გარშემო მაინც უცნაური წარმო-სახვებითაა სავსე - ჩარჩოში ჩაუსმე-ლი პეიზაჟებით, რომლებიც გორგო-ლაჭებიან ჩარჩოებზე ჰკიდია (რეჟი-სორის შესანიშნავი ნამუშევარი), ელ-ექტროენერგიის პატარა ბოძებით.



სცენები სპექტაკლებიდან

ფარდის ასხნიდან - საბჭოთა კონ-სტრუქტივიზმისა და შავალის ნაზავი - სიყვარულით შექმნილ უცნაურ პერ-სონაჟებამდე მთელ სპექტაკლში იგრ-ძნობა სინაზე, რომელიც დროსაც გა-რდაქმნის. შენც უსმენ წარმოდგენას და უსმენ, ალბათ, ისევე ჩუმად, როგ-ორც ადამიანები - რადიოს აკრძალ-ულ ტალღებს იმ დროში.

მთელი ამ ამბის სახალისო ირონია კი ის გახლავთ, რომ გაბრიაძის სპექ-ტაკლი ჩვენთან ჩამოდის იმავე წელს, როცა საქართველომ თავისი ხავერ-დოვანი რევოლუცია გადაიტანა.

 ლინკოლ ცენტრის ფესტივალი - 2004
საერთაშორისო დონეზე აღიარე-ბულმა თეატრისა და კინოს რეჟისორ-მა რეზო გაბრიაძემ 2002 წლის ლინკ-ოლნ-ცენტრის ფესტივალზე მაყურე-ბელი ანშლაგით ჩატარებული სპექტა-კლებით - "სტალინგრადის ბრძოლა" და "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა" აღ-აფრთოვანა. სპექტაკლში მოქმედება საბჭოთა საქართველოს პატარა ქალა-ქში, 1950-იან წლებში ხდება და მოგვი-თხრობს ექიმისა და პაციენტის ამბ-ავს, მათ სახიფათო და ემოციურ თავ-
Kontra Kosta Times
მიიღეთ ავტო-ეგზოტიკური ფესტივალი
ჰაბ ჰრაიზი
... "აკრძალული შობა" საინტერე-სო დადგმაა, ისე ჰყვავის ეგზოტიკუ-რი იდეებით, როგორც აღმოსავლეთ ევროპაზე აღმოცენებულ მცენარეს შემწვერის. ეს მცენარე ყვავილობს სტალინისტურ რეჟიმში იწყება - ამის შემეცნება და დაფასება დასავლური გონისთვის კი ძალიან რთულია.
...ჩიტო მთელი წარმოდგენის ძირი-თადი გასართობია. ჩიტო - მეზღვაუ-რი, რომლის როლსაც ბალეტის ლეგე-ნდა და მსახიობი მიხაილ ბარიშნიკოვი ასრულებს. მისი ნახვა ამ როლიმ ნამდ-ვილად ღირს, იმის მიუხედავადაც, თუ ბალეტის დიდი მოყვარული არ ბრძან-დებით და თუ არც სერიალს "სექსი დიდ ქალაქში" უყურებთ გატყეცებით... მოკლედ, სულ რომ არ გქონდეთ ბარი-შნიკოვის სახელი გაგებუი, მაინც გა-გიჭირდებათ, თვალი მოიწვიტით მის ზუსტად გათვლილ, გრაციოზულ მოძ-რაობებს ნებისმიერ დროს - თუნდც მაშინ, როცა ტრაგიკომიკური პერსო-ნაჟი ჩიტო მეზღვაურის როლშია, ან მერე, როცა ჩიტო მანქანად გადაიქცე-ვა - ამ "შეს" ის მაშინ ითავსებს, როცა ცხოვრება საყვარელი ქალის წასვლის შემდეგ უკვე გაუსაძლისი ხდება.
თუმცა, სპექტაკლი ყველაზე მეტ-ად მაინც იმ თეატრალური სათამაშო მოედნის გამო ბრწყინავს, რომელიც გაბრიაძემ თავისი საშობაო ამბის გასა-ვითარებლად შექმნა. სცენა ცოცხალი ორგანიზმვით სუნთქავს - ნახატები-თა და დეკორაციებით. ისინი საკუთარ თავში მოიცავენ ბავშვურ გულწრფე-ობასაა და კომუნიზმის პოლიტიკის თავზარდამცემ დეტალებს. ეს დეკო-რაციები, მართლაც, ქმნიან ისეთ გარე-მოს, რომელშიც ჩიტოს სიცილიც არა მა-რტო მისაღები ხდება მაყურებლისთე-ვის, არამედ ძალზედ იოლად გასაგებიც.
დანარჩენი დეკორაცია, ისევე გაბ-რიაძის დიზაინით, ძველი თეატრალუ-რი ტროუქებით, ნაპოვნი არტეფაქტე-ბითაა სავსე, ეს კი კიდევ უფრო მკვე-თრად წარმოაჩენს მთელი სპექტაკლ-ის სიურეალისტურ ბუნებას.
გაბრიაძე ძალიან იოლად ახერხ-ებს, დაგვანახოს, რომ ჩიტოს სიგიჟე გახლავთ თავდაცვის ერიოგარი ხერ-ხი იმ ქვეყანაში, სადაც შობა მთავრო-ბის მიერ ოციციკლურად აკრძალული დღესასწაულია; დღესასწაული, რო-მელსაც წლების განმავლობაში მორწ-მუნეები ფარულად მაინც ზეიმობენ. და, ალბათ, ანგელოზი (მის როლს ლუის პერესი ასრულებს), რომელიც სცენაზე პერიოდულად დაფარფატ-ებს, გახლავთ მარადიულად მყოფი სულთერების სიმბოლო, რომელიც ზო-ლის გაიმარჯვებს კიდევ.
ანდა, უფრო მარტივად რომ გითხ-რათ, ეს არის სპექტაკლი, თეატრა-ლური გამონაგონი, რომელიც მთელი საათიანდობის განამავლობაში სულ სხვა სამყაროში გამოგზაუბრებთ. და, როგორც არ უნდა აღიქვათ, ის მაინც ძალიან საინტერესოა.

გადასავალს შობის ქარბუქიან ღამეს. ოუმორითა და სარკაზმით გაჯერებუ-ლი სპექტაკლი დაკარგვის, სიგიჟის, თვითშემეცნებისა და სიყვარულის თე-მებს აფლერებს. ეს გახლავთ ნაწილობ-რივ აბსურდისტული დრამა, ნაწილო-ბრივ ფანტაზია-აღეგობია. ზუთ-პერ-სონაჟიან დასში ხვდებით მისიალ ბა-რიშნიკოს, პილარ უითერსპუნს, ივონ ვუდსა... გაბრიაძე აერთიანებს ტექსტს, მოძრაობასა და მუსიკას და "აკრძალული შობაც" უცნაური და შთამბეჭდავი სპექტაკლი გამოდის, რომელიც ჯადოსნურ სიურეალისტ-ურ ამბავს ჰყვება კულტურ

როგორები

შარაპოვა “ქენონის” სახეცაა



თანამედროვე ჩოგბურთის სექს-სიმბოლო მარია შარაპოვა რიც კომპანიებს სარეკლამო ბიზნესში საკუთარ სახედ გაუხდიათ და ამით მილიონებსაც იხვეჭენ. ახლახან მათ კიდევ ერთი კომპანია, უფრო სწორად, იაპონური კორპორაცია “ქენონი” შეუერთდა. იაპონელებთან ორშაბათს დადებული ხელშეკრულების თანახმად “უიმბლდონის” გამარჯვებული რუსი ჩოგბურთელი მომავალი წლიდან “ქენონის” სახე გახდება - 2005 წლიდან შარაპოვა იაპონური კორპორაციის სარეკლამო რგოლებისა და ბილბორდების განუყოფელი სახე გახდება და, შესაბამისად, რეკლამირებას გაუწევს ყველაფერს, ციფრული აპარატებით დანყებული და საოფისე ტექნიკით დამთავრებული. ასე ამბობს USA Today.

“ქენონთან” კონტრაქტი სამ წელიწადს ითვალისწინებს და 2005 წლის აპრილიდან შედის ძალაში. თუმცა, რამდენს მიიღებს რუსი ჩოგბურთელი იაპონელე-

ლი გამოსვლები. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი 20:00 “სპორტსიმო” 20:45 “კორტი როგორც სცენა”. ნინა ტეპლიაკოვის ასი წლის იუბილე 21:45 “ერონიკა” 21:50 სახვალთო ტელეპროგრამა 21:55 “ჰოკეი-პლუს” 22:10 სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასი პროფესიონალთა შორის. მეორე ნაწილი 00:15 ახალი ამბები 00:30 “ჰოკეი-პლუს” 00:45 ცხენოსნობა. წინალობათა გადაღახვა. საერთაშორისო შეჯიბრება “ბროლის უნაგირი”. მეორე ნაწილი

EUROSPORT 10:30 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატის საბერძნეთში 11:00 ფეხბურთი - ევროგოლები 12:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი 13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 19 წლამდე გოგონებს შორის ტაილანდში. პირდაპირი ტრანსლაცია 15:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 19 წლამდე გოგონებს შორის ტაილანდში. პირდაპირი ტრანსლაცია 17:45 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია 20:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი 19 წლამდე გოგონებს შორის ტაილანდში. პირდაპირი ტრანსლაცია 22:00 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი იტალიაში 23:00 პოლო. სამეფო თასი 23:30 გოლფი. US PGA სპეციალური მიმოხილვა 00:30 აფროსნობა 01:00 მულტისპორტი ოთხშაბათობითი 01:15 ახალი ამბები 01:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი 03:30 03:30-დან 05:30-მდე შესვენება 05:30 ჩოგბურთი. WTA მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია

HTB+СПОРТ 10:00, 13:15, 15:45, 21:30 პრესცენტრი 10:20 “ქრონიკა” 10:25, 13:30 “პარმონის ფორმულა” 10:45 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი “NHK Trophy”. ქალები 12:15 “ვარსკვლავური სამშაბათი” 13:50 “ჰოკეი-პლუს” 14:10 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი “NHK Trophy”. ვაჭები 16:00 ჰოკეი ბურთით. რუსეთის თასი 17:45 ფიგურული სრიალი. დიდლი პრიზი “NHK Trophy”. საჩვენებე

"რა გადაწყვეტილებაზე საუბრობთ?"

კოლოსკოვი წასვლას არ აპირებს

“24 საათის” გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ რუსეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფედერალური სააგენტოს თავმჯდომარის ვიაჩესლავ ფეტისოვის ინტერვიუ, რომელშიც ის სიამაყით აცხადებდა, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი, აქამდე ხელშეუხებელი ვიაჩესლავ კოლოსკოვი დაკავებული თანამდებობიდან გადადგომაზე დაითანხმა. არადა, საქმე არც ისე იოლად ყოფილა, როგორც ამას ფეტისოვი წარმოგვიდგენს. გაზეთ “მოსკოვსკი კომსომოლცეთან” საუბარში კოლოსკოვმა განაცხადა, რომ არსად არ აპირებს წასვლას.

- რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ მიღებული თქვენი გადაწყვეტილება საბოლოოა?

- გადაწყვეტილება? რა გადაწყვეტილებაზე საუბრობთ? მუშაობას ჩვეულებრივ განვაგრძობ, ვმონაწილეობ ჩვენი ნაკრები გუნდების მზადებაში ესტონეთთან მატჩებისთვის, დეკემბერში ფედერაციის აღმასკომის მორიგ სხდომას გავმართავ.

- მაშინ როგორ გავიგოთ ვიაჩესლავ ფეტისოვის განცხადება თქვენი ნებაყოფლობითი გადადგომის შესახებ?

- ჩვენ ორი საათი ვისაუბრეთ. ფეტისოვმა მითხრა, რომ უნდა შეხედეს რუსეთის პრეზიდენტს, სადაც, შესაძლოა, ჩემი მომავალი განიხილონ. მე ვუპასუხე: იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის უმაღლესი პირის მხრიდან მითითებას მივიღებ,

ამჟამად შარაპოვას ხელთაა კონტრაქტები ისეთ კომპანიებთან, როგორებიც არიან “მოტიროლა”, რომელთანაც 5 მილიონიანი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და პარფიუმერიული კომპანია “Parlux Fragrances”, რომელმაც საკუთარი წარმოების ერთ-ერთ სუნამოს რუსი ჩოგბურთელის სახელი უწოდა. ამბობენ, შარაპოვას სურნელით გაუფრთხილი სუნამო პარფიუმერიულ ბაზარზე წლის ბოლოს გამოჩნდებაო. ამერიკელი ჟურნალისტები კი აღნიშნავენ, შარაპოვა კურნიკოვას ნაკვალევს გაყვავო. ოღონდ შარაპოვას ის უპირატესობა აქვს, რომ ტურნირებს იგებსო.

მოგახსენებთ, “არსენალსა” და “მანჩესტერ იუნაიტედს” შორის დაძაბულობა 24 ოქტომბერს “ოლდ ტრაფორდის” სტადიონზე, გუნდებს შორის მატჩის შემდეგ დაიწყო. აგრესია, ძირითადად, “მეთოფეთა” მხრიდან მოდიოდა. ჯერ იყო და “მანჩესტერ იუნაიტედს” მთავარ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს წვნიანი შეასხეს, მერე არსენ ვენგერის დიდი მეცადინეობით, ემლი კოულთან უხეხი თამაშის გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ რუდ ვან ნისტელროოს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

ორი დღის წინათ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დისციპლინარული კომიტეტის პირველ მოსმენაზე არსენ ვენგერი არა მოწმის, არამედ უკვე დამნაშავის რანგში წარდგა. მას ბრაილი დასდეს, თითქოს “არსენალისა” და “მანჩესტერ იუნაიტედის” მატჩის შემდეგ რუდვან ნისტელროოს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაცენა. მან ფეხბურთელს საჯაროდ “მატყუარა” უწოდა: “ყველამ კარგად ვიცით, როგორ იქცევა ხოლმე რუდ ვან ნისტელროო. მას მხოლოდ ადამიანების მიტყუება შეუძლია,” - განაცხადა მან “ბიბისისთან” ინტერვიუში.

პირველ მოსმენაზე “მეთოფეთა” მთავარი მწვრთნელი დაადანა-



კოლოსკოვი მხოლოდ პუტინს დაუპირეს.

მის სურვილს დავემორჩილები. ამასთან, ისიც ვუთხარი, რომ ჩვენი ფეხბურთის მომავალზე სერიოზულად უნდა ვისაუბროთ. რასაკვირველია, ამ სიტუაციამ არ უნდა მოახდინოს ფიფა-ს პროვოცირება, რომ მან ჩვენს წინააღმდეგ რაიმე სანქციები გამოიყენოს, ისეთი სან-

ქციები, როგორიც აფრიკის ზოგი-

ერთი ქვეყნისა და ზურბაიჯანის მიმართ გატარდება და რომელთაც ჩემი უშუალო დახმარებით გადაურჩა ბელორუსი.

- ესე იგი, თქვენ საერთაშორისო ფედერაციების მხარდაჭერის იმედი გაქვთ.



არსენ ვენგერი განაჩენის მოლოდინშია.

შაულებს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის E3 წესის დარღვევაში, რომელიც მეტოქისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებასა და შეურაცხყოფას გულისხმობს. ვენგერს თავის გასამართლებლად ვა-

და 23 ნოემბრამდე მისცეს. სწორედ ამ დროს გახდება ცნობილი, რა განაჩენს გამოუტანს ასოციაცია მთავარ “მეთოფეს”. იმ შემთხვევაში, თუ მას დამნაშავედ ცნობენ, იგი ოფიციალურ გაფრთხილებას მიიღებს და ჯარიმასაც გადაიხდის. როგორც ხედავთ, ვენგერი შეიძლება დაისაჯოს, მაგრამ დასჯას გადუბრუნებთან მისი გუნდის წევრები, რადგან FA-მ განაცხადა, რომ

გვირახში მომხდარ ინციდენტზე მოკვლევას არ აწარმოებენ.

“არსენალის” თავმჯდომარე პიტერ ჰილ-უელი აცხადებს, რომ ვენგერს სრული უფლება აქვს ილ-

აპარაკოს ის, რასაც თავად ჩათვლის საჭიროდ. გარდა ამისა, მას ვერაფრთი წარმოუდგენია, რომ შეი-

ძლება ერთ მშვენიერ დღეს ვენგერი და ფერგიუსონი სუფრას მიუს-

ხდნენ და მეგობრული დიალოგი გამართონ: “არავინ მოსთხოვს არ-

სენ ვენგერს იმის გაკეთებას, რაც მას არ სურს. იგი განათლებული ადამიანია. მას არ უყვარს მიკიბ-

ულ-მოკიბული საუბარი. იგი ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრ-

ბრძოლას დასასრული არ უჩანს

ოზს. არასოდეს მითქვამს მისთვის, რომ ფერგიუსონისთვის შეურაცხყოფის მიყენება შეეწყვიტა და არც ახლა ვაპირებ ამის თქმას. ვენგერს ასევე უფლება აქვს, ნისტელროის მატყუარა უწოდოს. თუ FA-ს მისი საქციელი არ მოსწონს, ეს მხოლოდ მათი საქმეა,” - განაცხადა პიტერ ჰილ-ჰუდმა.

ვენგერის კრიტიკას ვერ გადაურჩა შეხვედრის მთავარი მსაჯი მაიკ რაილი, რომელმაც “მანჩესტერ იუნაიტედის” სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი დანიშნა “არსენალის” კარში. მოკლედ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ვენგერის მიერ მანჩესტერელთა მიმართ გაკეთებულ ყველა განცხადებაზე დაყრდნობით წაუყენა ბრაილი გუნდის მთავარ მწვრთნელს, თუმცა საბოლოო განაჩენამდე კიდევ რამდენიმე დღე რჩება.

“არსენალისა” და “მანჩესტერ იუნაიტედის” დაპირისპირებას კი ბოლო არ უწანს. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გუნდებს შორის ზავის ჩამოგდება გადაწყვიტა, “არსენალსა” და “მანჩესტერ იუნაიტედს” შორის შუამავლობა იკისრება და, მშვიდობის დამყარების მიზნით, გუნდების წარმომადგენლები შეხვედრაზე დაიბარა, მაგრამ, როგორც ჩანს, კლუბები დაზავებას არ აპირებენ. განსაკუთრებით “მეთოფეები” ჭირვეულობენ.

სპარსა

ათენის არაფხიზელი ტრიუმფატორი



ფელსი დიდი მოცურავეა. მაგრამ კანონს მაინც ვერ გადაცურავს.

მიყიდვა. თუმცა, ოლიმპიური ოქროების პატრონს არც მართვის მონაშობა ჰქონია წესრიგში.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სიხარული მოუტანია ჩვენთვის, კანონის დარღვევას ვერავის ვაპატივთის ალკოპოლური სასმელების

ოლიმპიურ ჩემპიონსო, - უთქვამთ

ამერიკელებს. ასე რომ, სულ ცოტა, ჯარიმის გადახდა, მართვის მონაშობის ჩამორთმევა და საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულება მოუწევს. ყველაზე უარესი კი, რაც შეიძლება დემართოს, ეს ერთ

წლამდე ციხეაო.

მოგვიანებით, როდესაც ფელსი აზრზე მოვიდა, ჟურნალისტებს განუცხადა, ეწუხვარ და განვიცდი იმას, რაც მოხდა და მზად ვარ, საკუთარ დანაშაულზე კანონის წინაშე პასუხი ვაგოო.

გადაწყლავით ერთმანეთი... უკვდავება აი, აჰ არის!

სოფო კილასონია

ორიგინალობით თავი ვერ გა-მოიჩინე; მათგან გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ, ვისაც ლაშა ბულაძის "აღშფოთებული ტატიანა-ას" ნახვის შემდეგ საკუთარი წარ-სულის ის მომენტი გაახსენდა, რო-ცა დიდი ილიას სიტყვები "მე გავა-თავე და შენ რაც გინდა ჰქმენ მკი-თხეელო!..." წაიკითხა და ჯერ კიდ-ევ პატარას მამა-პაპათა გამო შერ-ცხება, ტანში ჟრუანტელმა დაუარა, მერე კი იმ ფაქტმა გაახარა, რომ როგორც უმრავლესობა, ისიც ატი-რდა და არ გაეცინა.

მას შემდეგ, რაც 2002 წელს "ახ-ალი დრამის" ფესტივალზე MXAT-ის ფოიეში თეატრმცოდნე მაია მა-მალაძის მიერ ნათარგმნი ლაშა ბუ-ლაძის პიესები წაუკითხავთ, აშკა-რა გამხდარა მისადმი დიდი ინტე-რესი, რამაც მიხილ უგაროეს იმ სპექტაკლის დადგმა გადააწყვეტი-ნა, რომელიც პრესამ და კრიტიკამ "MXAT-ის ახალი დრამის დეკადის" (2002 წლის დეკემბერი) ფესტივა-ლის საუკეთესო სპექტაკლად აღი-არა, ხოლო ბულაძე რჩეულ დრამა-ტურგად. "აღშფოთებული ტატიანა" თბილისელმა მაცურებელმა პი-რველად ორი დღის წინ იხილა "ვაკ-ის თეატრალურ სარდაფში" და როგორც ამ ავტორის პიესების წა-კითხვისა ან დადგმული სპექტაკ-ლების ხილვის შემდგომ ხდება, თან იცინა, თან შერცხვა და გაოცდა.

"გოგის უხერხულობის" და "ორი დაცემინების" ამბავი, "ლალი და შოთა", "ნოდარი და თამუნა", "ვალიკოს ამბები", ეპიზოდი ერთა-ქტიანი პიესიდან "ოთარი" და, რა-ლი თქმა უნდა, "გაკვირვებული ტა-ტიანა" ის ხუთწუთიანი პიესებია ან სკეტჩები რაც რეჟისორმა მიხეილ უგაროვმა საკმაოდ ოსტატურად ერთ სპექტაკლში მოაქცია, ხოლო ანდრეი კლიმოვის (მხატვარი), ირ-აკლი ჩარკვიანისა და ანდრე პან-კოვის დახმარებით მუსიკალურ-მხატვრულად გააფორმა.

ქართული მოამაგე ბებიები, ორიენტალიზაციეცილით გოგო-ბი-ჭები, რძალ-დედამთილის მსხვერ-პლი შოთა, ქათმისა და დაფინყბუ-ლი ცოლის შუღლის მიზეზი, ანუ ანგელოზთან მოლაპარაკე ვალი-კო, დედად ქცეული ცოლი და ოჯა-ხში ფუნქციადაკარგული მტრიალა ქმარი, ქალი, რომელსაც ის აღშ-ფოთებს - რატომ ვერ გახდა მისი მეუღლე გმირული სიკვდილის ღი-რის - ლაშა ბულაძის "საამაყო" ქა-რთველი გმირებია.

რეჟისორმა შვიდი პატარა პიე-სა ნაბდის ქუდიანი, გულზე მოზი-



რუსულად დანახული ქართული რეალობა.

ზაზიზა პაპაიძე ფოტო

ლურ დაკიდებული ფრთოსანი ან-გელოზის მიერ ქართველებზე მო-ნათხრობ ამბებად აქცია. მეტიც, ძალიან სასაცილო, თუმცა სევდისა და შიშის მომგვრელ ანეკდოტებად წარმოგვიდგინა და ამკარად ის მო-ახერხა, რაც მისმა ქართველმა კო-ლეგებმა ვერ ან არ გააკეთეს, - და-იენწყა რეჟისორული ამბიციები და-კარი ფართოდ სწორედ ტექსტს, მის თხრობას გაუღო. ბულაძისეუ-ლი აბსურდის, რომელსაც ზედმე-ტი გაფორმება, რეჟისორული "გა-დაპრანჭული" ჩანაფიქრები არ უხ-დება, რომელიც ხშირად ქვეტექს-ტურად იკითხება, ხოლო საფუძვე-ლში ჩადებული პრობლემები დია-ლოგებს შორის, პაუზებში იჩენს თავს, ყველაზე უკეთ გაგება და წა-რმოჩენა, სწორედ რომ, რუსმა რე-ჟისორმა შეძლო, თუმცა მიუხედა-ვად კარგი თარგმანისა მას ბევრად უფრო საინტერესო და "ანყობილი" ორიგინალი ტექსტები არ წაუკი-თხავეს, შესაძლოა, სწორედ ამიტომ ბოლომდე ვერც საჭირო ტემპი და რიტმი უგრძენია, რაზეც ზოგიერ-თი გახანგრძლივებული დაილოგი მოწმობს და ამით ოდნავ ზედმეტ-ად ამძიმებს-ანელებს აშბის მსველელობასა და მის დინამიკას.

აღსანიშნავია კიდევ ერთი, - პიეს-ებს შორის, მიხრობელი ანგელოზი და სხვა გმირები "გარდამავალ" ფრაზებს (რაც დრამატურგს არ ეკ-უთენის) წარმოთქვამენ, რაც ზედ-მეტი ორიგინალურობის შეტანის, დრამატიზირება-გართულების მცდელობას ჰგავს.

"აღშფოთებული ტატიანა", რო-გორც იტყვიან, სწორედ რომ "დრა-მატურგის სპექტაკლია", თუმცა რეჟისორს მინიმალისტური თეატ-ური ხერხებით არაფერი დაუ-კარგავს, პირიქით ეს ის ფორმაა, რაც ყველაზე კარგად მორიგო ბუ-ლაძის აბსურდულმა რეალიზმმა.

"სწორედ რომ ბულაძის შემთხ-ვევაში შეიძლება ვისაუბროთ იმ ახალ ენაზე, რასაც ასე გულმოე-გინეთ ძებნენ თეატრებში." - ორი წლის წინ ალისა ნიკოლსკაის მიერ თავს, ყველაზე უკეთ გაგება და წა-რმოჩენა, სწორედ რომ, რუსმა რე-ჟისორმა შეძლო, თუმცა მიუხედა-ვად კარგი თარგმანისა მას ბევრად უფრო საინტერესო და "ანყობილი" ორიგინალი ტექსტები არ წაუკი-თხავეს, შესაძლოა, სწორედ ამიტომ ბოლომდე ვერც საჭირო ტემპი და რიტმი უგრძენია, რაზეც ზოგიერ-თი გახანგრძლივებული დაილოგი მოწმობს და ამით ოდნავ ზედმეტ-ად ამძიმებს-ანელებს აშბის მსველელობასა და მის დინამიკას.

ზემოქმედებას. მართალია, პიესა საქართველოზეა, მაგრამ მე რუსე-თსაც მოვიზრებ... ლაშა პირვე-ლია, ვინც ქართულ-რუსულ კულ-ტურაში შექმნილი იმფორმაციული ვაკუუმი გაარღვია და, საერთოდ-აც, ის გამორჩეულია ყველასგან, ვნუხვარ, რომ არ არის მისი მსგავ-სი პერსონა რუსულ დრამატურგი-აში.

"ეს საუკეთესო ინსცენირებაა ლაშას პიესისა, რაც აქამდე მინახ-ავს" - აღნიშნა ამჯერად ქართველ-მა თეატრმცოდნემ ხათუნა წულაძ-ემ და არა მხოლოდ მან. სპექტაკლი მასაც საკმაოდ მოეწონა, ვისთვის-აც თავდაპირველად დაიწერა ეს ხუთწუთიანი პიესები. რობერტ სტურუა სცენაზე რუსი მსახიობე-ბის თამაშით დანახულმა ქართვე-ლების მდგომარეობამ საკმაოდ დააფიქრა და ამ პიესათა დადგმა ამჯერად ნამდვილად გადაწყვიტა.

მიუხედავად ასეთი შეფასებე-ბისა, შესაძლოა, დარბაზში ისეთებ-იც ყოფილიყვნენ, ვისაც ლაშა ბუ-ლაძის აბსურდულმა რეალიზმმა, ტექსტს მიღმა განვითარებულმა სიუჟეტებმა, ერთი მხედვით, გაუ-გებარმა დიალოგებმა, მისმა წვეუ-ლმა სატირულმა მანერამ, მხოლოდ გააღიზიანა და სხვა არაფერი. თუ-მცა, ესეც გასაგებია, ამასაც არაუ-შავს, როცა დარბაზში ზიხარ და მის პიესაზე დადგმულ სპექტაკლს უმ-ზერ (მართალია, თითქმის ყოველ-თვის იცინი), თითქმის ყოველთვის გრცხვენია, რომ "ასეთი იყავი და დღესაც ასეთი ხარ", ის კი ამას მშვენიერად ხედავს და ამჩნევს. მით უფრო გრცხვენია, როცა ამაზე შენი მოძმე რუსი გელაპარაკება და თანაც გიღმის. მოგწონს თუ არა, გულის სიღრმეში იცი, რომ სიმარ-თოეს გეუბნება. დიახ, მას არაფე-რი გამოჰპარვია, რაც ჩვენ ქართვე-ლებს ამ ბოლო წერს თუ უწინ შეგ-ვიცოდავს და ამ ყველაფერის ისეთი პირდაპირობით გიშლის წინ, რომ შეუძლებელია დაძაბული სიცილი არ წავსკდეს, გულში კი არ მიძახო - რა გინდა? რას გვერჩი? და თუ ამ კითხვებზე პასუხს მაინც ვერ ნახ-ავთ, რადგანაც ერთმა უკუღმა და-წერილმა მოთხრობამ თავეზა ისე აგინბიათ, რომ ვერც მისი მინაარ-სი-აზრი გაიგე და ამ ავტორის სხე-ნებაზე ფერი გეცვლებათ, ახლა კი იმით ღიზიანდებით, რომ მასზე სა-უფროსის დიდი ილიას სიტყვებს სხე-შველიებ, ორი გზა დარჩენილა, ან წაიკითხეთ და გულთანად მაინც იცინეთ, ან, უბრალოდ, "გადავლა-მეთ ერთმანეთი" (როგორც პიესის "ოთარი" ერთი ბრძენი ქალი იტყე-ის) და ბედნიერები იყავით.

პარდებისა და სიმღერების ოთხი დღე

ვერა ნეფარიძე

ვიმღეროთ საქართველოში მსოფლიოსთან ერთად, - ეს თბილისში დაგეგმილი ფესტივალის დევიზია. პირველი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი "ოქროს ვარდი - თბილისი 2004" დედაქალაქში ოთხი დღის განმავლობაში - 23 ნოემბრიდან გაიმართება. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ითქვა, ფესტივალის მიზანი ქართული სიმღერისა და ტრადიციების პოპულარიზაციაა.

ვინ უნდა გაუწიოს ქართულ სი-მღერას პოპულარიზაცია? ამ შეკი-თხვაზე პასუხის მოსაძებნად უნდა გადავხედოთ ფესტივალი-კონკუ-რისის მონაწილეთა ნუსხას, სადაც თექვსმეტ შემსრულებელს შორის არიან მომღერლები იტალიიდან, ინდონეზიიდან, ეგვიპტიდან, ისრა-ელიდან, ბულგარეთიდან, რუსე-თიდან, მალტიდან, მოლდოვადან და ა.შ. სულ თოთხმეტი ქვეყნის წა-რმომადგენელს უმასპინძლებს ფე-სტივალის ორგანიზატორი, პრო-დიუსერული და კომპანია "5 ლაინს პროდაქშენი".

"იმისათვის, რომ ფესტივალს საერთაშორისო სტატუსი ჰქონდ-ეს, მასში სულ მცირე, თორმეტი ქვეყნის წარმომადგენელი უნდა მონაწილეობდეს. ჩვენ ფესტივალს თოთხმეტი ქვეყნიდან ეყოლება სტუმარი", - გვითხრა გუშინდელ შეხვედრაზე კომპანიის ხელმძღვა-ნელმა მამუკა სააკაშვილმა. გაამა-რთლებს თუ არა რაოდენობა, ახლა ამაზე საუბარი, ელბათ, ნაკლებად მიზანშეწონილია. მონაწილეთა მუ-სიკალური დონის შესაფასებლად ხომ მთელი ოთხი დღე გვექცება წინ. ახლა კი ფესტივალის იდეის შესახებ.

"ოქროს ვარდი - თბილისი 2004", როგორც ორგანიზატორებ-მა განმარტეს, ახალგაზრდული ფესტივალი იქნება. მონაწილეთა ასაკი განსაზღვრულია 16-დან 30



ვარდი თბილისური ფესტივალის სიმბოლოც არის.

წლამდე; მუსიკალური მიმდინარე-ობა კი საკმაოდ ფართოა: თანამე-დროვე მუსიკა, ანუ ყველაფერი, რასაც ის იტევს, - თქვა მამუკა სა-აკაშვილმა. შეკითხვაზე, თუ რა არ-ის ამ ფესტივალის მიზანი, კომპა-ნიის ხელმძღვანელმა გვიპასუხა: ქართული სიმღერისა და ტრადი-ციების პოპულარიზაცია. შევეც-დებით, ავსსნათ, როგორ აპირებენ ორგანიზატორები ამ მიზნის მიღ-წევას. 24 ნოემბერს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ფეს-ტივალის პირველ საკონკურსო ტურში თხუთმეტივე ქვეყნის მომ-ღერალი მშობლიურ ენაზე, საკუ-თარი ინტერპრეტაციით შეასრუ-ლებს ცნობილ ქართულ სიმღერებს (რომელ სიმღერებზეა საუბარი, ეს ორგანიზატორებმა მსმენელისთე-ის სასიამოვნო მოულოდნელობად დაიტოვეს). ხოლო, ქართული ყიუ-რი, სადაც ამ სიმღერების ავტორ-შემსრულებლები იქნებიან გაერ-თიანებული, საუკეთესოებს გამოა-ვლენს.


ფესტივალი 23 ნოემბერს გასა-რთოდ ცენტრ "მეიდანში" კენჭისყ-რით გაიხსნება. კენჭისყრაზე კონ-კურსანტების გამოსვლის თანმიმ-დევრობა გადაწყდება. 25 ნოემე-რს კონკურსანტები საკუთარ რე-პერტუარს წარმოადგენენ ფილარ-მონიაში, ბოლო დღეს, 26 ნოემე-რს კი, ფესტივალის საერთაშორი-სო ფოირი (რომელსაც ნაინი ბრეე-ვაძისა და ჯემალ სეფიაშვილის სა-ხით ქართველი წევრებიც ეყოლე-ბა), გამოავლენს ფესტივალის ლა-ტრამანქანის მოგების მანსაც აე-ურეატებს: გრან-პრის, პირველი, მეორე და მესამე ადგილები, მფლობელებს. ამავე დღეს დასახე-ლდება მაცურებელთა სიმპათიაც. მაცურებელს ამ კონცერტებზე ავ-ტომანქანის მოგების მანსაც აე-ლევენ ორგანიზატორები - ფესტი-ვალის თანაორგანიზატორია ლა-ტრარეა "იბდლიანი დარტყმა". რაც შეეხება მთავარ ჯილდოებს, ის გრან-პრის, პირველი, მეორე, მესა-მე დგომებზე გასულთათვის და მა-ყურებლის სიმპათიისთვის შესაბა-

მისად იქნება: 5, 4, 3 და 1 თასი ამ-ერიკული დოლარი. ამ თანხას ყოე-რი ახალგაზრდა მომღერლებს ვო-კალური შესაძლებლობებისა და პერსპექტიულობის მიხედვით გა-დასცემს. ყველა ლაურეატს ვარ-დების რეგულაციის წლისთავზე ფესტივალის მთავარი ჯილდო - მოოქროვილი ვარდები დაურთგდე-ბა სამახსოვროდ.

მსოფლიოში ქართული სიმღე-რის პოპულარიზაციასთან ერთად, ფესტივალის მიზანი მსოფლიოს საერთაშორისო ფესტივალების ჯგუფში საქართველოს დამკვიდ-რებაა. ამიტომაც, ორგანიზატო-რების თქმით, "ოქროს ვარდი" ყო-ველწლიურად (აუცილებლად თბი-ლისში) გაიმართება. ფესტივალი საკონკურსო ტურების გარდა, საკ-ლუბო ღონისძიებებსაც მოიცავს. "აჭარა მიუზიკ პოლში" დაგეგმილი საცეკვაო სიმღერების საღამო "ოქროს ვარდის" მრავალჯანრუ-ლობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება.

კომპანიას, რომელიც, როგორც მისმა ხელმძღვანელმა გვითხრა, თორმეტი წლის განმავლობაში თა-ნამშრომლობს საერთაშორისო ფესტივალებთან, სხვადასხვა უცხოურ ორგანიზაციებში რეკო-მენდაციები საქართველოს კულ-ტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორ-ტის სამინისტრომ გაუწია. ამის შე-მდეგ, "5 ლაინს პროდაქშენმა" ამ ქვეყნებთან მიიღო მასალა, საი-დანაც საუკეთესოები მამუკა საა-კაშვილმა თავად შეარჩია. ფესტი-ვალის ორგანიზატორს მუსიკალ-ურ გემოვნებას ჩვენი მსმენელი 24 ნოემბრიდან კიდევ ერთხელ შეუ-ფასავს, თუკი, რასაკვირველია, ფილარმონიამ დაგეგმილ კონც-ერტებს დაესწრება (კონცერტებზე ბილეთების ღირებულება 10-დან 30 ლარამდე იქნება). ზოგადად კი, ფესტივალის მონაწილეების შესახ-ებ ძალიან ცოტა შეიძლება ითქვას. როგორც "ოქროს ვარდის" ორგა-ნიზატორები ამბობენ, მოწვეული სტუმრები საკუთარ სამშობლოში კარგად ცნობილი მომღერლები არიან.

ძველი თბილისის ჭიშკარი - საზოიგოს, ბულისმავალის...



სასმონ ლეჟავა

ჭიშკარი ძველ თბილისში - ეს ამოუწურავი თემაა. მისითაა გამშ-ვენებული როგორც სულ მცირე, თითქოსდა "მიკარგული" ქუჩები, ისე გაცოლებით მსხვილმასშტაბიანი საქალაქო არტერიები, და ყვე-ლგან ჭიშკარი გამამშვენებელია ფასადებისა. შედარებით კამერულ სადარბაზოს კართან მიმართების ანასოხისას ცხადი ხდება, რომ ჭიშკრები საგრძნობლად მეტ საფასადო "ტერიტორიას" ანუსრიგ-ებს. შესაბამისად, მათი ვიზუალური აქტივობაც უფრო თვალმისა-ცემია. თუმცა, ეს ზოგადი მახასიათებელია. საქმე ისაა, რომ ჭიშკა-რთა ნაირგვარობა ძალიან დიდი ამპლიტუდის შემცველია. ზოგიერ-თი ლამისაა "საიუველირი" ფილიგრანულობას აღწევს და კამერე-ულობას ატარებს, სხვები კი თითქმის "ტრიუმფალური რიტორიკუ-ლობით" - ორნამენტის მჭევრმეტყველებით გამოირჩევა. არსებობს მათში პლასტიკური სიმღაერისა და გამჭვირვლობის შესამების მავალითებიც, თუმცა ძირითადი მახასიათებელი მაინც აუზრული "გალიის" საკუთრივ მონახაზთა "მრავალრიტმულობაა". ენერგი-ულ, დრეკად, თითქოსდა "შიზანსწრაფულ" ზეიათა ნახატში ამოიც-ნობა უძველეს მოტივთა თავისებური "გათამაშება" - ესაა უპირატე-სად მცენარეული, თუმცა აბსტრაპირებული დეკორი, სადაც პირვე-ლსაფუძველს, არქიტექულ "მატრიცას" წარმოადგენს სპირალის "კოსმოგრამა", როგორც ვეგეტაციური თემის პირველსაფუძველი. იგი განწლისა და "თვითნაბრუნების" თანადროულად მატარებელია - გააჩნია, თუ რას მიეჩნევთ ათწლის სისტემად.


ეჭვი არაა, რომ თბილისური ლიითონის ჭიშკრებში თავს იჩენს ევ-როპული გამოცდილების წამყვანობა - მასში "ნეოკლასიცისტური", "ნეოროკოული", თუ სხვა რიგის თემატკა წამყვანია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აქაური სივრცითი და ურთიერთგანთავსებითი კონტე-ქსტი მათ სწორედ თბილისურ "აურას" სძენს. ისინი ქუჩათა საკუთა-რი, საბოლოო ჯამში, სხვა ქალაქებში არარსებული სპეციფიკისა და წყობის გამომხატველია, და ამას გარდა, ბევრგან სოლიდარულია იმ გახსნილობისა, რაც თბილისის საცხოვრისისათვის ზოგადად იყო სპეციფიკური. ამიტომაც არაა იშვიათი, როცა ჭიშკარი სხვა რიგის ცხატრებთან ერთად, მხოლოდ ეზოს ზღვარს მონიშნავს, თანაც იმ-გვარად, რომ ბოლომდის ატარებს ქუჩასთან კონტაქტურობას. ამ შემთხვევაში ის მიაგავს სივრცით "პაუზას", და უმეტესად ცხადია, არასეზით წარმოადგენს შეუფავ არეს. რაც შეეხება იმგვარ ჭიშკრ-ებს, რომელნიც სიღრმეში დედაბრე, უფრო "შეფარულ" ეზოთა ტე-რიტორიების ნიშანჭქს წარმოადგენს, ისინიც უკვე სხვა სახით აელ-ღნს არაიზოლირებულობის ტენდენციას, და კვლავ მიაწინებს, რომ ამგვარ ეზოში მიმდინარე ცხოვრების წესიც უარყოფს ჩაქტილობ-ას - თუნდაც ცოტათი შორიდან, მაგრამ მაინც "ეზმინება" ქუჩას, უარყოფს მისდამი სივრცითი წვევტის პრინციპს.

თუკი საფასადო მოზრდილი ჭიშკრები საკმაოდ მიმზიდველად აღიქმება გარედან დაკვირვებისას, მათი ექსპრესია სულ სხვა რიგის მეტყველებას იძენს ეზოს სივრცეში მოხვედრისას. აქედან თავს იჩ-ენს მონახაზთა მეტი დემატერიალიზაცია, აღქმის გადაწყვეტ "ფო-კუსად" კი იქცევა მხოლოდ თავად ჭიშკრის მოქნილ კონფიგურაცი-ათა უწყვეტი და "მოუსვენრად" მდინარი, თუმც კი თანადროულად - სიმეტრით წესრიგმინიჭებული "ლაბირინთი", რაც ძალიან ევექტ-ურ "სანახაობას" წარმოადგენს.

სადარბაზოს კარისა და ჭიშკრის უკანასკნელ ხანს ჩენილი სახე-ცვალება ლამისაა, ტყუპისცალეებით დაემსგავსა ურთიერთს. აქ ერთი და იგივე პროცესის ორგვარი "ვარიაცია" გამოვლინდა. ეს არ-ის ისევ და ისევ ჩაკეტილობისათვის, "თვითნაბრუნებისათვის", სხვისათვის შეუფასებლისათვის გადაწყვეტილ უპირატესობის მინი-ჭება, მოკლედ - უნდობლობის სტერეოტიპის გამეფება. მსგავს ფსი-ქოლოგიურ არჩევანს თან ახლავს მხატვრულ-ესთეტიკური მხარის თითქმის სრული უარყოფა და ემოციური მეტყველებისათვის "არა-არსებობითის" სტატუსის მინიჭება, რაც კვლავ და კვლავ, მკვეთრი მსოფლმხედველობრივი ძეძის მანიშნებელია (რისი ნიადაგიც კარგა ხანია მომნიფად ჩვენში).

ჩნდება გარკვეული ანალოგია ადამიანის იერთან, მის დამოკი-დებულებასთან გარემოსადმი. თუკი ზურთმოდღერება უპირატეს-ად ანთროპომორფული "კოსმოსია", თავისი არქიტექტონიკული ენ-ობრივი სპეციფიკით, მაშინ ასეთი ანალოგიის შესაძლებლობა სულ-აც არაა ნიადაგს მოკლებული. შენობის იერი მიიძლება იყოს "ადამი-ანურად" გულგახსნილი, კეთილმოსურნე, პირობითად - თვით "მომ-ლიმარიც" კი, და შეიძლება გამოხატავდეს სულ სხვა განწყობას - სი-პირქუშეს, გაუხარებლობას, თუნდაც ზურგმექცევას, მკვეთრ, გა-დამწყვეტ უკონტაქტობას (მსგავს პრობლემებს შეეხო ვ. დავითაია). მთელი წყობა ძველბეური ჭიშკრებით გამშვენებული სახლებისა ასე-თი მიდგომას მთელი არსებით უარყოფს. სწორედ ამიტომაც, რომ მათი ჩანაცვლება უკიდურესად უხეში, ტლუ და უმარტივისი ტექნო-ლოგიით ქმნილი ჭიშკრებით, რომელნიც გარაჟების კარის "ვარი-ციას" წარმოადგენს, სამინეოდ, სრულებით უცხო სახულებად არის "ჩაბუდებული" არქიტექტურულად გამართულ, ხშირად სასიხარუ-ლობისა და საიდუმლოების შემთავსებელ სახლთა ფასადებში, რო-გორც მათი სამომავლოდ ავისმომასწავებელი განადგურების გულ-ცივი მაცნე...

სულიერი დუდილი



იესო ქრისტემ ბრძანა, რომ იგი შეუცნობელისკენ მიმავალი კარია. XI საუკუნეში, სწორედ ჯვაროსნული ლაშქრობების წინ დასავლეთში თანდათანობით წარმოიშვა იდეა, თითქოს ღმერთის უმთავრესი თვისება მრისხანებაა. მრისხანე ღმერთი სჯის ცოდ-ვილ ადამიანებს შავი ჭირით, შიმშილითა და აზიის სიღრმიდან მოსული უცნობი დამპყრობლების შემოსევებით. სწორედ ამ დრო-ისთვის განმტკიცდა დასავლეთ საქრისტიანოში აზრი, რომ ეს გა-წრისებული ღმერთი ძეა, ანუ განხორციელებული, კაცად ქმნი-ლი ღმერთია. ამ დროიდან დამკვიდრდა საბოლოოდ ლიტურგი-ულ პრაქტიკაში წარსულისგან განსხვავებული ტრადიცია: თუ აღ-რე ამბობდნენ — "ღმერთი და თანადღუსაბამო ძე მისი", — ეს ფორმულა დიამეტრულად შეიცვალა და უკვე ამბობდნენ ასე — "ღმერთი და თანადღუსაბამო მამა მისი". ყოვლადწმინდა სამების მეორე პირმა საბოლოოდ დაიმკვიდრა ცენტრალური ადგილი.

საიდან წამოვიდა ეს თვალსაზრისი? იყო იგი უფრო ძლიერი ხალხურ გარემოში, თუ სამონასტრო წრეებში? ამ დროიდან იწყე-ბა ევროპაში ერთგვარი დუდილის ეპოქა, როცა ხალხის წიაღიდ-ან წარმოიშობოდა ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ერეტიკუ-ლი მოძრაობები. ამ უცნაურ და ხშირად რადიკალურ იდეებს აფ-რცელებდნენ სახალხო მქადაგებლები, რომლებიც განსაკუთრებ-ით მრავლად იყვნენ იტალიაში. რამდენიმე წლის დავგვიანებით ზოგი მათგანი საფრანგეთის სოფლებშიც გამოჩნდა.

ეს ადამიანები შთაგონებულ ლეგენდებს ჰყვებოდნენ უპოვარ ღმერთზე, რომელიც ზურგს აქცევს მის ფერხითი სამღვდლო-ების მიერ მოგროვილ ოქრო-ვერცხლს; მკაცრ ღმერთზე, რომე-ლიც არ ისმენდა გარყვნილი მღვდლებისა და ეპისკოპოსების ლო-ცვებს. ადამიანებში თანდასთან განმტკიცდა იდეა, რომ საეკლე-სიო საიდუმლოებანი სუფთა ხელების უნდა ყოფილიყო აღსრუ-ლებული. ამას ითხოვდნენ მილანში შეკრებილი ბრბოები, რომლე-ბიც ამბობდნენ მთავარეპისკოპოსის წინააღმდეგ, რადგან ის სა-ეკლესიო თანამდებობებს ჰყიდდა.

ადამიანები იტანჯებოდნენ, რადგან ხედავდნენ, როგორ გაი-რყვნა სამღვდლოება, რომელიც ღმერთსა და კაცს შორის შუამ-ერთებელი ხიდი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ ეპოქას მიეკუთნე-ნება იმ შპამპნელი გლეხის ამბავი, რომლის შესახებ მოგვითხრ-ობს თავის მატინაჟში რაულ გლაბერი: ეს ოდესღაც მშვიდობიან-ი მინათმოქმედი ერთბაშად რალაც გაუგებარმა აღტკინებამ მო-იცვა და მან ჯვრებისა და ხატების განადგურება დაიწყო. ამავე დროს, უფრო ზუსტად კი 1023 წელს საფრანგეთის მეფის, რო-ბერტის ბრძანებით ერეტიკოსობისთვის კოცონზე დაწვეს ცამე-ტი ორღუანელი მღვდელი. ეს ევროპის ისტორიაში პირველი დი-ოკუმენტირებული სიკვდილით დასჯაა განსხვავებული რწმენისა თუ თვალსაზრისისთვის. მაგრამ რა სწამდათ ამ ადამიანებს? რი-სთვის ავიდნენ ემაფოტზე?

იმხანად გავრცელებული ერესები ხასიათდებოდა უმკაცრესი ასკეტიზმით. ადამიანთა ჯგუფები თითქოს სრულიად უარყოფდ-ნენ ამა სოფლის სიეთეს და ყველაზე უმკაცრეს მონასტერში მი-ლებულ წესდებაზე უფრო მწირად და თავშეკავებულად ცხოვრე-ბას იწყებდნენ. ამისთვის მათ მანიქეელობას აზრალებდნენ ერთი ძველი აღმოსავლური სარწმუნოების კვალდაკვალ. მანიქეეღლთა რწმენით ქვეყნიერებაში ორი ურთიერთგამომრიცხავი საწყისი ბა-ტრონობდა, რის გამო ისინი ბოროტებასა და სიბნელეს ხედავდნ-ენ ყოველივე მატერიალურში, გმობდნენ ქორწინებას, მინათმოქ-მედებს და ა. შ. მაგრამ იყვნენ თუ არა მართლაც მანიქეელები, XI საუკუნის ევროპული ერეტიკოსები, სოფელი "წმინდანები", მონასტრებიდან გამოქცეული მქადაგებლები? ლბათი, არა — შე-იძლება რალაც ნახევრად მითიური წარმოდგენა ჰქონდათ მანის, მესამე საუკუნის ბაზილიონელი ქურთულის შესახებ, მაგრამ ეს წა-რომოდგენა უფრო სამონასტრო ტრანჰეზისას წაკითხული და ცალი ყურით გაგანილი ნეტარი ავგუსტინეს ნაწერებზე თუ იყო დამ-ყარებული. უფრო მართებული იქნება, ვივარაუდოთ, რომ გახში-რებული ერესები ერთგვარი შეუგნებელი ამბოხება იყო სამღვდე-ლოების წინააღმდეგ: ეკლესია მხოლოდ რიტუალების აღსრულე-ბას სთავაზობდა ადამიანებს, რომელთაც უკვე სიტყვა სჭირდე-ბოდათ და აღსრულებული წესების სულიერ დასაბუთებას ეძებ-დნენ.

ამიტომაც 1050 წლიდან დასავლეთის ეკლესიაში ორი მოძრა-ობა წარმოიშვა და გაფორმდა. ერთი მხრივ, დიალექტიკური მე-თოდით აღჭურვილი სწავლული ადამიანები იწყებდნენ პრობლე-მების ჩამოყალიბებასა და მათ ირგვლივ დისკუსიას. ისინი კამა-თობდნენ სამების, ექვარსილისა და საღვთო და კაცობრივი ბუ-ნების ურთიერთობაზე — ყველაფერზე, რაც ხალხისთვის დაბნე-კოლების ქვას წარმოადგენდა. ამ მიმდინარეობას მიეკუთვნებო-და, მაგალითად, **იოანე ჟეკანელი**, რომელიც 1028 წლიდან დაე-ყუდა საფრანგეთში, ფეკანის მონასტერში და დაიწყო იმ გზების ძიება, რომელიც ადამიანს ამა ქვეყნის უწმინდურებისაგან დაი-ცავდა ისე, რომ არ მისცემდა სახარებისაგან გადახვევის საშუა-ლებას. ამავე გზაზე იდგა იტალიელი აბატი, მოგვიანებით ინგ-ლისში, კენტერბერის მონასტრის წინამძღვარი **ანსელმი**, რომელ-მაც 1094-1098 წლებში დაწერა თხზულება: "Cur Deus homo?" — "რატომაა ღმერთი კაცი?". ანსელმ კენტერბერიელის მიერ შემუ-შავებული მეთოდის პლასტიკური განხორციელება გოთიკური ქა-ნდაკება.

მეორე მიმდინარეობა სამონასტრო წიაღში იშვა: აქ ბევრმა მი-იჩნია, რომ აპოკალიფსი გაცილებით ნაკლებად მიმზიდველი წი-გნია, ვიდრე თვით სახარება. ეს ბერები აუმხედრდნენ კლუნის პომპეურ ლიტურგიულ ტრადიციას და დაიწყეს უფრო მოკრძა-ლებული წესის დამკვიდრება. როდესაც 1088 წელს აბატმა **ჰუგ-ომ** ახალი ბაზილიკის მშენებლობა დაიწყო, კლუნის აყვავების ეპ-ოქა დასრულდა. წარმოიშვა ახალი ტიპის მონასტრები, რომლე-იც უფრო წესის სიმკაცრეს მისდევდნენ და არა ღვთისმსახურე-ბის გარეგან ბრწყინვლეებას. ახალი ბერების აზრით ზეციური იერუსალიმის შუქი უფრო ცხოვრების წესში იყო და არა ხილულ ფორმაში.

ერთი სიტყვით, დაიწყო ჭეშმარიტების ძიება სულიერი ცხოვ-რების ყველა სფეროში. ამ მდულარე ატმოსფერომ ერთ-ერთი უმ-ნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჯვაროსნულ ლაშქრობათა იდე-ის მომწიფებასა და იმ საოცარ სატოველთაო რეზონანში, რომე-ლიც ამ იდეამ სრულიად ევროპის მთელ სივრცეზე გამოიწვია.

ჯვაროსნული ლაშქრობები II

უკვე დიდი ხანია, რაც მეცნიერ-ებს უკვე აღარ იზიდავს ლამაზი ლე-გენდა იმის შესახებ, თითქოს ჯვა-როსნულ ლაშქრობაში ქრისტიანებს ღმერთმა მოუწოდა. ამ მეცნიერუ-ლი ეპოქის დადგომამდე კი ძალიან პოპულარული იყო ზღაპარი პეტრე განდევლის შესახებ, რომელმაც ზეგარდმო გამოცხადება მიიღო და უფლის საფლავის გასათავისუფ-ლებლად იდეა პაპს მიანოდა. თავის-თავად, ჯვაროსნული ლაშქრობა იმ დროისთვის იმდენად მნიშვნელოვა-ნი და ყოვლისმომცველი წამოწყება იყო, რომ სიმართლისა და გამონა-გონის მჭიდრო გადახლართვამ არ უნდა გაგვაკვიროს.

მეორე გამოწვეონი ეხებოდა იმ გარემოებას, თითქოს თურქები სას-ტიკად ეპყრობოდნენ იერუსალიმის მოსალოცად მოსულ ქრისტიან პი-ლიგრიმებს და ჩაგრავდნენ მათ. პი-რველი ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყისისთვის იერუსალიმი და პალესტინის საკმაო ნაწილი მიერ-თებული იყო სელჯუქთა სულთნის, **მელიქ-შაჰის** სამფლობელოსთან. აღმოსავლეთი საქრისტიანო ერთხ-მად აქებდა ამ მუსლიმ მბრძანე-ელს და ჩვენც მტკიცებდ თუნდაც **დავით აღმაშენებლის** ცხოვრება მოეყვანოთ: "**რამეთუ იყო კაცი იგი მალიქ-შა ვითარცა სიდიდითა კიდეთა მყურობელობისათა შეუს-წორებურ, გრთვერ სახითა სიტკუ-ბიუებისათა და სახიერებითა აღმა-ტებულ ყოველთა კაცთასა, რმ-ლისანი მრავალ არიან და სხუანიცა ურიცხვნი საცნაურებანი, მა-რთლმასჯულებანი, მონყალუბა-ნი, ქრისტეანეთა სიუფარულინი, და, რათა არა განვაგრძოთ სი-ტყუა, ყოვლად უბოროტო რამე გონება ყოვლით-კარბი აქუნდა**". იმასვე ამტკიცებს სომეხი ბერი, **მა-თე ვფესლი**: "**მელიქ შაჰმა ქრისტე-ეს მორწმუნეთა მამათ სიკეთე, მონყალუბა და კეთილგანწყობა გამამოკლანა**".

ერთი სიტყვით, მიუხედავად მუ-სლიმთა ძალადობის ცალკეული ფა-ქტებისა (ანდა ვის უნდა გაჰკვირე-ბოდა ძალადობა XI საუკუნეში?), ქრისტიან პილიგრიმთა რიცხვი არ კლებულობდა. ჯვაროსნული ლაშქ-როების უპირველესი მიზეზი ესპანე-თში უნდა ვეძებოთ. ესპანელ მეფე-თა აზრით, ფრანგ რაინდთა ჩარევა აუცილებელი იყო მუსლიმთა საბო-ლოდ დამარცხებისთვის. ესპანური გამათავისუფლებელი მოძრაობის, რეკონკისტის გამოცდილება გადამ-წვევტი იყო პაპის, **ურბან II**-თვის, რომელმაც "ურწმუნეთა" წინააღმ-დეგ ლაშქრობა ფრანგ რაინდებზე დაამყარა.

მეორე რეალური ფაქტორია წმინდა საყდრის მონაწილეობა აღ-მოსავლურ პოლიტიკაში. რომის პა-პებმა ბევრი რამ დაკარგეს კონსტა-ნტინოპოლის პატრიარქობთან სქი-ზმის შედეგად და ყოველივე შესაძ-ლებლის გაკეთებას ცდილობდნენ, რომ ეკლესიის ერთიანობა აღედგო-ნათ. ამისთვის მრავალშეგროვანი საშუალება არსებობდა: თეოლოგი-ურ სფეროში დათმობა, იმპერატო-რის სამხედრო მხარდაჭერა მრავა-ლრიცხოვან მტრებთან ბრძოლაში, ბოლოს და ბოლოს, იმპერიის დამო-რჩილება რადიკალური მეთოდები გამოყენებით. უეჭველია, რომ პაპე-ბი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს წორმანდილთა ლაშქრობას ბიზანტიაში.

დღეს მრავალი მკვლევარი დარ-წაუფრებულია, რომ ბიზანტიის იმპე-რატორთან, **ალექსი კომნენიან** შე-თანხმების იდეა ურბან II-ს მოუვი-და. საერთოდ, მომავალშიც, როცა დასავლური და აღმოსავლური ქრი-სტიანობის შეერთებისკენ რაიმე ნა-ბიჯი გადადგმულა, რომის მხრიდან ამის ინიციატორი პაპი იყო, ხოლო კონსტანტინოპოლის მხრიდან — იმპერატორი. სხვაგვარი განაწილე-ბა ისტორიისთვის ცნობილი არაა. პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას რომ დაუბრუნდეთ, შეიძლება ვი-თქვაოთ, რომ ის ჩაფიქრებული იყო როგორც რომის მიერ ორგანიზებუ-ლი სამხედრო ექსპედიცია, რომელ-იც მიზნად ისახავდა ბიზანტიის და-ხმარებას მუსლიმთა სტრატეგიულ-ად საკვანძო პუნქტებზე შეტევით. ასეთი ორმაგი სტრატეგიული პუნქ-ტი იყო იერუსალიმი: ის საგრძნობ-ლად დაასუსტებდა მუსლიმთა საბე-რძოლ სულისკვეთებას, რადგან ამ ქალაქს საკარლური მნიშვნელობა მათთვისაც ჰქონდა.

ყველა ეს პოლიტიკური მოტივი საგულდაგულოდ იყო დაფარული პროპაგანდისტული საფარველის ქვეშ. შუასაუკუნეობრივი "პიარის" ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო ე. წ. *excitatoria*, ანუ პოსტვატ-უმ შეთხრობილი დიოკუმენტი. ჯვა-როსანთა რიგებში გავრცელებული ამგვარი "პროკლამაციები" შეიცავ-და მუსლიმთა მიმართ ცილისწამე-ბასა და ჯვაროსანთა წმინდა მისიის ხოტბას. მსგავს "ექსციტატორიად" შეიძლება ჩაითვალოს ხაზგასმა, თითქოს თბილისის არაბთა ემირატ-ში მუსლიმები განსაკუთრებული სისასტიკით ექცეოდნენ ქრისტიან-ებს, რომელიც ასე ხშირად გვხვდება დღევანდელ სასკოლო სახელმძღვა-ნელოებში.

დასავლელ რაინდთა შორის გაე-



გასტავ დორე - ცოლები აცილებენ ჭვაროსნებს.

რცელებული ექციტატორია მხოლო-სი მუსლიმთა განქიქებით არ შემო-იფარგლებოდა. მოგვიანებით მასში სხვა მოტივი ჩნდება: ბიზანტიის ბა-სილევსმა მოუწოდა ჯვაროსნებს უფლის საფლავის დასასხნელად და მერე თვითონვე უღალატა მათ.

ამ მოტივის გავრენს მიზეზი მარ-ტივი იყო: რომი მწვავედ გრძნობდა აუცილებლობას, დაემკვიდრებინა საკუთარი თავი როგორც მთელი სა-ქრისტიანოს უზენაეს ძალაუფლებ-ას, ავტორიტეტსა და სინდისს. ლაშქ-რობამდე ცოტათი ადრე პაპებს მიმიე კონფლიქტი ჰქონდათ გერმა-ნელ იმპერატორებთან ეპისკოპოს-თა დანიშვნის უფლებისათვის. ეს კონფლიქტი ისტორიაში "ინვესტი-ტურათა ომის" სახელით შეგდა (ინ-ვესტიტურა — ეპისკოპოსის დანიშ-ვნაა) და წმინდა საყდრის ავტორი-ტეტი საგრძნობლად შეილახა. ჯვა-როსნული ლაშქრობა ამ ავტორიტე-ტის აღდგენის ერთ-ერთი საშუალე-ბაც იყო. პაპს ახლა ბიზანტიის იმპე-რატორის არსებობის შესხენდა "უნ-დოდა ევროპისთვის და ამგვარად დასავლეთის მონარქთა შორის რო-მისადმი მონივნების ჩაწერვას ცდი-ლობდა.

სწორედ 1095 წლის გაზაფხულ-ზე იტალიის ქალაქ პიარენციაში, საე-კლესიო კრების მსვლელობისას ურ-ბანმა მიიღო ალექსი კომნინის დე-ლეგაცია, რომელმაც ბიზანტიის და-ვალაო მდგომარეობა აღუწერა. კრების დასრულების შემდეგ პაპის მთელმა კურიამ გადაკვეთა აღმები და საფრანგეთში ჩავიდა. იქ ურბანს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა ეპის-კოპოს **ადემარ მონტილიან**. ეს ეპისკოპოსი წარმოშობით სამხრეთ საფრანგეთიდან იყო — ამ მხრის თავად-აზნაურობამ დიდი წვლილი შეიტანა ესპანურ რეკონკისტაში. როგორც ვხედავთ, ყველა ზემოთ დასახელებული პოლიტიკური მო-ტივი ორი ადამიანის შეხვედრაში შეერთდა. თათბირის დასრულების შემდეგ პაპმა სამხრელების განაგ-რძო გზა და ტულუზის გრაფს, **რაი-მონს** შეხვდა. მერე კი კლუნის მონა-სტრისკენ გაემურა. აქ, კლუნის მო-ნასტერში შემუშავდა ლაშქრობის კონკრეტული გეგმა. საბოლოოდ, 1095 წლის შემოდგომაზე მონეულ იქნა კლერმონის საეკლესიო კრება, რომელსაც როგორც ძველი მატია-



გასტავ დორე - პეტრე განდევლის ქადაგება ჭვაროსანთა წინაშე.

სკაცებს აუცილებლად უნდა ეკითხ-ათ რჩევა მღვწიონისთვის. ჯვაროსნ-ად კურთხევა აღთქმის დადებას გუ-ლისხმობდა: ამ აღთქმის დარღვევა სასტიკად იყო აკრძალული და სამუ-დამო უზიარებლობით ისჯებოდა.

ამგვარი სიმკაცრის კომპენსა-ცია იყო მშვენიერად ჩაფიქრებული სამართლებრივი სისტემა, რომელ-იც კლუნის ბერებმა შეიმუშავეს. ამ სისტემის მიხედვით, ჯვაროსანი იღებდა სულიერ უზიარატესობას — მას შეენდობოდა ყველა ცოდვა. და მატერიალურ უპირატესობასაც — ლაშქრობის დამთავრებამდე მთელი მისი ქონება შესანახად ჩაბარდებო-და ეკლესიას (ადგილობრივი ეპის-კოპოსის სახით) და სამუდამო განკ-ვეთით ისჯებოდა ის, ვინც მის მით-ვისებას შეეცდებოდა. არ შეიძლე-ბოდა ჯვაროსნის სასამართლოში დაბარება და ლაშქრობის განმავ-ლობაში იგი სარგებლობდა ყველა არსებული ვალის გადავადებით.

მაგრამ ჯვაროსანთა მთელი სი-მრავლე არ შემოიფარგლებოდა ურ-ბანისა და ადემარის მიერ შედგენი-ლი და სათანადოდ შერჩეული რაზ-მისაგნ. ევროპიდან აღმოსავლეთი-სკენ დიდძალი უკონტროლო ჯარი დაიძრა. **ვალტერ უპოვარის** ბანდე-რმა უკვე ივლისში მიანდოდა კონს-ტანტინოპოლს, მათ სულ მალე შეე-რთოდა კელნიდან გამოსული მხედ-რონი **პეტრე განდევლის** სარდ-ლობით. პეტრეს შეიარაღებული ბრბო შედგებოდა მდამხორების, ქვეითი დაქირავებული მეომრების, მანანწალებისა და კრმინალებისა-გან, რომელთაც ასაქება პეტრეს ცოდვთა შენდობა მიანიჭა. ეს ბრბოები საშინლად უღირსად მოიქ-ცნენ კონსტანტინოპოლში: დაიწყეს სასახლეების ძარცვა და ეკლესიათა სახურავებზე დაფენილ ტყვისსაც კი ხსნიდნენ გასაყიდად. გარნისებ-ბულმა ბასილევსმა ალექსიმ, რომე-ლმაც ჩამოსვლისთანავე ეს თვით-მაძქვია ჯვაროსნები უხვად მოამა-რავა საჭმელ-სასმელით, ახლა მათი ბოსფორს გაღმა გადაფენა ბრძანა. ბუნებრივია, რომ ალექსის ესენი ეგ-როს ნამდვილი ჯვაროსნები, რადგან სინამდვილის დასადგენად იმ დროს ჯერ კიდევ ვერც ტელეგონი და-რეგავდა რომში და ვერც ინტერნე-ტი ამოკითხავდა ინფორმაციას.

ბოსფორს გაღმა, ანატოლიაში ამ უცნაურმა პილიგრიმებმა განა-გრძეს ყველაფრის ძარცვა და გა-ნადგურება. სულ მალე ერთმანეთ-თან კონფლიქტები მოუვდნათ და ერთ ენაზე მოლაპარაკე მცირერი-ცხოვან ბანდები დაიშლნენ. თუ-რქები სულ ადვილად გაუსწორდნ-ენ ამ დემორალიზებულ და დაქსა-ლებულ ჯარს. პირველად ლანგობარ-დები, ანუ სამხრეთ იტალიის მცხო-ვრელები გაანადგურეს, მერე კი მათ დასახმარებლად მოსული ფრანკები გაანადგურეს. იმპერატ-ორცა **ანა კომნენა** წერდა: "ყველგ-ან მომართთა გვაგმებენ ეყარა. და როცა ისინი ერთად მოაქურეს, აღ-მოჩნდა, რომ ეს არც გროვია, არც ყოჩლანი და არც ბორცი, არამედ დიდი სიმაღლის მთა". გერმანელე-ბი სულ მალე მიხვდნენ, რომ თურ-ქებთან ომი გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე ბერძნების ძარ-ცვა. მამიწვე რომელღაც ციხე-სი-მაგრეში გამაგრდნენ.

თურქებმა იმწამსვე ალყა შემოა-რტყეს ციხე-სიმაგრეს და წყალი გა-დაკეტეს. წყურვილი ევროპელთათ-ვის შეუწევველი ტანჯვა იყო: ზოგი ტანსაცმელს ფეხისალაგში ყრიდა და მერე იქიდან გამოწერულ სიყუ-ლეს სწოვდა, სხვები თანამებრძოლ-თა პეშმის მრადვედნენ და იმას სვა-მდნენ. მრავალი თურქებს დაწვედა და ისლამი მიიღო. ვინც უარი თქვა, უწყალოდ დახოცეს.

საინტერესოა, რომ ამის გამგო-ნე ალექსი კომნენმა ფლოტი გააგ-ზავნა პეტრე განდევლის დასახს-ნელად. მიუხედავად ტელეფონის არარსებობისა, ბიზანტიის იმპერა-ტორი კარგად იყო ინფორმირებუ-ლი და იცოდა, რომ პეტრეს შესახებ მოარული ლეგენდები ძალიან გავრ-ცელებული იყო ევროპაში და ამ ყა-ჩაღის სიბოროტური ძალაუფლება დიდად ჭარბობდა რეალურს. მისი ცოცხლად შენარჩუნება აუცილებე-ლი იყო რომთან შემდგომი ურთიე-რთობისთვის. იმპერატორის წინაშე აღმოჩენილმა პეტრემ ყველაფერი თავის "ურრ" თანამებრძოლებს დაა-ბრალა. ასე დასრულდა სახალხო ჯვაროსნული ლაშქრობა...

ასე, გზრალთა გენოციდის პირ-ველი ნიშნები ევროპაში სწორედ უკონტროლო ჯვაროსნულ ლაშქ-რობასთანაა დაკავშირებული.

*ნოდარ ლადარია
ლილია ბეზარაშვილი*

დიდი ღურსნით კედელზე მიჭადებული, ქვაში გაყინული - ფარაჯანოვი



საქართველოს ფოტო

საქართველოს ფოტო

ინნია ქაჯაბაძე

საინტერესოა ქართული ხასიათი - სერგო ფარაჯანოვი, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა და მისი სახლი, სადაც მას ცხოვრების უმეტესი ნაწილი ჰქონდა გატარებული, თბილისში იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ, მართალია, მაშინ საქმაოდ რთული პერიოდი იყო საქართველოში, ფარაჯანოვის თანამემამულეებმა მის სახლში არსებული ყველა ნივთი თავიდან ბოლომდე ერეგანში წაიღეს. რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ ქართველი კინემატოგრაფისტები, თუ, უზარალოდ, ფარაჯანოვის შემოქმედების თაყვანისმცემელნი იწყებენ ფიქრს და გზების ძიებას, თუ როგორ უნდა აღადგინონ გამოცარელებული და გაპარტახებული სახლ-მუზეუმი. დამეთანხმებით, რომ დროულია ნივთებს, რომელსაც ფარაჯანოვი თბილისის სახლში ინახავდა, არავინ დააბრუნებს, და სიმართლე გითხრათ, არც მესმის, რატომ უნდა დააბრუნონ. ახლა სხვა იდეა გაჩნდა, ყველას მოეხსენება, რომ სერგო ფარაჯანოვი განსაკუთრებულად ხელგამაღლილი ადამიანი იყო, და ოჯახს, რომელსაც ფარაჯანოვი იცნობდა, არ არსებობს, რომ მის მიერ ნაჩუქარი ნივთი არ ჰქონდეს. ახლა, ამ ნივთების შეგროვებას აპირებენ სახლ-მუზეუმ-მონყურებული ადამიანები და

ამის მიხედვით მისი მუზეუმის თავიდან მოწყობას. ესეც ოდნავ არა-რეალურია, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროექტი პროექტზე იწერება, გრანტებს ითხოვენ ამ "სამედილიუმში" საქმის გასაკეთებლად. მოკლედ, არა მგონია, ამ საქმიდან რამე გამოვიდეს, მაგრამ ცდა ბედის მონახვერეა და არც მე ვარ პრინციპში წინააღმდეგი, რომ თბილისშიც არსებობდეს რეჟისორის სახლ-მუზეუმი. მაგრამ, ეს მეორე და სამომავლო საკითხია. ახლახან დაიწყო ფარაჯანოვის სახელობის ფონდების და საზოგადოებების შექმნა. ასევე, ახლახან, უფრო კონკრეტულად კი რამდენიმე დღის წინ ძველ თბილისში მარდენის ქუჩის ახლომახლო მისი ძეგლი გაიხსნა. ძეგლი ისეთივე არაორდინარულია, როგორიც თავად ფარაჯანოვი გახლდათ. და უფრო კონკრეტულად: ეს არის იურა მეჩითოვის ცნობილი ფოტოს მიხედვით შექმნილი სკულპტურა (ფარაჯანოვი ძველი თბილისის ქუჩაში მობრბის და ფოტო ნახტომის თუ ახტომის დროს არის გადაღებული). ითვლება, რომ ეს რეჟისორის საუკეთესო ფოტოა. როგორც ევროპის ქვეყნებში არსებობს ოდნავ ბანალური მოსაზრება, რომ ჰოლანდია თავისუფლების სიმბოლოა, ასევე ფარაჯანოვის ხატი - ის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თავისუფლების ერთადერთი კუნძული იყო. მისი გან-

სხვავებულობა და არასტანდარტულობა, გარდა იმისა, რომ ფარაჯანოვი შესანიშნავი რეჟისორი, მხატვარი და შემოქმედი იყო, მისი ცხოვრებაც არ ჯდება იმ ზოგად აღიარებულ და მიღებულ ჩარჩოებში, რომელსაც კომუნისტური წყობა და მაშინდელი საზოგადოება აწესებდა. ფარაჯანოვი განსხვავებული იყო როგორც შემოქმედებით, ასევე თავისი ცხოვრების სტილით. ფოტო, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, კარგად გამოხატავს ფარაჯანოვის ხასიათს. ის, მეც ვიხმარ ამ ერთი შეხედვით პლაკატურ გამონათქვამს და გეტყვით, - ამ ფოტოზე ფარაჯანოვი თითქოს "არც მიწისა და არც ცის", სადაც შუაშია, მაშინ ეს ნამდვილად ასე უღერდა თუ გამოიყურებოდა, ვინაიდან ფარაჯანოვი არც საბჭოთა კავშირის პირმო იყო და ვინაიდან არც დასავლეთში ცხოვრობდა, არც იმ ტერიტორიებს მიეკუთვნებოდა. მოკლედ, ფოტო კარგია, ნამდვილად კარგი და ის გამოხატავს, როგორც უკვე აღვნიშნე, ფარაჯანოვის ხასიათს. რამდენიმე დღის წინ, თავად ვინახულე მისი ახალი ქანდაკება, რომელიც დაიდგა თუ ჩამოიკიდა, არ ვიცი, რა უნდა დავარქვა, და როდის გახსნას რუსეთიდან ჩამოტრიალებული "საპატიო" სტუმრების ცსრებოდნენ. რასაკვირველია, აბა, სხვაგვარად ვის გაუგია, ყველამ ერთხმად საკუთარი აღფრ-

თოვანება გამოთქვა: გადასარეგია, ეს ნამდვილი ფარაჯანოვია, ასეთი იყო სერგო და ა.შ. მოკლედ, აბა, ვის შეუძლია მაშინ, როდესაც სიახლე ხდება, რამე განსხვავებული თქვას. არა და სურათი ასეთია: ფოტო, რომელიც იურა მეჩითოვს ეკუთვნის ნამდვილად ძალიან კარგია, ქანდაკება კი - საოცრეს ყალბი, ქვაში გაყინული, დროში და სივრცეში გაქვავებული ადამიანი თუ ფრინველი ვერ გაიგებ. კედელზე მიჭადებული, გაშლარებული კაცი, რომლის მოძრაობაც სრულიად გაუგებარია, სადმე მიფრინავს, მიბრბის, დაბლა ეშვება თუ რა საქმისათვის ჩამოკიდეს ამ კედელზე, არავინ იცის. თითქოს დიდი ღურსმანი აქვს გაყრილი ხეულში და ასე გაკრულია ეგაზავივით კედელზე და არა ჯვარზე. (ქრისტეს არ შევადარებ). რატომ აქვს გამოლილი ხელები? სად მიბრბის? რა უხარია? - არავინ იცის. მაგრამ, ამას თავი დავანებოთ, რატომ ვერ მიხვდა მოქანდაკე ვაჟი მიჭადებულ, რომ ქანდაკება მოძრაობაში, კედელზე აჭედებული - გაყინული, არაფრის მითქმელი იქნებოდა? ვერ ვხვდები. რატომ არ წავიდა მისი ფანტაზია შორს, რატომ ვერ გაცდა უკვე არსებულს? რატომ ვერ დახატა საკუთარი პორტრეტი, რატომ ვერ დაინახა საკუთარი ფარაჯანოვი? - არ ვიცი. ამ, არ მოვერიდები ამ სიტყვას, სამშინელი, ქანდაკებით აღფრთოვანებული საზოგა-

დოებაც, უკვე საკუთარი შეფასებებით უზნეობაში გადადის - ესეც მაკირვებს. გულწრფელად გაუგებარია, რა გახდა აღფრთოვანებული სტატეგის, ინტერვიუების თუ, უბრალოდ, რეპლიკების მიზეზი სრულიად გაუგებარია... ფოტო - დროში გაყინული რეალობაა, რომელიც პირდაპირ გადმოგცემს რეალურ სურათს, ფოტოზე ყოველთვის იკითხება მოძრაობა, ქმედება, ქანდაკებამდე არის ეს შესაძლებელი მაგრამ... ალბათ, მაინც, ეს ჩემი, როგორც არაპროფესიონალი შემფასებლის დამოკიდებულება, მთავარი ხასიათია, რომელიც არა მოძრაობაში, არამედ სტატეკაში უნდა გამოიხატოს. ამიტომ, არ ვიცი, როგორ შევაფასო, ანუ რა სახით გამოთქვა სათქმელი. ქანდაკება, რომელიც მრავალი წლის შემდეგ სერგო ფარაჯანოვს დაუდგეს და მის გახსნაზე არავინ იმუშრებდა საქებაო სიტყვებს, ბავშვობის საშინო მოღანდეგა უფრო მაგონებს, ვიდრე რეალურად ჩემს და არა მხოლოდ ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო კინო რეჟისორს და მხატვარს. ამ ახალ ქანდაკებაში, რომელიც დიდი მართი არის აჭედებული კედელზე ვერც ფარაჯანოვის შემოქმედებას ვუკავშირებ და ვერც მის ხასიათს, რომელიც მან კომუნისტების ეპოქაში შექმნა და დღესაც გარკვეულწილად არსებობს - მეამბოხე, თავისუფალი შემოქმედი.

საანგარი

საქართველოს მება																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																									</
------------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	----

“სალხინი” გამოყენებულა ჩირქოვანი და ჩირქმაძი იხვეცების სამხრნალოდ, ნაღვლის ბუშების (ქოლუცისტრები), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნევრიტის, გინგევიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. “სალხინი” აქრობს პირის ღრუდან ჟუსიმოვანი სუნს. ნამალ “სალხინი” კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებ მშობიარობის შემდეგ, აიცილებ მასტიტს და გაუმჯობესებტ პაუვის ცეკვას საუთარი რძით. ნამალ “სალხინოს” თვისებები აპრობირებულია და მორწმუნოა სა-ქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელო-ბის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ ადვიტაქებში.

ნამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივა-ლებს არ უნდა აღემატებოდეს ლაგერში.

გზის განმარტება:

- Athen
- Barcelona
- Bari
- Berlin
- Bilbao
- Bologna
- Budapest
- Dresden
- Dublin
- Edinburg
- Faro
- Hamburg
- Helsinki
- Ibiza
- Lisbon
- London
- Manchester
- Madrid
- Marseille
- Milan
- Malaga
- Mallorca
- München
- Nice
- Palermo
- Palma
- Paris
- Pisa
- Prague
- Rome
- Sevilla
- Stockholm
- Thessaloniki
- Vienna
- Warsaw
- Valencia
- Venezia
- Zurich



თბილისი - კიოლნი/ბონი

ყოველ ორშაბათს

ST 1140 CGN-TBS 21:30/03:40

ყოველ სამშაბათს

ST 1141 TBS-CGN 04:40/07:05

პრემი კლასი 255 EURO

ორი კლასი 390 EURO

www.gexx.de

შერატონ მეთეხი პალასი
 20, Telavi St.
 0209 Tbilisi, Georgia
 Tel: +995 32 773171
 Fax: +995 32 774171
sales@valley.ge



Germania

Germania Fluggesellschaft mbH

Flughafen Koeln/Bonn
 51147 Koeln, Germany
 Fax: +49-2203-34490
Georgien@GermaniaAirline.de
 Callcenter: +49 1805 737100